

ISSN 0868—4537



178  
1992

# სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • პუბლიცისტიკა

IUS  
TBILISI GEORGIA

1992•4

მთავარი კამპატორი

თავდორო ნინიქა

სარედაქციო კოლეგია:

- ანზი არსენაშვილი
- (კასუხისმგებელი მდივანი),
- გელა ბერძენიშვილი
- (მთავარი კამპატორის მოადგილე),
- ოთარ გამყრელიძე,
- როლანდ ბილიაშვილი,
- ავთანდილ დემეტრაშვილი,
- ტარიელ ჯამბახიძე,
- მიხეილ ქაქელია,
- მზია ლეკვიშვილი,
- გურამ ლილუაშვილი,
- ალექსანდრე ტალიაშვილი,
- რუსუდან პიტავა,

ტიქნიტური კამპატორი  
გულნარა გოსიაშვილი

სარედაქციო საბჭო:

ვახტანგ აბაშაძე, ლევან ალექსიძე, ანტონ ბაგინი, რომან გვენცაძე, გივი ინჟინრელი, ოთარ კაციტაძე, თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ლორია, გიორგი ნადარეიშვილი, ნოდარ ნეზიერიძე, ვახტანგ რაფაეა, ჯურაბ რატიანი, გიორგი ტყეშელაძე, შინდია უგრეხელიძე, აკოლონ ფალიაშვილი, იაკობ ფუტყაძე, თამაზ შავჭავჭავაძე, ალექსანდრე შუშანაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, ჯონი ხმელაძე, ჯონი ჯალაღანი, სერგო ჯორჯანიძე.

# სამართალი

№ 4 1992

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

გამოდის 1992 წლიდან

აპრილი

## ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

### თვალსაზრისნი

დიმიტრი ბარათაშვილი — საგარეო პოლიტიკის კონცეფციისათვის **2**

ლადო ქანტურია — გლობალური ეკოლოგიური პრობლემა და სამართალი **5**

---

### პრაქტიკა

ლამარა ჩორგოლაშვილი — ერთი დადგენილების გამო **16**

ავთანდილ კობახიძე — დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონების კონტისკაცია **18**

---

### კოლიტოლოგია

ბერნდ გუგენბერგერი — დემოკრატიის თეორია **25**

---

### დოკუმენტები

კონვენცია სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ **37**

---


### რეცენზია

დიმიტრი კიკნაძე — ადამიანის ქცევის სამართალმნიშვნელობის აქტუალური პრობლემები **54**

---

### სტუდენტთა დასახარებლად

ე. შ. შტაერმანი — რუმის სამართალი **60**



დოკუმენტი ბარათაზევილი

# საგარეო პოლიტიკის კონსერვაციისთვის

ჩვენს რთულ დროში საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის მთელი სისრულით აღდგენა დიდად არის დამოკიდებული საგარეოპოლიტიკურ ფაქტორებზე, ამიტომ, საქართველოს საგარეო პოლიტიკის მეცნიერული საფუძვლების შემუშავება, შიდასახელმწიფოებრივი პრობლემების გადაწყვეტისთან ერთად, პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს.

საქართველოს საგარეოპოლიტიკური კონცეფციის განხილვისას განსაკუთრებით ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ დღეს, ისე როგორც არასდროს, მწვავედ დგას შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო ურთიერთობებში სამართლის როლის და, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკაში სამართლის უზენაესობის საკითხი. დღეს სამართალი აღარ არის პოლიტიკის იარაღი ან ისტრუმენტი, როგორც ეს ხდებოდა არც ისე შორეულ წარსულში საბჭოთა იმპერიაში, მთელს მსოფლიოში დიდი ხანია აღიარებულია სამართლის ბატონობის პრინციპი — Rule of Law — რაც ნიშნავს ნებისმიერი შიდასახელმწიფოებრივი და საგარეოპოლიტიკური საკითხის დაუხანებლად გადაწყვეტას, საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმების პოლიტიკაზე უპირატესობის პრინციპის დაცვას, საერთაშორისო დავების გადაწყვეტისას ყოველგვარი სახის და ფორმის უკანონო ძალის გამოყენების ან მისი მუქარის გამორიცხვას. კონფლიქტური პრობლემების და კერძოდ, ეროვნებათშორისი კონფლიქტების გადაწყვეტა სამართლის გარეშე უპერსპექტივოა.

ამასთან ერთად, უნდა მოგვარდეს ძალთა ბალანსზე დამყარებული მშვიდობიდან ინტერესთა ბალანსზე დამყარებულ მშვიდობაზე გადასვლა, სამართლისა და ძალის კანონიერად გამოყენების შეფარდება, მათი ერთობლივად გამოყენება კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და მათი მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად. ყოველივე ეს იწვევს ტრანსფორმაციას საერთაშორისო ურთიერთობებში, ღრმა ცვლილებებს საერთაშორისო თანამეგობრობაში — ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში ნდობისა და უშიშროების განმტკიცებას, ასევე ყველა სფეროში მათი მეგობრული ურთიერთობების და თანამშრომლობის განვითარების უზრუნველყოფას. ამ მხრივ საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოთა მონაწილეობის თვისობრივად ახალი ფორმები ყალიბდება, ამასთან ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ სულ უფრო მეტი პატივისცემით სარგებლობს მსოფლიო თანამეგობრობის წევრთა ეროვნულ ინტერესებში, საქართველოს საგარეოპოლიტიკურ კონცეფციას საფუძვლად უნდა დაედოს სწორედ საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და პრინციპებთან პარმონიული ეროვნული ინტერესები. სხვა სიტყვებით, საგარეოპოლიტიკური



კურ კონცეფციას არ შეიძლება აქონდეს თვითნებური ხასიათი, იგი უნდა მოყალიბდეს სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით და საერთაშორისო სამართლის მკაცრ ჩარჩოებში. საკითხის ამგვარად დასმას ეწვევს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სამართლის საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებთან კანონების, ადმინისტრაციული წესების და პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობას, რათა ისინი შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ საქართველომ საგარეო პოლიტიკის დემოკრატიული პრინციპების მხარდაჭერა დაადასტურა 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტით, რომელშიც პირველად მსოფლიოს ქვეყნების ისტორიაში, დებულება საერთაშორისო სამართლის პრიმატისა რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედებისა საქართველოს ტერიტორიაზე, გამოცხადებულია რესპუბლიკის ერთ-ერთ კონსტიტუციურ პრინციპად.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეოპოლიტიკურ კონცეფციას დასჭირდება სოლიდური საერთაშორისო სამართლებრივი საფუძველი, საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის სპეციფიკის, ასევე განსაკუთრებით, სხვადასხვა ქვეყნებთან სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის დამყარებასთან დაკავშირებული პრობლემების გათვალისწინებით. საქართველოს საგარეო პოლიტიკა ბუნებრივია, თავისი შინაარსით და მიზნებით ერთგული უნდა იყოს, მისი მშვიდობისმოყვარეობა, სხვა ხალხებსა და სახელმწიფოებთან ურთიერთობებში ორმხრივი პატივისცემის და მეგობრობისაქენ სწრაფვა უნდა განისაზღვრებოდეს სწორედ ეროვნული ხასიათით.

ამ მხრივ უამრავი პრობლემა ჩნდება საქართველოს სნგ-ს ქვეყნებთან და უპირველეს ყოვლისა, რუსეთთან თანასწორი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის დამყარების და განვითარების დროს.

საკმარისია ითქვას, რომ აუცილებელია ისეთი პრობლემების მოგვარება, როგორცაა საქართველოს სამართალმემკვიდრეობა ხელშეკრულებების, სახელმწიფო საკუთრების, სახელმწიფო სესხების, სახელმწიფო არქივების მიმართ. რაც შეეხება სამართალმემკვიდრეობას ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც 70 წლის მანძილზე უცხოეთის სახელმწიფოებთან იდებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მიერ, ყოფილ საბჭოთა იმპერიაში შემავალი რესპუბლიკების სახელით, ეს საკითხი ითხოვს სპეციალურ განხილვას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამართალმემკვიდრეობა, როგორც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში უფრო სიძველე სამართლებრივი საფუძვლის საშუალება, ნიშნავს ახლად შექმნილი სახელმწიფოს მიერ წინამორბედი სახელმწიფოს უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებული და მის ტერიტორიაზე მოქმედი ამა თუ იმ ხელშეკრულების მოქმედების აღიარებას. სხვა სიტყვებით, ამ ხელშეკრულებაში მხარეებისათვის გათვალისწინებული ყველა უფლება და მოვალეობა შესაბამისად ეკუთვნის და ეკისრება ახლად შექმნილ სახელმწიფოს — ამ შემთხვევაში — საქართველოს. ამასთან, ხელშეკრულებების მიმართ სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ 1978 წლის ვენის კონვენციის თანახმად, სახელმწიფო-სამართალმემკვიდრეს, რომელიც შეიქმნა ყოფილი კოლონიის ან ნახევრადკოლონიის ადგილზე, უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებებზე, რომლებიც დაიდო მისი დამოუკიდებლობის მიღწევამდე. მოცემულ შემთხვევაში უარის კრიტერიუმია ამგვარ ხელშეკრულებათა შესატყ-

საგარეო მხარის  
მართლმწიფო  
პროცედურის  
მართლმწიფო

ვისებამ ახალ სახელმწიფო სუვერენულ უფლებასთან. ჩვენს შემთხვევაში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებების იურიდიული ძალა ეჭვქვეშაა დების გარემოებების — რესპუბლიკების ცენტრთან ფაქტური დამოკიდებულების — გათვალისწინებით. შეიძლება სერიოზულად იქნეს გადასინჯული.


აქტუალურია სამართალმემკვიდრეობის პრობლემების მოგვარება სახელმწიფო საკუთრების, სახელმწიფო სესხების, ასევე სახელმწიფო არქივების მიმართ, დაწყებული წითელი არმიის შემოჭრიდან და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან, მთელი შემდგომი პერიოდის მანძილზე.

საგარეოპოლიტიკურ კონცეფციაში აუცილებლად უნდა აისახოს საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან — თურქეთთან, ირანთან და სხვა, ასევე შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც უშუალოდ საქართველოს ინტერესებს ეხება ამ მხრივ ნიშანდობლივია 1992 წლის 20 თებერვალს საქართველოს მიერ ბექარესტში ხელმოწერა შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციის პროექტზე.

რაც დრო გავა, უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს საქართველოს დასავლეთ ევროპის, აშშ-ის, კანადის, ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან თანამშრომლობის პრობლემა.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა მოცემულ ეტაპზე საქართველოს შემოქმედებითი გეგმების შექმნა, იმ ზარალის აღმოფხვრა, რომელიც მიყენებული იყო უკანასკნელი წლების მანძილზე. ამიტომ, საგარეოპოლიტიკური კონცეფციის შემუშავების საკითხი უნდა იყოს იმის შესახებ, თუ როგორი იქნება საქართველოს ურთიერთობა გარემომცველ საყაროსთან. სხვა ქვეყნების მიერ გაწეულ დახმარებასა და მხარდაჭერაზე ძნელ-ვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული საქართველოს დემოკრატიული აღორძინების კურსის რეალიზაცია, დღეს გამოჩნდა საქართველოს გამოსვლის პერსპექტივები იმ იზოლაციიდან, რომელშიც ის მოხვდა, დადგა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, 50-ზე მეტი ქვეყნის მიერ აღიარების პერიოდი, საქართველო გახდა საერთო ევროპული პროცესის მონაწილე ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის თათბირისა ჰელსინკის კავშირის წევრის სახით. დგება საქართველოს გაეროში წევრობის, ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობაში, საერთაშორისო სავალუტო ფონდში, განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკში და იმ საერთაშორისო ორგანიზაციებში შესაძლო საკითხი, რომლებსაც დაეფუძნება ახალი ევროპული წესრიგი, ამასთან საქართველოს საგარეოპოლიტიკურ კონცეფციას ბუნებრივია, საფუძველად უნდა დაედოს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები, რომელთა განხორციელება მიმართულია სახელმწიფოთა შორის შედარებით ურთიერთობების განვითარებისაკენ. ამ მხრივ, აღსანიშნავია საქართველოში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ კოზირევის ოფიციალური ვიზიტი, რის შედეგადაც მიღწეულ იქნა შეთანხმება სახელმწიფოთა ტერორისტული მთლიანობის და საზღვართა დაურღვევლობის, ძალის გამოყენების, ან მისი მუქარის აღკვეთის, ზეწოლის ეკონომიკური ხერხების გამოყენებლობის, შინაურ საქმეებში ჩაურევლობის შესახებ.

საქართველოს საერთაშორისო ცხოვრებაში აქტიურად ჩართვას ჩივს უნდა უწყობდეს ისეთი ფაქტორები, როგორიც არის: ხელისუფლების დამოკრეტიული სტრუქტურების და ინსტიტუტების ფორმულირება და ჩამოყალიბება,



ქვეყნის პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაცია, ყველა პროგრესულ ძალთა გაერთიანება ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის მმართველობის დემოკრატიული სისტემის დამკვიდრება, ადამიანთა უფლებების და ძირითადი თავისუფლებების, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების პატივისცემა, სხვა ზოგადსაქცობრივ ფასეულობების პრიორიტეტის აღიარება.

ამგვარად, საქართველოს საგარეო პოლიტიკური კონცეფცია ჩვენს რთულ და სწრაფად ცვალებად სამყაროში, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის და დიპლომატიის ძირითადი მიმართულებების კონკრეტულების და ფორმირების გარდა, უნდა აყალიბებდეს საგარეოპოლიტიკურ კურსს, რომელიც საქართველოსთვის უზრუნველყოფს პირობების შექმნას ნორმალური, სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს შესაქმნელად; სახელმწიფოსი, რომელიც ესწრაფვის საერთო კრიზისის ბრჭყალებიდან თავის დაღწევას და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას; სახელმწიფოსი, რომელიც ორიენტირებულია ადამიანის უფლებების და დემოკრატიის უპირატესობების ცხოვრებაში განხორციელებისათვის, ადამიანთა შორის ცივილიზებული, კორექტული ურთიერთობების პრაქტიკაში დამკვიდრებისაკენ.

ჩვენი აზრით, ეს ყველაფერი გათვალისწინებული უნდა იყოს საგარეოპოლიტიკური კონცეფციის გამომუშავებისას, კონცეფციის განხორციელებაში ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს სწრაფვას — საბატიო ადგილი დაიმკვიდრო სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობაში.



**ლადო ზანტარია**

# **გლობალური ეკოლოგიური პრობლემა და საგარეო**

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, ჩვეულებრივ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქას რომ უწოდებენ, დედამიწის მოსახლეობა რამდენიმე ისეთი გლობალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, რომელთაგან თითოეული ცალ-ცალკე დაემუქრა საერთოდ სიცოცხლის არსებობას დედამიწაზე.

რაში მდგომარეობს ამ საფრთხის არსი?

პირველი, ადამიანის აზროვნების განვითარების უდიდეს მიღწევასთან ერთად კაცობრიობის ტრაგედიად შეიძლება ჩაითვალოს ატომური იარაღის შექმნა. საზოგადოებას თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე უამრავი

ომი ახსოვს. ომი, წარმოებული სხვადასხვა საშუალებით — ქვის იარაღიდან დაწყებული ავტომატური ტყვიამფრქვევებითა და ბომბდამშენებით დამთავრებული. ამ ომებში იხტებოდა ათასობით და ათი ათასობით ადამიანი, მაგრამ არც ერთი ამ იარაღთაგანი თავის დროზე არ დამუქრებია კაცობრიობის არსებობას მთლიანად. არც ერთი იარაღი არ დაპირისპირებია დედამიწაზე საერთოდ სიცოცხლეს. ატომური ბომბის შექმნით ადამიანი იმგვარად დაუპირისპირდა თავის თავს, რომ მოსპობით დაემუქრა მას. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია იმ ადამიანთა ბრძოლა ბირთვული განიარაღებისათვის, ე. ი. სიცოცხლის შენარჩუნებისათვის, ვინც უდიდესი როლი შეასრულა ამ მასობრივი მოსპობის იარაღის შექმნაში. ამის მიზეზი მათში ჰუმანური გრძობების გაღვივებასთან ერთად ბირთვული კატასტროფის მასშტაბების გაცნობიერებაცაა. მაგალითად, ანდრია სახაროვმა თავისი შეგნებული ცხოვრების უდიდესი ნაწილი ამ იარაღის წინააღმდეგ ბრძოლას მოანდომა.

მეორე, დედამიწის მოსახლეობის არნახულმა ზრდამ, განსაკუთრებით მეორე საუკუნის 40-იანი წლებიდან, კაცობრიობა უძწავავს დემოგრაფიული პრობლემების წინაშე დააყენა. თუ ვასული საუკუნის 30-იანი წლებისთვის დედამიწის მოსახლეობა 1 მილიარდს შეადგენდა (ამ რაოდენობისთვის რომ მივღწია, მას რამდენიმე ათასი წელი დასჭირდა), მეორე საუკუნის 30-იანი წლებისთვის მან 2 მილიარდს მიაღწია, ე. ი. დაახლოებით საუკუნე დასჭირდა მოსახლეობას ერთი მილიარდით რომ გაზრდილიყო, მაგრამ მხოლოდ ნახევარი საუკუნე აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ დედამიწის მოსახლეობა 5 მილიარდს გამზდარიყო. ე. ი. დაახლოებით 50 წლის განმავლობაში მოსახლეობა 3 მილიარდით გაიზარდა. ამ რამდენიმე წლის წინ 5 მილიარდი მოქალაქე იყო რეგისტრირებული იუგოსლავიაში. დამაფიქრებელია მოსახლეობის ზრდა აფრიკის, აზიისა და სამხრეთ ამერიკის კონტინენტებზე — სწორედ იმ რეგიონებში, სადაც თითქმის თავდაუღწვევლ პრობლემად იქცა შიმშილი და სიღვლეილიანობა. გაეროს მონაცემებით, ამჟამად მსოფლიოში 570 მილიონი ადამიანი შიმშილობს, 800 მილიონი წერა-კითხვის უცოდნარია, 1,5 მილიარდ ადამიანს არა აქვს აუცილებელი სამედიცინო მომსახურება, 1,3 მილიარდს კიდევ არ გააჩნია ცხოვრების აუცილებელი პირობები. ამჟამად კაცობრიობა შეიარაღებაზე წუთში ხარჯავს მილიონ დოლარზე მეტს. ეს მაშინ, როცა ყოველწლიურად შიმშილისაგან 30 მილიონი ადამიანი იღუპება.

დედამიწის მოსახლეობა ყოველდღე იზრდება 200 ათასი ადამიანით. მათი უდიდესი ნაწილი განწირულია შიმშილის, ავადმყოფობის, უმეცრებისა და უკიდურესი სიღარიბისათვის, ყოველივე ეს ხდება დიდი მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის მიუხედავად.

ამავე დროს საინტერესოა, რომ ზოგი განვითარებული ქვეყანა ყოველწლიურად უჭერს მხარს შობადობის გაზრდას. ამ ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის მაჩვენებლები იმ დონემდე შემცირდა, რომ თვით ერის მომავალს დაემუქრა საფრთხე, მაგალითად, საფრანგეთში გავრცელებულია უდიდესი მოძრაობა დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად: „საფრანგეთს სჭირდება ბავშვები“. თუმცა დემოგრაფიული ექსპანსიის საშიშროების საერთო სურათს ეს არ ცვლის.

მესამე, საზოგადოებას, მის არსებობას, თვითონ ბუნება დაუპირისპირდა. საწარმო-სამეურნეო საქმიანობის არნახულმა ზრდამ, ბუნებრივი სიმდიდრეების მტაცებლურმა გამოყენებამ კაცობრიობა ურთულესი ეკოლოგიური პრობ-





ლემების წინაშე დააყენა. გარემოს გაკუჭყიანებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომელიც სახიფათო შეიქნა სიცოცხლისათვის. ამ საუკუნის შუა პერიოდისთვის ატმოსფეროს გაკუჭყიანებამ 20 პროცენტით მოიმატა, თანდათანობით იზრდება ატმოსფეროში ნახშირორჟანგის მოცულობა. ექსპერტების აზრით, საწარმოსამეურნეო საქმიანობის დღეს არსებული ტემპების შენარჩუნების შემთხვევაშიც კი, 2000 წლისთვის ატმოსფეროში ნახშირორჟანგული გაზების რაოდენობა გაიზრდება 30-40 პროცენტით, რაც გამოიწვევს დედამიწაზე ტემპერატურის მომატებას და პოლარული ყინულების დნობას. სამრეწველო ნარჩენებმა 40 მილიარდ ტონას მიაღწია. ყოველწლიურად ატმოსფერული ჟანგბადის მოცულობა 10 მილიარდი ტონით მცირდება, რაც სპეციალისტების გაანგარიშებით სერიოზულ პრობლემებს შექმნის XXI საუკუნის შუა პერიოდისთვის. ეკოლოგიური კატასტროფის მოსალოდნელი საფრთხის დამადასტურებელი მონაცემების მოხმობა უზომოდ შეიძლება.

რომელია ამ სამი საფრთხიდან ყველაზე უფრო საშიში?

ერთი შეხედვით, ძნელია რომელიმეს ცალკე გამოყოფა, ან რა აზრი აქვს ასეთ გამოყოფას, თუ სამივე მათგანი თანაბრად ემუქრება მოსაზრებით მთელ კაცობრიობას. დაახლოებით ამ რამდენიმე წლის წინ მთელს მსოფლიოში უბირველეს საფრთხედ ბირთვული ომის შესაძლებლობა იყო მიჩნეული. ეს არ იყო უსაფუძვლო. საფუძველს ასეთი შიშისთვის ის იძლეოდა, რომ შეიარაღების პროცესი უმართავი პროცესი იყო. იგი ემყარებოდა ორ სისტემას შორის, უფრო სწორად, ორ სუპერსახელმწიფოს შორის შეჯიბრებითობის პრინციპებს. კონკურენცია ამ სფეროში ახალი ბირთვული პოტენციალის შექმნის წყარო ხდებოდა. მთელი მსოფლიოს მასშტაბით არ შეიძლებოდა ამ პროცესის მოწესრიგება.

უკანასკნელი წლების მოვლენებმა, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მიღწეულმა შეთანხმებამ ახლო და საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ, ბირთვული შეიარაღების პროცესი მართავადი გახადა და იგი ადამიანის ნებას დაუმორჩილა. თუმცა ეს, რასაკვირველია, არ ხსნის განიარაღების ამ ურთულეს პრობლემას დღის წესრიგიდან. ამავე დროს, მის გადაწყვეტას ხელი შეუწყო მსოფლიოს საზოგადოებრიობამ, რომელმაც ბოლომდე გააცნობიერა ბირთვული კატასტროფის საშიშროება, ის, რომ დღევანდელ ომში არ შეიძლება გამარჯვებული არსებობდეს.

თქმულიდან გამომდინარე, ბირთვული შეიარაღების საკითხმა შედარებით უკანა რიგში გადაიწია და დღის წესრიგში მთელი სიგრძე-სიგანით დადგა ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის სასიცოცხლო პრობლემა. მის ამგვარ მნიშვნელობას უდაოდ ისიც განაპირობებს, რომ იგი ერთდროულად დაკავშირებულია როგორც ბირთვულ საფრთხესთან, ასევე დემოგრაფიულ ბუშთან და, ამავე დროს, მათ უშუალო შედეგსაც წარმოადგენს.

გარემოს დაცვა გლობალური პრობლემაა და იგი მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებს შეეხება. ამან გამოიწვია სახელმწიფოთა თანამშრომლობა გარემოს დაცვის სფეროში. მიღებულ იქნა მრავალი საერთაშორისო კონვენცია, ხელშეკრულება. მათი უმეტესობა ქცევის ისეთ წესებს შეიცავს, რომელთაც შემდგომში ასახვა პპოვეს ნაციონალური სამართლის სისტემებში.

გარემოს დაცვის პრობლემებს, პრაქტიკული და მეცნიერული თვალსაზრისით, მრავალი ასპექტი გააჩნია: საბუნებისმეტყველო, ტექნიკური, სოციალურ-

ეკონომიკური. ზნეობრივი და ა. შ. ამ პრობლემების გადაწყვეტაში უმნიშვნელოვანესი ადგილი სამართალს უკავია. სწორედ ამიტომ, ბუნებაში ადამიანის საქმიანობის შედეგად მიმდინარე პროცესები, უწინარეს ყოვლისა, სწორედ სამართალში აისახება. უფრო სწორად, ბუნების სამართლებრივი დაცვა გლობალური პრობლემის „საზოგადოება — ბუნება“ უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.


მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფით გამოწვეული განგაში უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში გამოიხატა. ეკოლოგიური პრობლემა გლობალური პრობლემაა, მისი სივრცითი განფენილობა არ შემოიფარგლება მხოლოდ დედამიწის ამა თუ იმ კუთხით, რა თქმა უნდა, ზოგან ეკოლოგიური საფრთხე მეტია, ვიდრე სხვაგან, მაგრამ ეს არ ცვლის პრობლემის არსს, გლობალური პრობლემის გადაჭრა, ცხადია, მოითხოვს საკითხებისადმი გლობალურ და მასშტაბურ მიდგომას, ამ მიზანს ემსახურება სახელმწიფოთა თანამშრომლობა გარემოს დაცვის სფეროში. ამგვარი თანამშრომლობის შედეგად ჩამოყალიბდა საერთაშორისო სამართლებრივ ნორმათა სისტემა, რომელსაც გარემოს საერთაშორისო დაცვის სამართალი ეწოდება. აღნიშნულ სფეროში საქმიანობა ემყარება პრინციპებს, რომელთა დიდი ნაწილი განმტკიცებულია საერთაშორისო დოკუმენტებში. მათგან აღსანიშნავია:

**გარემოს დაცვის პრინციპი.** ამ პრინციპის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ცალმხრივი ან ერთობლივი ღონისძიებები გარემოს შენარჩუნებისა და ბუნებრივი სიმდიდრეების რაციონალურად გამოყენებისათვის. სახელმწიფოები ვალდებული არიან ერთმანეთთან ითანამშრომლონ ამ საკითხების გადასაწყვეტად, ასეთი თანამშრომლობა ხორციელდება ხელშეკრულებების შესაბამისად, თანასწორუფლებიან და ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე.

**ბუნებრივ რესურსებზე განუყოფელი სუვერენიტეტის პრინციპი.** ეს პრინციპი განმტკიცებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეის რეზოლუციებში. მათგან მნიშვნელოვანია 1962 წლის 14 დეკემბრის რეზოლუცია „ბუნებრივ რესურსებზე განუყოფელი სუვერენიტეტი“. იგი ითვალისწინებს, რომ ყოველ სახელმწიფოს აქვს სუვერენული უფლება — თავისუფლად განკარგოს საკუთარი რესურსები გარემოს სფეროში თავისი პრიორიტეტის შესაბამისად და დაავალდებულოს სხვა სახელმწიფოები ატვივი სცენ ამ უფლებას.

**სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებს გარეთ გარემოსათვის ზიანის მიუყენებლობის პრინციპი.** მიჩნეულია, რომ ეს პრინციპი თავიდან ჩამოყალიბდა ჩვეულებითი ნორმის ფორმით. მაგრამ მან საყოველთაო აღიარება მოიპოვა და სტოკჰოლმის დეკლარაციაში ჩამოყალიბებულ იქნა შემდეგი სახით: გაეროს წესდებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, სახელმწიფოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, თუ მათი იურისდიქციის ფარგლებში საქმიანობა ზიანს აყენებს სხვა სახელმწიფოთა გარემოს. განსაკუთრებით საგარძნობია განსახილველი პრინციპის დარღვევა საბჭოთა კავშირის მიერ შავ ზღვაში, ბალტიის ზღვაში, ჩრდილოეთის ზღვაში და ა. შ.

გარდა აღნიშნულისა, არსებობს პრინციპების ერთი ჯგუფი, რომელიც, მართალია, საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში არ არის განმტკიცებული. მაგრამ ისინი სახელმწიფოთა ურთიერთობაში პრაქტიკულად მოქმედებენ, განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება ისინი დასავლეთის სახელმწიფოთა ურთიერთობაში. მათ მიეკუთვნება:



**ეკოლოგიური შეფასების პრინციპი.** ეს პრინციპი ავალდებულებს სახელმწიფოებს, მოახდინონ წინასწარი ეკოლოგიური შეფასება იმ საქმიანობისა, რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ეკოლოგიური ზარალი მათი იურისდიქციის ფარგლებს გარეთ. უნდა ითქვას, რომ ამგვარი შეფასების ინსტიტუტი დიდი ხანია განმტკიცებულია დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობაში. მისი მიზანი არაა მხოლოდ სხვა სახელმწიფოებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილება. უპირველესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაიცვას საკუთარი მოსახლეობა და ტერიტორია მავნე ეკოლოგიური შედეგებისაგან.

**ეკოლოგიური ინფორმაციის ურთიერთგაცვლის პრინციპი.** ამ პრინციპის თანახმად, ის სახელმწიფოები, რომელთა საქმიანობა ეკოლოგიური საფრთხის შემცველია, ვალდებული არიან ამ საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ სხვა სახელმწიფოებს, ან დაინტერესებულ პირებს. ცხადია, ამგვარი ინფორმაციის მიღება სასიცოცხლოდ აუცილებელია.

თუმცა, საბჭოთა კავშირში მსგავსი ინფორმაციის მოპოვება დიდ სირთულეს წარმოადგენდა. ეკოლოგიური კატასტროფების საყოველთაო ტაბუირების ძირობებში ეკოლოგიური საფრთხის ხსენებაც კი აკრძალული იყო. ამიტომ, დღეს ჩვენ არ გავგაჩნია რეალური მონაცემები ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის შესახებ, რაც ერთობ ართულებს ეკოლოგიური კატაკლიზმების წინააღმდეგ ბრძოლას.

**ურთიერთკონსულტაციების პრინციპი.** იგი ავალდებულებს სახელმწიფოებს, მოსალოდნელი ეკოლოგიური საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ურთიერთშორის გამართონ კონსულტაციები. მათი მიზანი შეიძლება იყოს მეცნიერული, ტექნიკური, ტექნოლოგიური თუ სხვაგვარი საკითხების შემუშავება კატასტროფების თავიდან ასაცილებლად.

საერთაშორისო პრინციპების გარდა გარემოს დაცვის სფეროში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ნაციონალურ ანუ შიდასახელმწიფოებრივ პრინციპებს, მათი ერთი ნაწილი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ზეგავლენით არის ჩამოყალიბებული. მაგალითად,

**ბუნებადაცვითი საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ადამიანთა ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესები.** ეს პრინციპი განმტკიცებულია გაეროს გენერალური ასამბლეის 1972 წლის 15 დეკემბრის XXVII სესიის რეზოლუციით, ასევე 1975 წლის 1 აგვისტოს დასკვნითი აქტით „ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ“ და სხვა. იგი ასახავს ადამიანური ყოფიერების არსს — ზრუნვას მომავალი თაობებისადმი. ცნობილია ძველი აღმოსავლური სიბრძნე: „ყოველ ადამიანს შეუძლია განვლილი ცხოვრება ამაოდ ჩათვალოს, თუ არ გაუზრდია არც ერთი ბავშვი, არ აუშენებია არც ერთი სახლი და არ დაურგავს არც ერთი ხე“.

დღეს არსებული ბუნებრივი რესურსები, გარემოს მდგომარეობა ავად თუ კარგად იძლევა ამჟამინდელი თაობის სიცოცხლის შენარჩუნების შესაძლებლობას. უდიდესი საფრთხე კი მომავალი თაობების სიცოცხლეს ემუქრება. კაცობრიობას მორალური მოვალეობა აკისრია იზრუნოს მომავალი თაობების გარემოს გაჯანსაღებისათვის.

აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლში: „ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის საქართველოს რესპუბლიკაში ზორციელდება საჭირო ღონისძიებანი

ბიწისა და მისი წილის; წყლის რესურსების, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენების მიზნით, ჰაერისა და წყლის სისუფთავის შენარჩუნების, ბუნებრივ სიმდიდრეთა აღდგენა-გამრავლებისა და ადამიანის გარემომცველი ბუნების გაუმჯობესების მიზნით“.


**ეკონომიკური განვითარება და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი შეხამებული უნდა იყოს გარემოს დაცვისა და ისტორიულ-კულტურული ფასეულობების შენარჩუნების ამოცანებთან.** როგორც მიჩნეულია, ეკოლოგიური კატასტროფიდან თავის დაღწევის ყველაზე უფრო რეალურ საშუალებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი წარმოადგენს, ამავე დროს, იგივე პროგრესი მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის მიზეზია. ამიტომ, ცალსახად მხოლოდ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაზე ლაპარაკი მიზანშეუწონელია. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას უნდა ემსახურებოდეს ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიებისა და მასალების, ასევე, სამშენებლო პროექტების, სახალხო-სამეურნეო ობიექტების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური გადაიარაღების სავალდებულო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება.

**გარემოს დაცვის ღონისძიებათა კომპლექსურობის პრინციპი.** ეკოლოგიური პრობლემა მრავალმხრივი პრობლემაა. მისი უარყოფითი შედეგები საგრძნობია რეალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ამავე დროს, ისინი იმდენად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი ცალ-ცალკე გადაწყვეტა შეუძლებელია. ეს ბუნებრივად იწვევს გარემოდაცვითი ღონისძიებების კომპლექსურობას. იგი ნაკარნახევია, უწინარეს ყოვლისა, ბუნების ერთიანობით. მაგალითად, შავი ზღვის სანაპიროდან სამშენებლო სილის ამოღებამ გამოიწვია სანაპირო ზოლის ჩაყალბვა ზღვის მიერ, ამას დაემატა ზღვაში ჩამდინარე წყალუხვ მდინარეებზე კაშხალების აშენება, რის შედეგადაც საგრძნობლად შემცირდა ზღვაში სილის ჩატანა. რასაც ეს მდინარეები აეცილებდნენ. ამიტომ, როდესაც ამგვარი საქმიანობა იგეგმება, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბუნების მოვლენათა მჭიდრო ურთიერთკავშირი.

**გარემოს დაცვის ეროვნული მნიშვნელობა.** ცნობილმა ქართველმა ფილოსოფოსმა, პროფესორმა ზურაბ კაკაბაძემ, ბუნების დაცვის ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ასპექტს მიაქცია ყურადღება. მისი აზრით, „კაცობრიობისათვის სრულიად არ კმარა ელემენტარულ დონეზე სიცოცხლე და, მაშასადამე, სიცოცხლის ელემენტარული პირობების შენარჩუნება; მას აგრეთვე კულტურის შენარჩუნება და განვითარება სჭირდება. ხოლო კაცობრიობის კულტურის შენარჩუნება და განვითარება ეროვნულ კულტურათა თავისებურებებისა და სხვადასხვაობის შენარჩუნებასა და განვითარებას გულისხმობს.“

...საქმე ისაა, რომ ბუნება, ბუნებრივი გარემო, თუ გნებავთ, უბრალოდ, ლანდშაფტის დონეზე, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მასში საუკუნეთა განმავლობაში მცხოვრები ხალხის ხასიათისა და კულტურის თავისებურებათა ჩამოყალიბებასა და განვითარებას“.

ამიტომ, ასკენის ზ. კაკაბაძე, „ბუნების დაცვისათვის აღძრული მოძრაობის აზრი არ ამოიწურება სიცოცხლის ელემენტარული პირობების დაცვის ამოცანით; კიდევაც რომ მოხერხდეს, ბუნების დიდი გარდაქმნების მიუხედავად, სიცოცხლის ელემენტარული პირობების შენარჩუნება, გადასაწყვეტი დაგვრჩება“.



ერის სიცოცხლის გადარჩენის პრობლემა". (ზ. კაკაბაძე, ფილოსოფიური საუბრები, თბ., 1988; გვ. 216-218).

მაშასადამე, ბუნებადაცვითი საქმიანობის მიზანი არის არა მხოლოდ სუფთა აერის, ნიადაგის, ტყეების და სხვა რესურსების შენარჩუნება, არამედ იმ გარემოს მაქსიმალური ხელშეუხებლობის მიღწევა, რომელიც აყალიბებს დამოუკიდებელ, თავისთავად ეროვნულ (ამ შემთხვევაში ქართულ) ხასიათს, ქართულ ფენომენს საქართველოს ისტორიული კუთხეების შესაბამისად.

გარდა ამ ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპებისა, არსებობს ასევე ცალკეული პრინციპები, რომელთაც ემყარება ესა თუ ის სამართლებრივი ინსტიტუტი. მაგალითად, ეკოლოგიური სამართალი იცნობს ბუნებათსარგებლობის ცალკეული სახეებისთვის პრიორიტეტების მინიჭების პრინციპს. ეს გამოწვეულია საზოგადოებისათვის მათი უპირატესად დიდი მნიშვნელობით. ასე, მიწათსარგებლობის დროს უპირატესობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო მიწათსარგებლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობისთვის გამოსადეგი მიწები, პირველ რიგში, ამ მიზნისთვის უნდა იყოს გამოყენებული. არ დაიშვება მათი გამოყენება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. წყალსარგებლობისას უპირატესობა ენიჭება სასმელი წყლით სარგებლობას.


სამართლის მეცნიერებაში ეკოლოგიური პრობლემების შემოჭრამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ზოგი ტრადიციული ინსტიტუტისა თუ კატეგორიის გაგებაზე. მაგალითად, შეიცვალა მიწის კერძო საკუთრების ტრადიციული გაგება. ეკოლოგიური პრიმატის აღიარება ნიშნავს კერძო მესაკუთრის ინტერესებისა და მისი უფლებამოსილების შეზღუდვას ბუნების დაცვის სასარგებლოდ. აბსოლუტური საკუთრების უფლების ადგილზე დამკვიდრებული საკუთრების სოციალური ფუნქციის შინაარსი გამდიდრდა ეკოლოგიური იმპერატივებითა და ეკოლოგიური პრინციპებით. მიწის საკუთრების უფლების შეზღუდვის პრეზუმფცია სამართლის ეკოლოგიზაციის პროცესის ერთ-ერთი აშკარა გამოხატულებაა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ აღნიშნულმა საკითხებმა უმთავრესი ყურადღება სამართლის სისტემის მკვლევარ იურისტთა შრომებში დაიმსახურეს, ეს იმით აიხსნება, რომ ეკოლოგიური სამართლის ცნების საკითხი უშუალოდაა დაკავშირებული სამართლის სისტემის განსაზღვრის საკითხთან.

სამართლის სისტემის აგების ტრადიციული კრიტერიუმების მიხედვით — საგანი და მეთოდი — ეკოლოგიური სამართალი — ვერ პოულობს დამოუკიდებელ ადგილს სამართლის სისტემაში. ამავე დროს, ეს არ არის მხოლოდ ეკოლოგიური სამართლის პრობლემა. ამ კრიტერიუმებით ძნელდება ისეთი დარგების აღიარება დამოუკიდებელ დარგებად, როგორცაა შრომის სამართალი, მიწის სამართალი, საფინანსო სამართალი და ა. შ., რომელთა არსებობა სამართლის მეცნიერებაში უკვე ეჭვს არ იწვევს. ამის გამო, სამართლის სისტემის საკითხი სამართლის მეცნიერებაში დიდი ხანია მსჯელობის საკითხია. ჩვენ არ შეგუბებით იმ მოსაზრებებს, რომლებიც კარგადაა ცნობილი მეცნიერ-იურისტებში ამ პრობლემების თაობაზე. შევეცდებით გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის სისტემა ობიექტურად არსებული რეალობაა. ამ აზრით, მისი არსებობა ობიექტური საზოგადოებრივი ურთიერთობებითაა განპირობებული.

მაგრამ ეს არ არის საკმარისი. თავისთავად, ობიექტურად ბევრი ურთიერთობა არსებობს, მაგრამ ისინი არ იწვევენ სამართლის დარგის წარმოშობას. მთავარია ამ ურთიერთობებმა, ამ მოვლენებმა, სახელმწიფოსთვის, კანონმდებლისთვის, ღირებული მნიშვნელობა შეიძინოს. ამის შემდგომ კანონმდებელი ცდილობს მისთვის სასურველი ხასიათი მისცეს ამ ურთიერთობებს, შეუსაბამოს ისინი საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესებს. ამიტომ იგი ირჩევს ურთიერთობების მოწესრიგების შესაბამის საშუალებებს. რაც აღნიშნულ ურთიერთობათა ან მოვლენათა უზრუნველყოფის მიზანშეწონილობით არის სახელდებული. ვფიქრობთ, სამართლის ცალკე დარგად გამოყოფას საფუძვლად უდევს მიზანშეწონილობა, ე. ი. კანონმდებლის მიზანმიმართული ნება — ცალკე მოაწესრიგოს ესა თუ ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, მისცეს მას სასურველი ხასიათი და ფორმა, შეუსაბამოს იგი საზოგადოების ინტერესებს. საბოლოოდ ეს მიზანშეწონილობა ობიექტური მოვლენებითაა დეტერმინირებული, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით ვოლუნტარიზმს და ამის შედეგად სამართლის მოწყვეტას რეალობიდან, რაც თავის მხრივ საფუძველია ე. წ. „ქალაქის სამართლის“ წარმოშობისთვის. ობიექტური მოვლენები, ურთიერთობები, სახელმწიფოს დაინტერესების საგანი უნდა გახდეს, კანონმდებელმა ისინი მისთვის ღირებულად და აუცილებლად უნდა ჩათვალოს. ამ ინტერესის წარმოშობა იწვევს კანონმდებელში საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების ადეკვატური მეთოდების შერჩევას. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო ურთიერთობები დასავლეთ ევროპაში სამრეწველო რევოლუციამდე მხოლოდ კერძო-სამართლებრივი ნორმებით რეგულირდებოდა. სამრეწველო რევოლუციის შემდგომ პერიოდში, როცა გაიზარდა ქალაქების და შესაბამისად, მუშათა რაოდენობა, სახელმწიფოს გაუჩნდა ინტერესი უზრუნველყო ქალაქებში კვების პროდუქტებით მუშათა მომარაგების პროცესი. ამის შედეგად წარმოიშვა სასოფლო-სამეურნეო ურთიერთობათა საჯარო სამართლებრივი რეგულირება. ე. ი. სახელმწიფომ მიზანშეწონილად მიიჩნია ამ ურთიერთობათა ცალკე მოწესრიგება.

სამართლის დარგის ჩამოყალიბებაში კანონმდებლის მიზანშეწონილობის უპირატესი როლის სასარგებლოდ მეტყველებს სამართლის ბევრ დარგის წარმოშობის ისტორია. მათ შორის, იმ დარგებისაც, რომლებიც დღეს სამართლის ფუნდამენტურ დარგებად არის მიჩნეული, მაგალითად, სამოქალაქო სამართალი. ცნობილია, რომ ცნება „სამოქალაქო სამართალი“ შემოღებულ იქნა პირველ საუკუნეებში ძველი რომაელების მიერ. თავდაპირველად რომში შექმნილი სამართალი ვრცელდებოდა მხოლოდ რომის მოქალაქეებზე. ყველა დანარჩენს — უცხოელებს — დიდი ხნის განმავლობაში მტრებად მიიჩნევდნენ. მაგრამ სვაჰტო ურთიერთობების განვითარებასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა სახელმწიფოს შეეცვალა დამოკიდებულება მათ მიმართ. ვინც მოქალაქეებს არ წარმოადგენდნენ, ამ მიზნით, თანდათანობით ჩამოყალიბდა სპეციალურად მათთვის გათვალისწინებული ნორმები. ამგვარად შეიქმნა სამართლის ორგვარი სისტემა: მისი ერთი ნაწილი ვრცელდებოდა მხოლოდ უცხოელებზე, ხოლო მეორე — მხოლოდ რომაელ მოქალაქეებზე. პირველს ეწოდებოდა ხალხთა სამართალი (Ius Gentium), ხოლო მეორეს — მოქალაქეთა სამართალი ანუ სამოქალაქო სამართალი (Ius Civile). ე. ი. სახელმწიფოს;



კანონმდებლის დაინტერესება, მისი მიზანშეწონილობა — ცალკე მოწესრიგებინა რომაელთა მონაწილეობით წარმოშობილი ურთიერთობები, გახდა საფუძველი სამართლის ცალკე დარგის წარმოშობისა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ურთიერთობა — უცხოელთა მონაწილეობითაც და რომაელთა მონაწილეობითაც — აიექსტურად ერთი და იგივე ხასიათისა იყო, ისინი ცალ-ცალკე სამართლის სისტემებით მოწესრიგდა.

წინილობა, საბოლოოდ, დეტერმინირებულია ობიექტური ვილარებებით, საზოგადოებრივი ურთიერთობების ხასიათით. მაგალითად, შრომითი ურთიერთობები, დიდი ხნის განმავლობაში სამოქალაქო სამართლის ნორმებით რეგულირდებოდა. მაგრამ შრომითი ურთიერთობების გართულებამ, მასში ბევრი საჯარო ინტერესის მქონე საკითხის წარმოშობამ, აუცილებელი გახადა ამ ურთიერთობათა განცალკევებული მოწესრიგება. ამრიგად, სამართლის ცალკე დარგად ჩამოყალიბდა შრომის სამართალი.

საზოგადოებრივი ცხოვრება მეტად რთულია. მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური რევოლუციების შედეგად კი იგი უაღრესად გართულდა. წარმოიშვა ისეთი ურთიერთობები, რომლებიც ადრე მხოლოდ ფანტაზიის სფეროს მიეკუთვნებოდნენ. ათვისებულ იქნა და ადამიანთა ინტენსიური ექსპლუატაციის ობიექტი გახდა დედამიწის ახლოს მდებარე კოსმოსური სივრცე. ამან კი ამ სფეროში წარმოშობილ ურთიერთობათა სპეციალური სამართლებრივი მოწესრიგება მოითხოვა. სახელმწიფოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ ეს ურთიერთობები განსაკუთრებული საქმიანობის საგანი გახდა. საბოლოოდ ყოველივე ეს გაფორმდა კოსმოსურ სამართალში, რომლის არსებობა დღეს უკვე ეჭვს არ იწვევს. ამგვარადვე ჩამოყალიბდა სამართლის ცალკე დარგად ატომური სამართალი.

ამჟამად დასავლეთის მეცნიერები მსჯელობენ არადედამიწიურ ცივილიზაციებთან შესაძლო კონტაქტების შესახებ. ამ დროს წარმოიშობა ურთიერთობები, რომლებიც აუცილებელ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს. ასე ჩნდება იურისტთა შორის ე. წ. მეტასამართლის იდეა. ამ პრობლემების ეძღვნება ამერიკელი იურისტი მეცნიერების ე. ჰეილისა და ე. ფაუნის კვლევები.

ეჭვს არ იწვევს, რომ შეუძლებელია ამ ურთიერთობათა განსაზღვრა ერთ-ერთი საზოგადოებრივი ურთიერთობების ნიშნით, ან მათი მოქცევა ტრადიციული სამართლის დარგების სისტემაში.

ამ რიგის დარგებს მიეკუთვნება ეკოლოგიური სამართალი. ინდუსტრიალიზაციის განვითარებამ ადამიანი გლობალური საფრთხის წინაშე დააყენა. წარმოიშვა ურთიერთობათა მთელი კომპლექსი, რომელიც სამართლის არც ერთი დარგით არ არის სრულყოფილად მოწესრიგებული, არადა მათი სამართლებრივი უზრუნველყოფა სასიცოცხლოდ აუცილებელია. ეს აუცილებლობა, უწინარეს ყოვლისა, უკვე გაცნობიერდა საერთაშორისო დონეზე. სახელმწიფოთა თანამშრომლობამ ამ სფეროში მაღალ დონეს მიაღწია. წარმოიშვა გარემოს საერთაშორისო დაცვის სამართალი. იგი უკვე აღიარებულია და მისი არსებობა ეჭვს არ იწვევს.

ეკოლოგიურმა პრობლემებმა სახელმწიფოებისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ჯერ ერთი, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების

არსებობა ამ სფეროში მათ ავალდებულებს შესაბამისობაში მოიყვანონ ნაკონ-  
ნალური სამართალი; მეორე, ამ ურთიერთობათა განცალკევებული სამართლებრივი  
მოწესრიგება მათივე სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარეობს.  
წარმოიშვა სახელმწიფოთა საქმიანობაში დამოუკიდებელი ფუნქცია — ეკოლო-  
გიური ფუნქცია. პრობლემამ სახელმწიფოებრივი აღიარება უკვე ჰპოვა — კ-  
ნონმდებლობა, თუმცა ჯერ არასრულყოფილი. უკვე ჩამოყალიბდა საზოგადო-  
ებრივმა ურთიერთობებმა ამ სფეროში ცალკე გამოკვეთილი ხასიათი მიიღო.  
სახელმწიფო დაინტერესებულია რაციონალურად, სრულყოფილად მოაწესრი-  
გოს ეს საკითხები. ამ ინტერესის უზრუნველყოფის პროცესში წარმოიშობა  
ურთიერთობები, რომლებიც მოწესრიგებულია ეკოლოგიური სამართლით.

თავისი ხასიათით ეს ურთიერთობები მრავალგვარია — ქონებრივი, მმარ-  
თველობითი, საფინანსო, მიწის, კერძო, საჯარო და ა. შ. მაგრამ მათ აერთიან-  
ნებთ ერთი მიზანი — უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანისთვის ისეთი გარემო,  
რომელიც შექმნის მისი ნორმალური არსებობის პირობებს.

მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხემ საზოგადოება აი-  
ძულა იბრძოლოს ბუნებრივი გარემოს გადარჩენისთვის, რაც საბოლოოდ მი-  
ზნად ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფას ისახავს.  
ჩამოყალიბდა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქცევის წესების მთელი სისტემა,  
რომელმაც უნდა მოაწესრიგოს ურთიერთობები ბუნების ობიექტებით სარგებ-  
ლობისა და გარემოს დაცვის სფეროში. ამ ქცევის წესების გამოყენების შედე-  
გად წარმოიშვა სამართლებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა. მათი ერთობ-  
ლიობა შეადგენს სამართლის დამოუკიდებელ დარგს — ეკოლოგიურ სამარ-  
თალს.

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ეკოლოგიური სამართალი არის სა-  
მართლის კომპლექსური დარგი. მათი აზრით, კომპლექსურია იმიტომ, რომ იგი  
აერთიანებს სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმებს — სამოქალაქო, ადმინისტ-  
რაციული, საფინანსო, შრომის, სისხლის სამართლის და ა. შ. ვფიქრობთ,  
რომ ამგვარი გაგება არ უნდა იყოს მართებული, დღევანდელ პირობებში სამარ-  
თლის არც ერთი დარგი არ არის თავისუფალი სამართლის სხვადა-  
სხვა დარგის ნორმებისაგან. წმინდა სახით სამართლის ნორმა ამა თუ  
იმ დარგის მიხედვით თითქმის არ არსებობს. მაგალითად, თვლიან, რომ  
საბინაო სამართალი არის სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი. მაგრამ სა-  
ბინაო-სამართლებრივ ნორმათა დიდი უმრავლესობა ადმინისტრაციულ-სამართ-  
ლებრივია: საბინაო ფონდის მართვა, ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანის წეს-  
ები, ორდერი და ა. შ. როგორ უნდა მოვიქცეთ? ვთქვათ, რომ სამოქალაქო სა-  
მართალი კომპლექსური დარგია, ვინაიდან იგი შეიცავს ადმინისტრაციულ-სა-  
მართლებრივ ნორმებს? რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელია. ამიტომ სამართლის  
დარგების დაყოფა კომპლექსურ დარგებად იმის გამო, რომ სამართლის სხვა-  
დასხვა დარგის ნორმებს შეიცავს, არ მიგვაჩნია სწორად ეს მეტად  
პირობითი დაყოფა. სამართლის ყველა დარგი შეიცავს მეტ-ნაკლებად სამარ-  
თლის სხვადასხვა დარგის ნორმებს. სამართლის დარგი შეიძლება კომპლექ-  
სური იყოს (ესეც მხოლოდ პირობით) მხოლოდ გარდამავალ პერიოდში, სანამ  
დასრულდება მისი დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბება. სხვა მხრივ სამარ-  
თალში არ შეიძლება იყოს კომპლექსური დარგები. შეიძლება იყოს მხოლოდ  
კომპლექსური ინსტიტუტი.






გამოთქმულია ასევე მოსაზრება, რომ ეკოლოგიური სამართალი არის სამართლის ინტეგრირებული დარგი, ვინაიდან იგი აერთიანებს სამართლებრივ ისეთ დამოუკიდებელ დარგებს, როგორცაა მიწის, წყლის, წიაღის, ტყის სამართალი, ჩვენ უფრო მართებულად ვთვლით იმ მოსაზრებას, რომელიც ჩამოთვლილ დარგებს მიიჩნევს ეკოლოგიური სამართლის ინსტიტუტებად. ცხადია, რომ ეს დარგები დღეს დამოუკიდებელ დარგებად ითვლება, მაგრამ სამართლის განვითარების ობიექტური და დიალექტიკური პროცესების შედეგად ისინი მომავალში უფრო დიდი დარგის ნაწილი გახდებიან. ამასთან უნდა ითქვას, რომ სამართლის სისტემა არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, ჩაკეტილი სისტემა. ეს სამართლის სისტემის საბჭოური გაგების ალბათ უდიდესი ნაკლია: ცდა, სისტემის განსაზღვრისა მხოლოდ საგნისა და მეთოდის კრიტერიუმებით, ალბათ არასრულყოფილია.

სადავოა საკითხი ეკოლოგიური სამართლის სახელწოდების შესახებ. ერთ-ნი თვლიან, რომ ამ დარგს უნდა ეწოდოს ბუნებრივი რესურსების სამართალი და გარემოს სამართლებრივი დაცვა. მეორენი ფიქრობენ, რომ უფრო სწორი იქნება ეწოდოს „გარემოს სამართალი“. ამას ისინი ასაბუთებენ იმ გარემოებით, რომ საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტებით და ნორმებით სწორედ ამ ტერმინს ხმარობენ. მესამენი უპიიტესობას „ეკოლოგიურ სამართალს“ ანიჭებენ.

ჩვენი აზრით, პრინციპული განსხვავება არ უნდა არსებობდეს ამ ორ უკანასკნელ სახელწოდებას შორის. შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცნება გარემოს სამართალი, მით უმეტეს, რომ საზღვარგარეთის ქვეყნები უფრო ამ ტერმინს იყენებენ. მაგალითად. გერმანიაში — Umweltrecht, ინგლისურენოვან ქვეყნებში — enviromental law და ა. შ. მაგრამ, ვინაიდან. სიტყვა ეკოლოგიამ საყოველთაო გავრცელება ჰპოვა, მისი ბუნება ავტომატურად იწვევს რთულ ეკოლოგიურ პრობლემებზე ყურადღების გამახვილებას, ამ ეტაპზე სასურველია სამართლის აღნიშნულ დარგს ეწოდოს ეკოლოგიური სამართალი, სამომავლოდ კი, იქნება სჯობდეს მისთვის გარემოს სამართლის დარქმევა.

დაბოლოს, უკანასკნელ პერიოდში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებისა და დაწესებულებების პრაქტიკაში ფართოდ ინერგება ეკოლოგიური (გარემოს) სამართლის ახლებური, ფართო გაგება. მას განიხილავენ როგორც ახალ სუპერდარგს, რომელიც შეიცავს ნაციონალური და საერთაშორისო სამართლის ნორმებს.





ირცა პასპორტიზაციით სადაო საცხოვრებელ ფართობზე რიცხული სათავსოს სხვაზე მიკუთვ-  
ნებით, შიითხოვოს დარღვეული უფლების დაცვა სარჩელის წარდგენით.

ვფიქრობთ განმარტება ამ ნაწილში ასე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი: თუ ბინაზე იმავე  
საართულზე არ აღმოჩნდა მობინადრე, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს განთავი-  
სუფლებული იწოლირებული საცხოვრებელი სადგომი, ან იგი ტექნიკური და სანიტარული  
მდგომარეობის გამო ჩამოწერილ იქნა დამხმარე სათავსოდ, მობინადრებს შორის ან სხვა გა-  
რეშე პირთან დავა განაწილების კანონიერების შესახებ, სასამართლოს განსჯადი არ არის, ვი-  
ნაიდან, აქ ფაქტობრივად ლაპარაკია განთავისუფლებული ფართობის ვადანაწილებაზე.


მაშასადამე, დავის სასამართლო განსჯადობის საკი ბი დ წყვეტის მთავარი მომენტი  
იმის განსაზღვრა, აქვს თუ არა მობინადრეს ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებუ-  
ლი საფუძველი — მოითხოვოს განთავისუფლებული საცხოვრებელი სადგომის გადაცემა და კა-  
ნონით გათვალისწინებული საფუძველით აუენებს დარღვეული უფლების აღდგენის საკითხს.

საბინაო დავების უმრავლესობა განქორწინებულ შეუღლებულ ბინის ფართობზე უფლე-  
ბის განხილვას მოიცავს, ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ პრაქტიკის მიმოხილვა ამ საკი-  
თხსაც ეხება. საზოგადოებაში სასამართლოებს საყვედურობენ, რომ ფორმალურად უდგე-  
ბიან ამ დავების განხილვას, მტრულად განწყობილ განქორწინებულ შეუღლებულ ანახლებენ  
ყოფილ ოჯახის წევრებთან, რაც კონფლიქტის ლიკვიდაციის ნაცვლად კიდევ უფრო ამწვა-  
ვებს ოჯახურ შინაომებს. სამართლიანად მიიჩნევენ, რომ მშობლების მიერ ათეული წლების  
განმავლობაში გაქირვებით მიღებული ბინის ახე ხელაღები გაყოფა და დაქუცმაცება, კარგ  
არაფერს მოასწავებს ოჯახისათვის. რა თქმა უნდა, საკითხი მეტად საჭირობოროტო და პრობ-  
ლემატურია. მას ვერც სასამართლო გადაწყვეტს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩაურე-  
ვლად, მაგრამ რაღაც ერთიანი კრიტერიუმები კი უნდა გვქონდეს. არ უნდა დავუშვათ სხვა-  
დასხვანაირი მიდგომა ძირითადად ერთნაირი სიტუაციისაღმე, როდესაც ერთ შემთხვევაში  
შესახლდება ყოფილი შეუღლები, რომელმაც ორი-სამი თვე იცხოვრა, დადგენილი წესით ჩასახ-  
ლებულია მშობლებთან და მაშასადამე უზრუნველყოფილია ფართობით, ხოლო მეორე შემ-  
თხვევაში, შეიძლება ჩაწერილ ბავშვიან შეუღლებს უარი ეთქვას იმ მოტივით, რომ ვერ იცხო-  
ვრა ბინაში რემონტის გამო, რომელიც, როგორც ცნობილია, ჩვენს რესპუბლიკაში წლობით  
მომდინარეობს და ეს მოტივი, უდავოდ, საპატიოდ უნდა ჩაითვალოს; ვინაიდან იგი ვერ ახ-  
როციელებს უფლებას — იცხოვროს ბინაში, სადაც ჩაწერილია მასზე დამოუკიდებელი მიწზე-  
ბის გამო.

ვფიქრობ, შეიძლება მოინახოს ერთიანი მოდუსი, რაც დაგვეზმარება ამ მეტად კონ-  
ფლიქტური დავების შესაძლებლად სწორად გადაწყვეტის საქმეში.

უნდა დავიცვათ ამ ცოტა ხნის წინ შემოდებული უთუოდ სწორი სასამართლო პრაქტი-  
კა იმის შესახებ, რომ ჩასახლება დადგენილი წესით უნდა მოხდეს, რაც ჩაწერის წესების და-  
ცვას მოითხოვს. სასამართლოს მაშინაც შეუძლია იცნოს ჩასახლებული პირის უფლება ფა-  
რთობზე, როდესაც მას ჩაწერაზე უსაფუძვლოდ ეთქვა უარი. ამასთან, ფართობზე უფლება  
მარტო ჩაწერით არ წარმოიქმნება. ჩაწერას იურიდიული მნიშვნელობა ენიჭება სხვა გარემო-  
ებებთან ერთად — ქორწინების რეგისტრაცია, ოჯახის წევრად ფაქტობრივად ჩასახლება და  
სხვა.

თუ არ არის დაცული დადგენილი წესით ჩასახლების მოთხოვნა, ჩასახლებული პირის  
ფართობზე უფლების ცნობისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებად უნდა მივიჩნიოთ  
მისი ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტი. თუ შეუღლები შევილებით წლების მანძილზე ცხოვრო-  
ბდა და საქმიანობდა ოჯახში, ზრდიდა შვილებს, მუშაობდა, მარტო ის გარემოება, რომ იგი  
ჩაწერილი არ აღმოჩნდა, ვერ ვახდება ფართობზე უარის თქმის საფუძველი. არსებითია ჩაწე-  
რის ადგილზე ფართობით უზრუნველყოფის ფაქტორიც. ჩასახლების ძირითადი პირობაა ოჯა-  
ხის სხვა წევრების თანხმობა. ამასთან, საბინაო კოდექსის მმ-ე მუხლი საქმარისად თვლის  
უბრალო (არა წერილობითი) თანხმობის არსებობას. ამიტომ სწორად უნდა ჩაითვალოს სასა-  
მართლოს პრაქტიკა, რომელიც ოჯახის სხვა წევრების თანხმობას დადგენილად მიიჩნევს თუ  
ჩასახლებული პირის ხანგრძლივი ცხოვრების პერიოდში ეს პირები თავისი ქვევით უდაოდ  
გამოხატავენ ფაქტობრივ თანხმობას. არ აცხადებდნენ სათანადო ორგანოებში პრეტენზიას.



## დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების კონფისკაცია

დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების ჩამორთმევა სპეციალური კონფისკაციის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს.

ისევე როგორც დანაშაულის იარაღის, დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების ბედის გადაწყვეტა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლით. დანაშაულის იარაღის ჩამორთმევაც და დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების კონფისკაციაც მიეკუთვნება სისხლის სამართლით გათვალისწინებული კონფისკაციის სახეებს. მაგრამ ერთი და მეორეც გამოიყენება არა როგორც დამატებითი სასჯელი, არამედ როგორც პროცესუალურად დადგენილი, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიება, რომელსაც ამის გამო პროცესუალურ კონფისკაციასაც უწოდებენ.

მიუხედავად ამისა, სამართლებრივი შინაარსით, დანაშაულის იარაღი და დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონება, არ შეიძლება ერთმანეთთან გაავივივოთ. დანაშაულის იარაღის კონფისკაცია არ მოითხოვს პროცესუალურ მტკიცებულებას, საკმარისია ის ცნობილ იქნეს ნივთმტკიცებად, რომ სასამართლომ ან საქმის შემწყვეტმა სხვა ორგანომ მას კონფისკაცია გაუკეთოს. ამასთან, სავალდებულო არ არის აქ განაჩენის დადგენა. შეიძლება საქმე წარმოებოთ შეწყდეს არამარეაბილიტირებელი საფუძვლით (ამნისტია, გარდაცვალება, ხანდაზმულობა და სხვა), მაგრამ დანაშაულის იარაღის კონფისკაცია მაინც უნდა მოხდეს. სხვაგვარად წყდება საკითხი დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების მიმართ. აქ, უმთავრესად, საჭიროა პროცესუალურად დადასტურდეს, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. მოქმედი კანონით ამის დადასტურება შეუძლია სასამართლოს, რადგან 77-ე მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულია, რომ ასეთი ქონება სასამართლოს განაჩენით ჩაირიცხება სახელმწიფო შემოსავალში. ე. ი. გამოდის, რომ საქმის შეწყვეტის შესახებ გამოტანილი განჩინებით ამ საკითხის გადაწყვეტა არ დაიშვება. როცა ასეთი ქონება ცნობილია ნივთმტკიცებად და საქმეზე განაჩენის დადგენამდე გახდა აუცილებელი საქმის შეწყვეტა (გარდაცვალება, ამნისტია და სხვა), საქმის შეწყვეტის დადგენილებით თუ განჩინებით არ შეიძლება გადაწყდეს დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების ბედი. ეს საკითხი გადასაწყვეტად გადაეცემა სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით (პროკურორის სარჩელით), რომელიც

დაადგენს არის თუ არა ეს ქონება უსაფუძვლოდ შეძენილი და გადაწყვეტს სა-  
ხელმწიფო შემოსავალში მისი ჩარიცხვის საკითხს.

როგორც ვხედავთ, ქონების დანაშაულებრივი გზით შეძენილად ცნობა  
და მისი კონფისკაცია არა მარტო საპროცესო კანონმდებლობითაა გათვა-  
ლისწინებული, არამედ ხწორედ სასამართლოს პროცესუალური საქმიანობით  
უნდა გადაწყდეს ეს თუ ის ქონება დანაშაულებრივი გზითაა თუ არა შეძენილი.

ფული თუ სხვა ფასეულობა შეიძლება უშუალოდ დანაშაულებრივი ქმე-  
დების ჩადენითაც იქნეს მოპოვებული (ქურდობა, ძარცვა და სხვა). აქ სადაო  
არაფერია, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზით შეძენილად ჩაითვალოს.  
ზოგჯერ სისხლის სამართლის კანონი სპეციალურად ითვალისწინებს ასეთი  
ქონების კონფისკაციას, ძირითადად კი სასამართლოს პროცესუალური საქმი-  
ანობით უნდა დამტკიცდეს, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზით არის მო-  
პოვებული.

77-ე მუხლის მე-4 პუნქტი ლაპარაკობს ფულის და სხვა ფასეულობის  
სახელმწიფო შემოსავალში ჩარიცხვაზე. სხვა ფასეულობაში კანონმდებელი  
გელისხმობს ძვირფას ლითონებს (ოქრო, ვერცხლი, პლატინა), ძვირფას ქვებს  
და მათ ნაწარმს, ანტიკვარულ ნივთებს, ხელოვნების ნაწარმოებებს, საცხოვრე-  
ბელ სახლს, აგარაკს, ავეჯს, ავტომანქანას და ა. შ., რომლებიც შეძენილია და-  
ნაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრებით.

როცა სისხლის სამართლის კანონი პირდაპირ მიუთითებს დანაშაულებრი-  
ვი გზით შეძენილი ქონების კონფისკაციის შესახებ, სასამართლოსათვის შედა-  
რებით ძნელი აღარ არის პროცესუალურად იმის მტკიცება, ნამდვილად დანა-  
შაულებრივი გზითაა თუ არა ის მოპოვებული.


სისხლის სამართლის კოდექსის ბევრი მუხლი პირდაპირ უთითებს დანა-  
შაულებრივი გზით შეძენილი საგნების კონფისკაციაზე. ცხადია, ყველა დანა-  
შაულისათვის არ შეიძლება კოდექსში იყოს ჩაწერილი თუ რომელი საგანი  
ჩაითვალოს დანაშაულის იარაღად და დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქო-  
ნებად და როდის გაუკეთდეს მას კონფისკაცია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ზოგი-  
ერთი დანაშაულის მიმართ გაუგებარია კანონმდებლის მოსაზრება, თუ რატომ  
არ არის გათვალისწინებული დანაშაულის საგნების კონფისკაცია. მაგალითად,  
სისხლის სამართლის კოდექსის 172-ე მუხლი აკრძალული სახე-  
ობის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მარტივი სახისათვის  
(პირველი ნაწილი) ითვალისწინებს წარმოების იარაღებისა და ნე-  
ღლეულის კონფისკაციას, კვალიფიციური სახისათვის კი (მეორე ნაწილი) აღარ  
ითვალისწინებს; 182-ე მუხლი სახელმწიფოსათვის ოქროს ჩაბარების წესების  
დარღვევისათვის პირველი ნაწილით (მარტივი სახე) ითვალისწინებს ამოღებულ  
ფასეულობათა კონფისკაციას, მეორე ნაწილით (კვალიფიციური სახე) კი არა.

აღნიშნული გარემოება კანონის ხარვეზს წარმოადგენს და უნდა გასწორ-  
დეს, რამდენადაც მას არაფრით არა აქვს გამართლება. თუ დანაშაულის მარ-  
ტივი სახეზე აუცილებელია დანაშაულებრივი გზით შეძენილი საგნების თუ  
დანაშაულის იარაღის კონფისკაცია, მით უფრო აუცილებელი უნდა იყოს

ეს ამ დანაშაულის კვალიფიციური სახისათვის. ამას ვერც ის გარემოება, ამართლებს, რომ ამ დანაშაულთა კვალიფიციური სახისათვის სავალდებულო წესით არის გათვალისწინებული კონფისკაცია, როგორც დამატებითი სასჯელი. შესაძლებელია საქმეზე საერთოდ არ დადგინდეს განაჩენი, საქმე წარმოებით შეწყდეს, ანდა განაჩენით მსჯავრდებული პირი საერთოდ განთავისუფლდეს სასჯელისაგან, მათ შორის დამატებითი სასჯელისაგან. ასეთ შემთხვევებში ხომ აუცილებელია გადაწყდეს დანაშაულის იარაღისა და საგნების კონფისკაციის საკითხი. როცა კოდექსის მუხლის ერთი ნაწილი ითვალისწინებს ასეთ კონფისკაციას (და მეორე არა, ამან შეიძლება გაუგებრობა და საკითხის არასწორად გადაწყვეტა გამოიწვიოს. ამიტომ, ეს ხარვეზი უნდა შეივსოს კანონმდებლობაში. ასეთივე ხარვეზია სისხლის, სამართლის კოდექსის ზოგიერთ მუხლში, რომელიც ისეთ დანაშაულს ეხება, რომლის ჩადენის დროს საჭირო ხდება დანაშაულის იარაღისა თუ სხვა საგნის კონფისკაცია და ამის შესახებ სანქციაში საერთოდ არაფერია ნათქვამი. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთ მუხლში საჭიროა მიეთითოს დანაშაულის იარაღის თუ საგნების კონფისკაციის შესახებ, ისევე როგორც ეს ზემოთ დასახელებულ მუხლებშია მოცემული. მაგალითად, 79-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის — კონტრაბანდისათვის სასჯელად გათვალისწინებულია სამიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით. ამ დანაშაულის ჩადენის დროს სხვადასხვა საგანი გამოიყენება დანაშაულის იარაღად, რომელთა კონფისკაციაც უნდა მოხდეს. ამიტომ, უმჯობესი იქნება თუ მათი კონფისკაციის შესახებ მიუთითებს ამ მუხლის სანქცია.

შემთხვევით როდი იყო რომ კანონის ამ ხარვეზის ერთგვარი შევსების ცდას წარმოადგენდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1978 წლის 3 თებერვლის № 2 დადგენილება რომლის მე-7 პუნქტი განმარტავდა: „მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კონტრაბანდის საგნები, როგორც ნივთმტკიცება, ექვემდებარება კონფისკაციას სახელმწიფო შემოსავალში. ასევე ექვემდებარებიან კონფისკაციას გადაზიდვის და სხვა საშუალებები, როგორც დანაშაულის იარაღი, თუ ისინი მოწყობილი იყო სპეციალური საცავებით საქონლის თუ სხვა ფასეულობის დასამალავად. სსრ კავშირის საზღვარზე გადასვლის დროს ავტომისაბმელებზე მოწყობილ სპეციალურ საცავებზე კონტრაბანდის საგნების აღმოჩენისას კონფისკაციას ექვემდებარება ავტომისაბმელიც ავტომანქანასთან ერთად, როგორც ერთიანი გადაზიდვის საშუალება. თუ კონტრაბანდის საგნები რეალიზებულია დამნაშავის მიერ, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მსჯავრდებულისათვის მათი ღირებულების დაკისრების საკითხი სახელმწიფო შემოსავალში ჩასარიცხად“. ამ განმარტების შინაარსი თავისთავად მიგვანიშნებს, რომ 79-ე მუხლში მითითებული უნდა იყოს კონტრაბანდის საგნებისა და დანაშაულის იარაღის კონფისკაციის შესახებ.

აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 194-ე მუხლით კონტრაბანდა იწვევს კონტრაბანდის საგნების კონფისკაციას, მაგრამ იქვე ხაზგასმულია რომ პირი, რომელმაც არ იცოდა მისთვის აღმოჩენილი საგნების კონტრაბანდული წარსული, არ ჩაითვლება კონტრაბანდის ჩამდენად. ეს გარემოება



გათვალისწინებული უნდა იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის შემოღების შემთხვევაში სახელეუბლო 79-ე მუხლშიც.

საჭიროა სპეციალური კონფისკაციის ბუნების ახსნა, მისი განსხვავება დამატებითი სასჯელის სახით გამოყენებული კონფისკაციისაგან, რადგან პრაქტიკაში არის შეცდომები, როცა მათ ერთმანეთში ურევნენ და დამატებით სასჯელად ქონების კონფისკაციას არ უფარდებენ იმის გამო, რომ ესა თუ ის ქონება დანაშაულებრივი გზით არ იყო შეძენილი. როგორც უკვე ითქვა, ე. წ. სპეციალური კონფისკაციის დროს ამა თუ იმ ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა ხდება არა როგორც დამატებითი სასჯელის სახით კონფისკაციის შეფარდებით, არამედ პროცესუალური გზით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის გამოყენებით.

თავის მხრივ, 77-ე მუხლის კონსტრუქცია, ჩვენი აზრით, იურიდიულ სინჯუსტეს მოკლებულია და უნდა შეიცვალოს.

ჯერ ერთი, ამ მუხლის პირველი ნაწილი არასრულია და შევსებას მოითხოვს. კერძოდ, აქ ნათქვამია: „განაჩენში, განჩინებასა და დადგენილებაში საქმის შეწყვეტის შესახებ აღინიშნება, თუ რა ბედი უნდა ეწიოს ნივთიერ მტკიცებულებებს“. ერთი შეხედვით იგულისხმება, რომ ლაპარაკია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, ფაქტობრივად კი ამ საკითხს წყვეტს სათაზრო დადგენილებით პროკურორიც, გამოძიებელიც და მოკვლევის ორგანოც. ამიტომ, სრულად უნდა იყოს მითითებული, რომ საკითხი წყდება სასამართლოს განაჩენით, განჩინებით ან დადგენილებით. ანდა პროკურორის, გამოძიებლის, მოკვლევის ორგანოს დადგენილებით.

მეორე, ამ მუხლის პირველ პუნქტში ნათქვამია: „დანაშაულის იარაღს, რომელიც ბრალდებულს ეკუთვნის, უნდა გაუკეთდეს კონფისკაცია ან განადგურდეს“. აქ დაცული არ არის იურიდიული სინჯუსტე, რამდენადაც იგულისხმება, რომ კონფისკაციას ექვემდებარება მხოლოდ ბრალდებულის კუთვნილი დანაშაულის იარაღი, მაშინ როცა ეს იარაღი შეიძლება იყოს არა მარტო ბრალდებულის, არამედ მსჯავრდებულის, განსასჯელის და ეჭვმიტანილისაც კი. თუ ეჭვმიტანილ პირს ჩამოერთვა დანაშაულის იარაღი და საქმე შეწყდა ისე, რომ ის ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში არ იქნა მიცემული, ანდა არ იქნა აღძრული საქმე ამნისტიის აქტის გამოყენებით თუ სხვა არამარეაბილიტირებელი საფუძვლით, დანაშაულის იარაღი ხომ მაინც კონფისკაციაქმნილი უნდა იქნეს? ასევე ითქმის საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირების მიმართ, რომლებიც შეურაცხადად არიან ცნობილი და რომელთაც იძულებითი მკურნალობა ეფარდებათ. მათი კუთვნილი დანაშაულის იარაღის და დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების ბედიც ხომ ისევე უნდა გადაწყდეს, როგორც მსჯავრდებულის თუ ბრალდებულის. ამიტომ უმჯობესია, კანონში ჩაიწეროს: „დანაშაულის იარაღი, რომელიც საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენ პირს ეკუთვნის“. აქ ლაპარაკი არა გვაქვს პირის დამნაშავედ ცნობაზე, ეს მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაა, მაგრამ ვამბობთ, რომ იგი არის საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირი. ასეთი პირი კი შეიძლება იყოს როგორც მსჯავრდებული თუ განსასჯელი, ისე ბრალდებული და ეჭვმიტანილი, ასევე შეურაცხადად ცნობილი პირიც.

მესამე, ამ მუხლის მეოთხე პუნქტიდან ამოსალდება სიტყვები „სასამართლოს განაჩენით“. აღნიშნული რედაქციით, ცხადია, იგულისხმება დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონების სახელმწიფო შემოსავალში ჩარიცხვა. მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს განაჩენით შეიძლება მოხდეს ფაქტობრივად კი, საქმეზე ნივთმტკიცებად დართული მთელი რიგი საგნების კონფისკაცია. ხდება მაშინაც, როცა საქმე წარმოებით წყდება. ამიტომ, ასეთი გამონაკლისის სახით მითითება სწორი არ უნდა იყოს. ამ მხრივ საკვებით სწორ გადაწყვეტას იძლევა უკრაინის კანონმდებლობა; იგი საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლში ითვალისწინებს ყველა სახის ნივთმტკიცების ბედის გადაწყვეტას სასამართლოს განაჩენით, განჩინებით ან დადგენილებით. ანალოგიურადაა ეს საკითხი ფორმულირებული ინსტრუქციაში ნივთმტკიცების მიღების, აღრიცხვისა და შენახვის შესახებ, რომლის მე-4<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ნივთმტკიცების საკითხი ყოველთვის წყდება განაჩენით ან განჩინებით საქმის შეწყვეტის შესახებ, ხოლო დავა მათ კუთვნილებაზე გადაწყდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

მეოთხე, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის მე-4 პუნქტი თავისი შინაარსით არ შეესატყვისება იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც მისი პრაქტიკაში გამოყენების დროს გვაქვს. აქ ნათქვამია: „დანაშაულებრივი გზით შექმნილი ფული და სხვა ფასეულობა ჩაირიცხება სახელმწიფო შემოსავალში“. ეს იგივეა, რაც კონფისკაცია, ოღონდ იგულისხმება, რომ ქონების ეს სახე (ფული და სხვა ფასეულობა) პირდაპირ ჩაირიცხება სახელმწიფო შემოსავალში კონფისკაციისაგან განსხვავებით, როცა უნდა მოხდეს ქონების რეალიზაცია და მისი ღირებულების სახელმწიფო შემოსავალში ჩარიცხვა. ე. ი. „სახელმწიფო შემოსავალში ჩარიცხვა“, ამ შემთხვევაში, უფრო ვიწრო ცნებაა, ვიდრე კონფისკაცია. ფაქტიურად კი რა მდგომარეობა გვაქვს? ფაქტიურად პრაქტიკაში საჭირო ხდება, რომ დანაშაულებრივი გზით შექმნილად იქნეს ჩათვლილი არა მარტო ფული, არამედ ყოველგვარი ქონება. როცა კოდექსი ხმარობს ტერმინს „სხვა ფასეულობა“, უნდა ვიგულისხმოთ მასში არა მარტო ისეთი ფასეულობა, რაც პირდაპირ შეიძლება ჩაირიცხოს სახელმწიფო შემოსავალში, არამედ სხვა ქონებაც, რომლის კონფისკაციაზე ლაპარაკი უფრო სწორი იქნება, ვიდრე სახელმწიფო შემოსავალში ჩარიცხვა. პრაქტიკაშიც ასე კეთდება, როცა სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის შექმნილი (გარდა ფულისა), ხდება მისი კონფისკაცია. სისხლის სამართლის კოდექსის ზემოთ დასახელებული მუხლებიც, რომლებიც სპეციალურ კონფისკაციას ითვალისწინებს, ხომ კონფისკაციაზე ლაპარაკობს და არა ქონების სახელმწიფო შემოსავალში ჩარიცხვაზე, როცა ისინი დანაშაულის საგნების ბედს ეხება. ამიტომ, აღნიშნული პუნქტი იურიდიულად ზუსტი არ არის, როცა ამბობს დანაშაულებრივი გზით შექმნილი ფასეულობების სახელმწიფო შემოსავალში ჩარიცხვაზე. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ ასეთი გზით შექმნილი ქონება კონფისკაციაქმნილი იქნება ან ჩაირიცხება სახელმწიფო შემოსავალში.

საერთოდ, ჩვენი აზრით, საჭირო არ არის 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის





ცალკე გამოყოფა. უფრო უკეთესი იქნება თუ ეს პუნქტი გაერთიანდება პირველი პუნქტთან და ამ ერთი პუნქტით გადაწყდება დანაშაულის იარაღისა და დანაშაულებრივი გზით შექმნილი ფულის თუ სხვა ქონების ბედი.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე იურიდიულად უფრო სრულყოფილი იქნება, თუ 77-ე მუხლის დასაწყისი ჩამოყალიბდება ასე: „სასამართლოს განაჩენში, განჩინებაში ან დადგენილებაში, აგრეთვე პროკურორის, გამომძიებლისა თუ მოკვლევის ორგანოს დადგენილებაში საქმის შეწყვეტის შესახებ აღინიშნება თუ რა ბედი უნდა ეწიოს ნივთიერ მტკიცებულებებს“, ხოლო მე-4 პუნქტი კი გაერთიანდეს პირველ პუნქტთან და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირი რედაქციით: „დამნაშავის, განსასჯელის, ბრალდებულის თუ საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის კუთვნილ დანაშაულის იარაღს და დანაშაულებრივი გზით შექმნილ ქონებას გაუკეთდეს კონფისკაცია, ხოლო ასეთივე გზით შექმნილი ფული ჩაირიცხოს სახელმწიფო შემოსავალში“.

დანაშაულის იარაღი და დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონება მხოლოდ მაშინ შეიძლება კონფისკაციაქმნილი იქნეს, როცა ის დანაშაულის თუ საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენ პირს ეკუთვნის. სხვისი კუთვნილი ქონების კონფისკაცია არ დაიშვება.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონება წინასწარშეგნებულად არის გადაფორმებული სხვა პირის სახელზე, ფაქტობრივად კი ის დამნაშავეს ეკუთვნის და მოსალოდნელი კონფისკაციის თავიდან აცილების მიზნით გაფორმდა სხვის სახელზე. ასეთ შემთხვევებთან დაკავშირებით, იგივე პლენუმმა განმარტა, რომ როცა სასამართლო განხილვის დროს გამოაშკარავდება დამნაშავის კუთვნილი დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონების სხვის სახელზე ფიქტიურად გაფორმება, სასამართლომ ბათილად უნდა ცნოს გარიგება, რომლითაც ეს გადაფორმება მოხდა და კონფისკაცია გაუკეთოს ამ ქონებას.

როგორც უკვე ითქვა, დანაშაულის იარაღის კონფისკაცია შეიძლება სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე, როგორც პირის დამნაშავედ ცნობის დროს, ისე მის მიმართ საქმის შეწყვეტისა და საქმის აღძვრის შემთხვევაშიც. თუ ეს იარაღი დანაშაულის ჩამდენ პირს ეკუთვნოდა, რაც შეეხება დანაშაულებრივი გზით შექმნილ ქონებას, ჩვენი რესპუბლიკის საპროცესო კანონით დადგენილი წესით მხოლოდ მაშინ შეიძლება მისი კონფისკაცია, როცა ამ ქონების შემძენი პირი სასამართლოს განაჩენით ცნობილ იქნება დამნაშავედ. ზემოთაც ითქვა და ვიმეორებთ, რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტა სწორი არ არის, როცა აშკარაა, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის შექმნილი, აუცილებელი არ არის, რომ მისი შემძენი განაჩენით იქნეს ცნობილი დამნაშავედ და შემდეგ შეეფარდოს ეს ზომა. არც საკითხის სამოქალაქო სასამართლო წარმოების წესით გადასაწყვეტად გადაცემა ყოველთვის სავალდებულო. ასეთი გადაცემა უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა სადაოა ამ ქონების შემძენის კანონიერება, როგორც ეს უკრაინის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით არის დადგენილი, ხოლო როცა სადაო არაა ქონების დანაშაულებრივი გზით შექმნა, მისი კონფისკაციის საკითხი უნდა გადაწყდეს ყველა სტადიაზე, ისე როგორც დანაშაულის იარაღის მიმართ არის გათვალისწინებული (მაგალითად, ქრთამის აღების საქმის შეწყვეტა

ხანდაზმულობის ან ამნისტიის საფუძველზე). იმ შემთხვევაში, როცა სადაოა, ესა თუ ის ქონება ჩაითვალოს თუ არა დანაშაულებრივი გზით შექმნილად და საქმე ისე შეწყდა წარმოებით, რომ განაჩენი არ დადგინდა, საქმე უნდა გადაეცეს სასამართლოს სამოქალაქო სასამართლო წარმოების წესით, რათა დადგინდეს რამდენად საფუძვლიანია ამ ქონების მიჩნევა დანაშაულებრივი გზით შექმნილად და გადაწყდეს სახელმწიფო შემოსავალში მისი ჩარიცხვის საკითხიც. ასეთი საკითხის დაყენება სასამართლოში შეუძლია როგორც პროკურორს, ისე დაინტერესებულ პირსაც.

ზოგიერთი ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ შეიძლება მხოლოდ იმ დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონების კონფისკაცია, რომელიც ნივთმტკიცებად იყო ცნობილი და დაერთო საქმეს. მაგალითად, რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარებში (86-ე მუხლი) მითითებულია, რომ „თუ ფული და ფასეულობანი, შექმნილი დანაშაულებრივი გზით, არ იქნა ცნობილი ნივთიერ მტკიცებულებად და არც მოკვლევისა და გამოძიების ორგანოსა და არც სასამართლოს მიერ პროცესუალურად არ იქნა გაფორმებული და გამოკვლეული, მათი მიქცევა სახელმწიფო შემოსავალში 86-ე მუხლის მე-4 პუნქტით არ დაიშვება“. ავტორი აქ იმოწმებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს. ამ კომენტარის ავტორი აქვე განმარტავს, რომ ასეთ შემთხვევაშიც საჭიროა საკითხი სამოქალაქო სასამართლო წარმოების წესით გადასაწყვეტად გადაეცეს სასამართლოს. ეს მოსაზრება, ჩვენი აზრით, სწორად არ უნდა ჩაითვალოს. შეიძლება ქონება გამოძიების პროცესში არ იქნეს ამოღებული და ნივთმტკიცებად ცნობილი, მაგრამ მაინც წარმოადგენდეს კონფისკაციის საგანს. მაგალითად, დაყადაღებული ქონება ყოველთვის არაა ცნობილი ნივთმტკიცებად, მაგრამ თუ დადგინდება, რომ ის დანაშაულებრივი გზით არის შექმნილი, მას უნდა გაუკეთდეს კონფისკაცია. ანდა, შესაძლოა დაყადაღებულიც არ იყოს ქონება, რადგან აღმოჩენილი არ იქნა ის გამოძიების თუ სასამართლო პროცესში. სასამართლო ასეთ ქონებას ხომ აკისრებს გადასახდელად დამნაშავედ ცნობილ პირს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ამიტომ, იურიდიულად არაზუსტია იმის თქმა, რომ მხოლოდ ნივთმტკიცებად ცნობილი ქონების კონფისკაცია შეიძლება, ყველა სხვა შემთხვევაში კი საკითხი გადასაწყვეტად უნდა გადაეცეს სამოქალაქო სასამართლო წარმოებას, როცა აშკარაა, რომ დაყადაღებული ქონება დანაშაულებრივი გზითაა შექმნილი, სასამართლომ უნდა მოახდინოს მისი კონფისკაცია საქართველოს რესპუბლიკის 77-ე მუხლის მიხედვით, მიუხედავად იმისა, ნივთმტკიცებად არის თუ არა ის ცნობილი. ასევე, ქონება, რომელიც დანაშაულებრივი გზით იქნება მოპოვებული, მაგრამ სახეზე არ აღმოჩნდება, უნდა ჩაირიცხოს სახელმწიფო შემოსავალში საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 486-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით, როგორც უსაფუძვლოდ შექმნილი.

## დემოკრატიის თეორია


I. „დემოკრატიის“ ცნებასა და მის საგნობრივ სფეროს ბედმა გაუღიმა: თანამედროვე პოლიტოლოგიის ამ ცნებამ განსაკუთრებული დავის გარეშე ერთ-ერთი გადამწყვეტი ადგილი დაიკავა პოლიტიკურ სემანტიკაში. აღნიშნული ტერმინით ფართოდ სარგებლობენ და თავიანთ ლექსიკონშიც იყენებენ თვით დემოკრატიის მოწინააღმდეგენიც კი; დემოკრატიის წინააღმდეგ მათი კრიტიკული გამოხდომები მტრულად იმოსება მხოლოდ მისი რეალიზაციის კონკრეტულ ფორმებში. დღემდე მეცნიერებს არ შეუშუშავებიათ საყოველთაოდ მიღებული წარმოდგენები, რომელთა ბაზაზეც შესაძლებელი იქნებოდა დემოკრატიის ერთიანი განსაზღვრების ჩამოყალიბება. ამასთან, არსებობს მისი დეფინიციის მრავალი ცდა, რომელიც არ შეესაბამება მეცნიერების ამ თუ იმ მოთხოვნებს. თუმცა სხვადასხვა ავტორები განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებენ დემოკრატიის ცალკეულ ელემენტებს: თანასწორობას, თანაწონაწილეობას (პარტიციპაციას), უმრავლესობის ხელისუფლებას, მის შეზღუდვასა და კონტროლს, შემწყნარებლობას, მოქალაქეთა ძირითად უფლებებს, სამართლებრივ და სოციალურ სახელმწიფოებრიობას, ხელისუფლების დანაწილებას, საყოველთაო არჩევნებს, საჯაროობას, განსხვავებული აზრისა და პოზიციის კონკურენციას, პლურალიზმს და ა. შ.

1) დემოკრატიის შესახებ ძირითადი წარმოდგენების უფრო საფუძვლიანად გაგებისათვის, სასარგებლოა ვიცოდეთ კონცეპტის ეტიმოლოგიური და ისტორიული რეტროსპექტივები. თვითონ ტერმინი „დემოკრატია“ შედგება ორი ბერძნული სიტყვისაგან: demos ხალხი და kratein — ხელისუფლება, აქედან გამომდინარე, ესაა „ხალხის ხელისუფლება“. „დემოკრატიის“ უფრო სრული განმარტება მოცემულია ამერიკის პრეზიდენტის ა. ლინკოლნის მიერ — government of the people, by the people, for the people — ხალხის მმართველობა, ხალხის მიერ არჩეული, ხალხისათვის. აქ, სამივე ინგლისური წინდებული გამოხატავს დემოკრატიის სხვადასხვა ასპექტს და მის არსებით ნიშნებს, კერძოდ: დემოკრატია მომდინარეობს თვითონ ხალხისაგან („of“); ის ხორციელდება ხალხის მიერ („by“) და ხალხის ინტერესებისათვის („for“).

დემოკრატიის ბოლო დახასიათება — როგორც ხელისუფლებისა „ხალხისათვის“ არ არის უბრალო, სიტყვიერი განსაზღვრება, ვინაიდან ნაჩვენებია პერსპექტივა, რომელშიც დემოკრატია გაიგება როგორც სახელმწიფოს მიზანი, რომელიც მიიღწევა პოლიტიკური და სოციალური მოძრაობების მეშვეობით. ადრეულ ისტორიულ პერიოდებში (ძველი საბერძნეთიდან საფრანგეთის რევოლუციამდე) „დემოკრატია“ დაიყვანებოდა სახელმწიფოს ფორმის შესა-

ხებ სწავლებამდე. ჰეროდოტესათვის (მასთან პირველად გვხვდება ეს ცნება), ისევე როგორც პლატონის, არისტოტელეს, ციცერონის, სენეკასა და სხვა ცნობილი სიკოსი ავტორებისათვის დემოკრატია ნიშნავდა საზოგადოების არა-თანამდებარე განსაზღვრულ სახეს, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის განსაკუთრებულ ფორმას — მას ფლობს არა ერთი პირი (როგორც, მაგალითად, მონარქიისა და მისი ვარიაციების დროს, ვთქვათ, ტირანიის დროს) ან აღამიანთა ჯგუფი (მაგალითად, არისტოკრატისა და მისი სახესხვაობების დროს, როგორცაა ოლიგარქია და პლუტოკრატია). არამედ ყველა, არისტოტელემ, სახელმწიფოს სამი „ცუდი“ ფორმის (ტირანია, ოლიგარქია, დემოკრატია ან ოხლოკრატია) მისეულ ტიპოლოგიაში, დაყოფის რაოდენობრივი კრიტერიუმის („ვინ ბატონობს“?) გვერდით. პირველმა მიუთითა აგრეთვე ხარისხობრივ კრიტერიუმებზე („ბატონობის როგორი მეთოდებია?“). ამასთან მისი დამოკიდებულება „დემოკრატისადმი“. როგორც სახელმწიფოებრივი ცხოვრების გადაგვარების ერთ-ერთი ფორმისადმი, არ არის შემწყნარებლური, სტაგირელის ასეთი მკაცრი ვერდიქტის შემდეგ, ორი ათასი წლის განმავლობაში, დემოკრატია მოექცა ტაბუდადებული, აკრძალული ცნებების რიცხვში, მაგრამ, მიუხედავად მისი, როგორც ცნების სისტემატური იგნორირებისა, თვითონ დემოკრატია, უკვე როგორც სოციალური რეალობა, არ ითვლებოდა გაუფასურებულად. მკვლევარებს ხშირად რჩებათ მხედველობიდან ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ არისტოტელეს მიერ აღიარებული და მოწონებული „პოლიტიკის“ ცნება შეიცავს მთელ რიგ ელემენტებს, რომლებიც უახლოვდება დემოკრატის შესახებ უფრო გვიანდელ, პოზიტიურ შეხედულებებს.

დემოკრატის კონცეპტის გადაფასება, აგრეთვე მისი ზემოაღნიშნული სემანტიკური გაფართოება, ემთხვევა საფრანგეთის რევოლუციის პერიოდს, დემოკრატია იქცევა ცნებად, რომელიც თავდაპირველად გამოხატავს აზრის განსაზღვრულ მიმართულებას, მოგვიანებით კი — ცნებას, რომელიც აღნიშნავს განსაზღვრული სოციალური მოძრაობის მიმართულებასა და შინაარსს, მის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მიზნებს. ამ დროიდან დემოკრატია უკვე არ ნიშნავს მხოლოდ რაიმე საზოგადოებრივ სტრუქტურას, რომელიც ალტერნატიულად უპირისპირდება მონარქიასა და არისტოკრატას, არამედ იგი ერთდროულად იქცევა ფილოსოფიურ-ისტორიულ შიფრადაც ხელისუფლების სოციოლოგიაში, კოდად როგორც ავტონომიის მრავალი ლიბერალურ-ბურჟუაზიული მოთხოვნისა და გადაწყვეტილების მიღებაში თანამონაწილეობისათვის, აგრეთვე სოციალური თანასწორობის იდეებისა და მისწრაფებებისათვის. დემოკრატის კონცეფცია იქცევა მთავარ მამოძრავებელ ძალად, არსებით ელემენტად, რომელიც სოციალური სტრუქტურების მთელი თანამედროვე განვითარების იმანენტურია. დემოკრატიაზაციის ქვეშ იგულისხმება პროცესი, რომელმაც აიღო სათავე ინგლისისა და აშშ-ს ადრეულ კონსტიტუციონალიზმში, ხელი შეუწყო დემოკრატიული სახელმწიფოებრივი მოწყობის თანამედროვე ფორმების წარმოშობას, მაგრამ ეს პროცესი ჯერაც არაა დამთავრებული ჩვენს დროში. თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფო თავის თავში არ ანსახიერებს რომელიმე „დამთავრებულ“ სტრუქტურას, ან ისეთს, რომელიც „მზადაა“ სახელმწიფოებრივი მოწყობის კონცეფციის მისაღებად, არამედ იგი არის მხოლოდ მრავალსაფეხურიანი, განგრძობადი ისტორიული პროცესის შედეგი. 7



11. თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფო საქმიანობას იწყებდა კონფესიონალური პარტიების — სამოქალაქო ომის მონაწილეთა ალაგმვით განიარაღებით, „დაკანონებული ფიზიკური ძალადობის“ საშუალებების მიზნით პოლიზაციის მეშვეობით სუვერენული სახელმწიფოებრიობის დამყარებით (მ. ვებერი) და სახელმწიფოს ხელში მათი თავმოყრით. ამ პირველ სტადიაზე, ე. ი. შინაგანი მშვიდობის დამყარებისა და სუვერენიტეტის პრობლემის ფორმულირების სტადიაზე აიგება სახელმწიფო სწორედ როგორც სახელმწიფო. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არაფერს ამბობს თვითონ ხელისუფლების ორგანიზაციის ხარისხზე. სახელმწიფო კონსტიტუციური ხდება მხოლოდ მეორე სტადიაზე, როცა ეს „ლევიათანი“ (ჰობსი) ქმნის მშვიდობისა და არსებობის პირობებს, ახორციელებს ხელისუფლების დაყოფას და უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებების გაუსხვისებლობას; და განვითარების მხოლოდ მესამე სტადიაზე, ცხოვრებაში სახალხო სუვერენიტეტის პრინციპის გატარებით და საყოველთაო საარჩევნო უფლების მოპოვებით, ის ხდება დემოკრატიული, კონსტიტუციური სახელმწიფო, რომელსაც შემდგომში (მეოთხე სტადია) ემატება სოციალური სახელმწიფოსა და საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ზოგიერთი კომპონენტი. ამრიგად, მთელი ეს ჯაჭვი შედგება არსებობის (ცხოვრების პირობების უზრუნველყოფის) საყოველთაო უფლებისა და სოციალური უშიშროების (მშვიდობის) გარანტიებისაგან — პირადი თავისუფლების უფლების (თავისუფლება) აღიარების, გაუსხვისებელი ძირითადი უფლებების და ადამიანის თავისუფლებების, პოლიტიკური თანამონაწილეობისა და თანამშრომლობის უფლების (თანასწორობა) გარანტიის გზით, ვიდრე არ დამკვიდრდება სამოქალაქო უფლებები, რომლებიც ენიჭებათ საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს მიერ, თუმცა ამით არ ამოიწურება დემოკრატიული კონსტიტუციური სახელმწიფოს, მისი პოლიტიკური სტრუქტურის განვითარების დინამიკა. პერსპექტივაში, დემოკრატიული სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ფარგლებს იქითაც კი (მის მეოთხე სტადიაზე) უკვე გამოიკვეთება მომავალი გარანტიების მოთხოვნები. ისინი ეხება გარემომცველ გარემოს და სასიცოცხლო უფლებებს; ეკოლოგიურ და მსოფლიო სასიცოცხლო ხელშეუხებლობებს სამრეწველო განვითარების იმპერატივების წინაშე, აგრეთვე სოციალურ და სამხედრო უსაფრთხოებებს.

III. თუ დემოკრატიის თეორია, როგორც ნათქვამიდან ჩანს, სულ უფრო მიემართება დემოკრატიულ-პოლიტიკური პრაქტიკის კალაპოტისაკენ, მაშინ დემოკრატიის ისტორია არ უნდა გავაიგივოთ კონსტიტუციებისა და სახელმწიფოებრივი მოწყობების ისტორიებთან. რეტროსპექტივა აქ ემსახურება მხოლოდ დემოკრატიის თეორიის გარკვევას მის ისტორიულ ასპექტში, ძირითადად პრობლემების სისტემატიზაციის გზით — უფრო ზოგადიდან აერძოსაკენ.


თავდაპირველად დემოკრატიის თეორიაში არის კონცეპტუალური მიდგომის ორი ძირითადი ტიპი: 1) ნორმატიული და 2) ემპირიული-აღწერილობითი (დესკრიპტიული). თუკი პირველის ფარგლებში ანალიზი უკეთდება და დასტურდება საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის დემოკრატია იდეალური სახით და რით აღემატება იგი საზოგადოების მართვის სხვა ფორმებს, მეორე მოიცავს საკითხებს იმის შესახებ, თუ რა არის დემოკრატია და როგორ ფუნქციონირებს იგი პრაქტიკაში. თუმცა, ასეთი დიფერენციაცია საშუა-

ლებას გვაძლევს მივიღოთ მხოლოდ დაახლოებითი ორიენტაცია. მართლაც, სინამდვილეში, ნორმატიული პრინციპები და მათი დასაბუთება აბეზრებულნი გამოცდილებას, პოლიტიკურ პრაქტიკას: და პირიქით, ემპირიული პრინციპები და თეორიული წყობები არასდროს არ იფარგლება მხოლოდ პოლიტიკური რეალებით, მაგრამ მათაც უკეთებენ ინტერპრეტაციას და როგორღაც ახდენენ მათ კლასიფიკაციას განსაზღვრული ასპექტით. ამ ორი მოდელის ფარგლებში წარმოიშობა გამოკვლევის სხვადასხვა მიმართულება, რომლებიც ფოკუსირებულია მათ მიერვე ფორმულირებულ ამოცანებში, ამახვილებენ რა ყურადღებას პრობლემის ამა თუ იმ ელემენტზე.

1) დემოკრატიის ტრადიციულ-ლიბერალური თეორია წარმომადგენლობითი დემოკრატიის აღწერისას გამომდინარეობს ცენტრალური თეზისიდან, რომელიც დაკავშირებულია ანგლო-საქსურ ისტორიასთან: დემოკრატია აღინიშნება როგორც responsible government (ბაიგპოტი), ე. ი. როგორც საპასუხისმგებლო მართვა, მთავრობა, რომელსაც უნარი აქვს მიიღოს გადაწყვეტილებები და აგოს მათზე პასუხი.

აქ მთავარი ის კი არ არის, რომ მოვსპოთ განსხვავება მმართველებსა და ქვეშევრდომებს შორის, არამედ რეალური საფუძვლების შექმნა საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებისათვის. წარმომადგენლობითი დემოკრატია, უწინარესად, მიზნად ისახავს, პასუხისმგებლობის პრინციპის მკაფიოდ განხორციელების პირობებისა და შესაძლებლობების შექმნას თანამონაწილეობის პრინციპისათვის ნაკლები ყურადღების მიქცევით, თუმცა, მთავრობის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებისას (რომლებიც დაკავშირებულია პასუხისმგებლობის პრინციპთან) ჩვეულებრივ გამოიყენება სწორედ თანამონაწილეობის პროცედურები. ამ პერსპექტივით დემოკრატიზაცია აღნიშნავს არა მხოლოდ „თანამონაწილეობის შანსების მაქსიმიზაციას“, არამედ ერთდროულად „პოლიტიკური პასუხისმგებლობის მაქსიმიზაციასაც“. კონსტიტუციურობა და პოლიტიკური ბატონობის შეზღუდვა წარმომადგენლობითი დემოკრატიის გაგების ძირითადი ელემენტია. ხალხის ნება სრულად და უშუალოდ კი არ გამოიხატება, არამედ შუამავლებს ინსტიტუტით — იგი დელეგირებულია წარმომადგენლებზე, რომლებიც თვითონვე იწყებენ ნების გამოხატვის ჩამოყალიბებას, ხოლო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით გამოხატავენ და ანტიციპირებენ (ითვალისწინებენ) ამ ნებას. სახალხო წარმომადგენლობასა და იმთ შორის, ვისაც ისინი წარმოადგენენ, მყარდება გარკვეული ურთიერთობები, რომლებიც ეფუძნება უფლებამოსილებებსა და ნდობას (trust). ასეთ შემთხვევაში ორივე მხარე ერთნაირად არის კონსტიტუციური, ამრიგად, ერთი მხრივ, არსებობს დეპუტატის დამოუკიდებლობა, რომელიც არ სცილდება კონსტიტუციის მიერ დადგენილ ფარგლებს, აგრეთვე მისი პოლიტიკური და სამართლებრივი კომპეტენტურობა, მეორე მხრივ კი — უფლებამოსილება, რომელიც გადაცემული აქვს მას ამომრჩევლების, ხალხის მიერ. ინდენტიტარული დემოკრატიის მომხრეები სწორედ ამ პრინციპს უარყოფენ: მათი აზრით, წარმომადგენლობა, უფლებამოსილება, შუალედური ხელისუფლებრივი სტრუქტურების შექმნა ელემენტის არსია, რომელიც უცხოა ნამდვილი დემოკრატიისათვის.

სწორედ ამიტომ, ე. ე. რუსო ამტკიცებს, რომ „ინგლისელი ხალხი თავისუფალი იყო მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში, იმ დღეს, როცა მან აირა“.



ჩია თავისი პარლამენტი. ამის შემდეგ ხალხი კვლავ ცხოვრობს მონობაში, ის — არარობაა“. რა თქმა უნდა, თუკი ხალხს სურს იყოს თავისუფალი, ის ნებაყოფლობით არ უნდა მოხვდეს იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცედურის უღელში, რომლებიც ეფუძნება ხელისუფლების დანაწილებას. „ყველა კანონი, რომელიც ხალხს „თვითონ“ არ დაუმტკიცებია, არაფერია, ცარიელი ადგილია, ის არ არის კანონი“ — ამბობდა რუსო. მსჯელობის ასეთი სიმკაცრე თავის მხრივ ეფუძნება ემპირიულად დაუსაბუთებელ ფიქციას ხალხის რაიმე ჰომოგენური ნების არსებობის შესახებ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ჩვენ გვჭერა დასაშვები a priori-ს, მაგრამ არაფრით დამტკიცებული და არარსებული საყოველთაო კეთილდღეობა, შესაძლებელია მმართველებისა და მართულთა გაიგივებაც და ხელისუფალთა და ქვეშევრდომთა შორის განსხვავების იგნორირებაც, რასაც მოითხოვენ რუსო და მისი მიმდევრები. აქ მკაფიოდაა გამოხატული დემოკრატიის რუსოსეული და პლურალისტური წარმომადგენლობითი კონცეფციის წინააღმდეგობა.

2) **პლურალისტური კონცეფციის წარმომადგენლები** გამოდიან იქიდან, რომ ადამიანური ბუნების უსპობ თვისებებს მიეკუთვნება, პირველ რიგში, საკუთარი სარგებლობისა და გამორჩენის აღქმა. ამ მიზეზის გამო აზროვნების და ნების გამოვლინების ჰომოგენურობა არ შეიძლება გახდეს ნებისმიერი პოლიტიკის საწყისი პუნქტი. ასეთ საწყისად იქცევა მხოლოდ თავისი შინაგანი მიმართულების სხვადასხვა ინტერესისა და აზრის გათვალისწინება და, შესაძლებელია, უფრო სრული წარმოდგენა („რეპრეზენტაცია“). მხოლოდ არსებული წინააღმდეგობების არბიტრირების დროს, ერთი მხრივ, პროცესში, ზოლო მეორე მხრივ, კონფლიქტურ მოქმედებებში წარმოიშობა თავისებური „საყოველთაო კეთილდღეობა“ a posteriori (ფრენკელი). მოცემულ გეგმაში სახეზეა სტრუქტურული შეთანხმება დემოკრატიის რელატივისტური და სექტორული კონცეფციის ადებტებს შორის (რადბრუხი, კელზენი), რომლებსაც გამოჰყავთ უმრავლესობის დემოკრატია და წესი ყველა აზრისა და ინტერესის ქეშმარიტებისა და პრინციპული ერთფასოვნების განსხვავებიდან.

პლურალისტური დემოკრატიის ბრიტანელი პოლიტოლოგებისა და სოციოლისტების წრისაგან (ლასკი) გამოსული თეორეტიკოსები ჩვეულებრივ შეუძლებლად თვლიან პოლიტიკური გადაწყვეტილებების მონოპოლიზაციას ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფების მხრიდან, ვინაიდან, მათი კონცეფციის თანახმად, გადაწყვეტილებების მიღებისა და ნების ჩამოყალიბების პროცესი ხორციელდება მოწინააღმდეგე ძალთა სისტემის მეშვეობით (checks and balances), რაღაც „საშუალო გზაზე“, რომელიც თანაბრად დაშორებული თითოეულ შემთხვევაში არსებული კერძო ინტერესებისაგან და პოზიციისაგან. პოლიტიკა თითქოს უსმენს (და ითვალისწინებს) ყველა მხარეს და, ამავე დროს, არ იხრება ერთ-ერთი მხარის აზრისაკენ, რითაც შემოიზღუდავს ყველა „ხმას“. ამრიგად, პლურალისტული კონცეფცია გულისხმობს ძალების ცნობილ თანაბრობას, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესებში გამორიცხავს მხოლოდ მბრძანებელთა ერთი ჯგუფის პოლიტიკურ მოქმედებას.


წარმომადგენლობითი (რეპრეზენტაციის) იდეის მომხრეები მიისწრაფიან, რათა პოლიტიკური თანამონაწილეობის (პარტიციპაციის) სასურველობის ან არასასურველობის საკითხი გადაწყვიტონ უმეტესად სისტემის ფუნქციონალური ნოთხოვნების შესაბამისად. ამის საწინააღმდეგოდ, წარმომადგენლობითი სისტემის („რეპრეზენტაციის სისტემის“) კრიტიკოსები, რომლებიც ხალხის ნების

პირდაპირი გამოხატვის მომხრეები არიან. მიისწრაფიან, რომ პოლიტიკური მონაწილეობა განიხილონ როგორც „თვითდაფასება“. ლიბპოლცის თანახმად, რომელმაც სცადა შეეხამებინა ორივე კონცეფცია, თანამედროვე დემოკრატიის სტრუქტურულად შემობრუნდა „პარტიების სახელმწიფოს“ მხარეს. მისი აზრით, პარტიები, რომლებმაც ხმები დააგროვეს, იქცნენ ხალხის საყვირებად. პოლიტიკური სიტუაციის ასეთი განვითარება საშუალებას იძლევა გავივიწყოთ პარტიისა და ხალხის ნება. პარტიების პლებისციტური სახელმწიფო განვიხილოთ როგორც თანამედროვე სახელმწიფოში თანაბარ შესაძლებლობათა პირდაპირი დემოკრატიის სურომანტი (Flächenstaat).

3) დემოკრატიის ელიტარული თეორიის შემმუშავებლები გამოდიან გაზვიადებისა და პროექტიურობის წინააღმდეგ, რომლებიც, მათი აზრით, საფუძვლად უდევს დემოკრატიის ძველ ლიბერალურ იდეალებს. ამასთან ერთად, დემოკრატიის შესახებ მე-19 საუკუნის იდეალური წარმოდგენებისა და სინამდვილის ერთმანეთისაგან მოწყვეტისას ისინი არ ასკვნიან თვით სინამდვილის „სიყალბეს“. მათი მტკიცებულების მეთოდი სწორედ რომ საპირისპიროდაა მიმართული — სინამდვილე კი არ უნდა მოვიდეს იდეალთან შესაბამისობაში, არამედ, პირიქით, თვითონ იდეალი უნდა შემოწმდეს პრაგმატულად სინამდვილის მიერ. თუკი ამ მსჯელობას გავეყვებით, ძნელი არაა დავასკვნათ სავალდებულობის შესახებ ნორმატიული მოსაზრებების დამოუკიდებელი როლის აღიარების უარყოფის აუცილებლობა. ამ შემთხვევაში ნორმატიული ძალა გააჩნია მხოლოდ ფაქტობრივს. ის, რაც დემოკრატიას შეუძლია და უნდა გააკეთოს, განისაზღვრება იმით, თუ რას აკეთებს ის პრაქტიკულად და რა უნდა დავაფიქსიროთ ობიექტურად. იმედგაცრუებელი იდეალის ადგილზე აღმოცენდება ყოველგვარ ილუზიას მოკლებული რეალიზმის ზნეობრიობა. ამგვარი ორიენტაციის დროს ხდება იმის იგნორირება, რომ ფაქტობრივის ნორმატიული ძალის გვერდით არსებობს ნორმატიულის მარეგულირებელი ფაქტობრივი ძალა.

დემოკრატიის ელიტარული თეორიის მიმდევრები ეყრდნობიან პოლიტიკური ემპირიკის დებულებებს, რომლის თანახმადაც, დემოკრატიული უმრავლესობის ბატონობის პირობებშიც კი, პოლიტიკური გადაწყვეტილებები მაინც ძირითადად უმცირესობით მიიღება. დემოკრატიის კრიტიკული თეორიის წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, რომლებიც მტკიცად მისდევენ ხალხის სუვერენიტეტს, თანასწორობის და პოლიტიკური თვითგამორკვევის პოსტულატებს, რომლებიც ხორციელდება გადაწყვეტილებების მიღებისას თანამონაწილეობის მეშვეობით, ელიტარული თეორიის მომხრეები ნაკლად არ თვლიან დემოკრატიული ელიტის ბატონობასა და ხელისუფლებას; ამასთან, ისინი თავიანთ შეხედულებას განიხილავენ როგორც იმის თანმიმდევრულ დასკვნას, რომ არ არსებობს საყოველთაო კეთილდღეობის არც კარგად შემუშავებული, არც სრულფასოვანი სამეცნიერო და პოლიტიკურად სავალდებულო კონცეფცია, და არც მოქალაქეთა რაიმე რაციონალური ქცევა არჩევნებში ხმის მიცემისას ან ამა თუ იმ კონკრეტულ პრობლემაზე გადაწყვეტილების მიღებისას. შუმპეტერის მიერ შემუშავებული ელიტის მოდელში დემოკრატიის მოთხოვნები დაიყვანება ხელისუფლების შექმნის მეთოდამდე: „დემოკრატიული მეთოდი — ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღწევის ინსტიტუტის შექმნის ის წესი, რომლის დროსაც ცალკეული სოციალური ძალა კონკურენტული ბრძოლის მეშვეობით იძენს უფლებას გა-





დაწყვეტილების მიღებაზე ხალხის ხმისათვის. ამ მოდელის თანახმად, (სოციალურად) დიფერენცირებულ გაერთიანებებს (როგორც სუბიექტებს) არ გააჩნიათ გადამწყვეტი ხმის მუდმივი უფლება ყველა საკითხში, არამედ ამ უფლებას განახორციელებენ თავისებური, „შრომის პოლიტიკური დანაწილების“ გზით. ასეთ მდგომარეობაში გაბატონებული ელიტა, რომელიც არჩეულია განსაზღვრული ვადით, იღებს მოსახლეობის უმრავლესობის პოლიტიკური წარმომადგენლობის ფუნქციებს, რომელიც ამავე ვადაში მოკლებულია შესაძლებლობას — იმოქმედოს სიტყვით და საქმით. ამრიგად, უმცირესობის ბატონობის ფორმებთან შედარებით, დემოკრატიის უპირატესობა თითქმის მთლიანად გამოიხატება უმრავლესობის ხელისუფლების შექმნის წესში. ამ ხელისუფლებამ, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, უნდა შექმნას, სულ მცირე, საჯაროობის, პოლიტიკური მონაცვლეობის და თუნდაც შეზღუდული კონტროლის პირობები. შეფასების ნორმატიული პრინციპების საფუძველზე მოცემული კონცეფცია ვერ პოულობს მრავალმხრივ დადასტურებას რეალურ ცხოვრებაში.

4) დემოკრატიის განსაკუთრებით გავლენიანი და გავრცელებული „ეკონომიკური თეორია“, რომელიც შექმნილია დაუნსის მიერ პოლიტიკონომიკური კონცეფციების ტრადიციულ მოდელზე, აგებულია მის მიერ ჩამოყალიბებული იმ დებულების საფუძველზე, რომლის თანახმადაც, თითოეულ ადამიანს შესაძლებლობა აქვს რაციონალური საქმიანობის დახმარებით მიაღწიოს თავისთვის მაქსიმალურ სარგებლობას. ეს წარმოდგენა საფუძვლად უდევს Homo oeconomicus-ის ეკონომიკურად ყოველმხრივ ინფორმირებული ადამიანის სახეს, რომელსაც უნარი აქვს რაციონალურ საფუძვლებზე მიიღოს გადაწყვეტილებები. თუმცა, უფრო მეტად საეჭვოა, რომ გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება პოლიტიკურ არჩევანს, შეიძლება შეეუპირისპიროთ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც ადამიანი იღებს საბაზრო ურთიერთობების სფეროში. ასეთი შედარების დროს მხედველობიდან გვრჩება ის, თუ რით განსხვავდება პოლიტიკური გადაწყვეტილება სხვა დანარჩენი ტიპის გადაწყვეტილებებისაგან, კერძოდ: პოლიტიკაში გამოსჭვივის კოლექტიური მოქმედებების რაციონალობა, ვინაიდან არჩევანი აქ ითვალისწინებს ინფორმაციის დამუშავების განსაზღვრულ დონეს, ხოლო ამას ადგილი აქვს მხოლოდ საზოგადოებრივ, ინტერსააქციო პროცესებში ერთობლივი მოქმედებების დროს.

ქმედების რაციონალობის ზედმეტმა ინდივიდუალიზაციამ შესაძლებლობა მისცა ბაჩენენს და ტელოკს, რომლებმაც განავითარეს დაუნსის ზემოაღნიშნული პრინციპი, დაეფუძნებინათ დემოკრატია საზოგადოებრივი ხელშეკრულების ძველი კონცეფციების ბაზაზე. ამ მკვლევართათვის დემოკრატია და უმრავლესობის გადამწყვეტი ხმა არის გადაწყვეტილებების მიღების ის წესები, რომლებიც აიძულებენ რაციონალურად მოაზროვნე ინდივიდებს ასე თუ ისე მივიდნენ ურთიერთგაგებად.

5) დემოკრატიის კრიტიკული თეორიის ოპონენტები გამოდიან ფატალური დასკვნების წინააღმდეგ, რომლებიც შეიძლება გაკეთდეს ამ თეორიის ემპირიულ დესკრიპტული პრინციპების ანალიზიდან, „დემოკრატიული ელიტის ბატონობის თეორიისა“ და პლურალიზმის თეორიის საწინააღმდეგოდ, ამ ავტორთა შეხედულებით, აღნიშნულ თეორიებში იკარგება თითოეული დროებითი პერიოდის პოლიტიკურ და სოციალურ რეალობასთან კრიტიკული მიდგომა.

კრიტიკული დისტანცია. კრიტიკული თეორია ანალიზებს სინამდვილეს, რომელიც მტკიცედაა შეიარაღებული ნორმატიული პოსტულატებით, რომელთა ცენტრშიც არის ინდივიდუალური თვითგამორკვევის იდეალი. ცალკეულ პიროვნების ავტონომიისაკენ მიმართულ ამ ორიენტაციას მივყავართ ორ სხვადასხვა, მათ შორის საწინააღმდეგო დასკვნამდე: ერთი მხრივ — ყოველმხრივი პოლიტიკური მონაწილეობისა და მთელი საზოგადოების მასშტაბით დემოკრატიზაციის მოთხოვნისაკენ, ხოლო მეორე მხრივ — ბატონობისა და ხელისუფლებისათვის არსებობის თავისუფალი პირობების მოთხოვნისაკენ. დემოკრატიის კრიტიკული თეორიის ორივე სახესხვაობა ანუ „პარტიციპატორული“ (ყველაფერში თანამონაწილეობის უფლება) და „ანარქიული“, პრაქტიკაში მკაცრად უნდა „გავმიჯნოთ“, ვინაიდან მათი წარმომადგენლები თავიანთ შეფასებით მსჯელობებში იყენებენ მსგავს არგუმენტებს. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ საწყისი პუნქტი ორივეს საერთო აქვს — ინდივიდუალური თვითგამორკვევა.

**პარტიციპაციის (თანამონაწილეობის) კონცეფცია** პიროვნების თვითგამორკვევას განიხილავს როგორც გადაწყვეტილების მიღებისას მონაწილეობის უფლებას ხმის უფლების მეშვეობით; ასეთი თანამონაწილეობა საჭიროა ცხოვრების ყველა სფეროში. არ არსებობს არანაირი კერძო ან საზოგადოებრივი „სივრცეები“. რომლებიც პოლიტიკის გარეთ იარსებებდა. აქ მიზანია ცხოვრების ყველა სფეროს ყოველმხრივი დემოკრატიზაცია (ვილმარი). დემოკრატიის ასეთი კონცეფციის ანალოგიურია პოლიტიკის ექსპანსიონისტური, ანუ გაფართოებული ვაგება, რომელიც მოიცავს ცხოვრების როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ სფეროებს.

თუკი დემოკრატიის პარტიციპატორული ინტერპრეტაცია თავის თავში მოიცავს ტენდენციას „ტოტალური პოლიტიზაციისაკენ“, ანარქისტული ვარიანტი კი, პირიქით მისწრაფვის „ტოტალური პრივატიზაციისაკენ“, ამ მეორე შეხედულების თანახმად, დემოკრატიის მიზანი და ფუნქციაა ბატონობის ნებისმიერი ფორმის გაუქმება.

ნებისმიერი ბატონობის არარსებობის იდეალის მომხრეები ეყრდნობიან ჰეგემონიისა და ყოველგვარი იძულებისაგან თავისუფალ დისკურსს, რომლის დროსაც საერთო ძალისხმევაზე დაყრდნობით იქმნება პრობლემებისა და გადაწყვეტილებების მინიმუმი, რომლებსაც სადავოდ არავინ ხდის; და ამასთან, ყოველგვარი დაფარვისა და მოტყუების გარეშე აშკარად დემონსტრირდება ყველა მონაწილე მხარის ინტერესები. ხაბერმასის მიერ შექმნილი დისკუსიის ეს მოდელი, ამოდის იმ დებულებიდან, რომლის თანახმადაც „პრაქტიკული საკითხები შეიცავს ჭეშმარიტებას“, და მიდის ერთიანობის კონსესუალურ, ანუ შემთანხმებელ მეთოდებამდე. იქ, სადაც კენჭისყრის დროს არავინ არ რჩება უმცირესობაში, ასევე არავინ არ შეიძლება იგარძნოს თავისი თავი დაქვემდებარებულად ან იფიქროს, რომ მის ბედს სხვები განსაზღვრავენ.

სწორედ ამ უტოპიურ პუნქტში ემთხვევიან ერთმანეთს დემოკრატიის კრიტიკული თეორიის პარტიციპატორული და ანარქისტული ვარიანტები. თანამონაწილეობის მოთხოვნისას, ხალხის სუვერენიტეტი განიხილება როგორც რაღაც აბსოლუტი; რუსოს კონცეფციის მსგავსად, მიიჩნევენ, რომ ხალხი არის რაღაც ერთიანი, სუბიექტი, რომელიც დაჯილდოებულია ერთიანი ნებით. ნებისმიერი ხელისუფლების არარსებობის მოთხოვნა (კერძოდ, უხელისუფლებობა) ინდივიდის ავტონომიისა და მის თვითგახსნას აქცევს აბსოლუტურ-

რად, ხოლო ნებისმიერი კოლექტიური მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ყველას აერთიანებს ერთიანი ნება.

6) ანალოგიურად გვაქვს საქმე დემოკრატიის სოციალისტურ თეორიაშიც — თვით დემოკრატიის იდეასთან მისი ორგვარი დამოკიდებულებისას. ერთი მხრივ, გათვალისწინებული უკლასო კომუნიზმის პირობებში თითქოს ბუნებრივად იგულისხმება, რომ არ იქნება ბატონობის არანაირი ფორმა. მეორე მხრივ, გამოითქმება საშიშროება იმისა, რომ შეიძლება შეალამაზონ „ბურჟუაზიული დემოკრატიის კლასობრივი შინაარსი“ (ლენინი) და ამით შეასუსტონ (მუშათა კლასის) მზადყოფნა რევოლუციისათვის. მარქსისტული დოქტრინის თანახმად, არსებობს მხოლოდ კლასობრივი დემოკრატიები. მაშინ, როდესაც „რევიზიონისტმა“ ბერნშტეინმა დემოკრატიას უწოდა „კომპრომიზების უმალღესი სკოლა“, სწორედ ამის გავლენამ, რომელმაც ჩააქრო დაპირისპირება, კლასობრივი დაპირისპირებულობის შესახებ გამოთქმები და აქედან გამომდინარე მათი იგნორირება, ყველა ორთოდოქსისათვის თვალის ღიბრად იქცა. უკანასკნელთა შეხედულებით, უმრავლესობის პრინციპის ფასადისა და ფორმალური თანასწორობის მიღმა „ბურჟუაზიული დემოკრატია“ მალავს თავის რეპრესიულ ხასიათს. მხოლოდ პროლეტარულ (ან „სოციალისტურ“) დემოკრატიას შეუძლია გადამწყვეტად გადალახოს ფსევდოდემოკრატიული ბურჟუაზიული დემოკრატიის ჩარჩოები. მხოლოდ სოციალისტური რევოლუცია ქმნის „სოციალურად ერთიანი ხალხის“ ჩამოყალიბების პირობებს, როგორც ხალხის ნამდვილი ხელისუფლების ბაზისს. რა თქმა უნდა, სოციალიზმის დროს ჯერ კიდევ არსებობს სხვადასხვა კლასი, თუმცა, სტალინური დოქტრინის თანახმად, მათ მიერ წარმოშობილი ინტერესების დაპირისპირებულობა და წინააღმდეგობა არ არის უფრო ანტაგონური, ასე რომ, თვით (სოციალისტურ) სახელმწიფოს არ შეუძლია იფუნქციოს როგორც ერთი კლასის ხელში ბატონობისა და დათრგუნვის იარაღმა. სოციალისტური თეორიისათვის დემოკრატია არის ისტორიულად გარდამავალი მოვლენა. განვითარების პირველი პერიოდი მთლიანად ამოიწურება პოლიტიკური ხელისუფლების მოპოვებით და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების სტრატეგიით. ლუკაჩმა ამ პერიოდისათვის გამოიყენა თავისი შინაარსით პარადოქსული ცნება — „დემოკრატიული დიქტატურა“. განვითარების მხოლოდ მეორე ფაზაში დემოკრატია თავის მოქმედებას ავრცელებს მთელ ხალხზე. და ბოლოს, „კომუნისტურ საზოგადოებაში დემოკრატია, იქცევა რა ჩვევად, კვდება“ (ლენინი).

სახელმწიფოს შესახებ მარქსისტული მოძღვრების კონტექსტში დემოკრატია არის საზოგადოების განვითარების უნივერსალური თეორიის შემადგენელი ნაწილი მისი ფილოსოფიურ-ისტორიული პერსპექტივითა და განსაზღვრული პერიოდიზაციით. ამ თეორიის ჩარჩოებში მოცემულია დემოკრატიის მიზნებისა და ფუნქციების ზუსტი აღწერილობა. სავსებით სხვანაირად გამოიყურება ეს შეფარდება (მიზნებსა და ფუნქციებს შორის) დემოკრატიის დასავლურ თეორიაში. აქ საერთოდ დემოკრატია არ არის მსოფლმხედველობრივი და სოციალური. პომოგენურობის საფუძველზე დადგენილი შეთანხმება თანდათანობით მყარდება; ის უფრო მეტად წარმოიშობა პოლიტიკური შეთანხმების მუდმივი განახლების ბაზაზე, რომელიც მუდმივად საჭიროებს განახლებას, სწორედ ყოველმხრივ მზარდი მსოფლმხედველობრივი და სოციალურ განსხვავებების ძალით (თანამედროვე საზოგადოებაში). დასავლე-

თის დემოკრატია არ ცნობს მისთვის ერთხელ და სამუდამოდ მდებარე სახელმწიფო მიზნის სავალდებულო უპირატესობას, მაგრამ მიისწრაფის ხელების დემოკრატიული ერთიანობისაკენ, რომლის დროსაც საზოგადოების მიზნები ცვალებად პირობებში თითქოს მუდმივად გადაისინჯება და განისაზღვრება. ისტორიისა და საზოგადოების იდეოლოგიურად ფიქსირებული მიზნის მხარდაჭერის მოვალეობას აქ ცვლის პლურალიზმის მეთოდის მხარდაჭერის, სხვადასხვა ღირებულებების შეჯიბრებითობის, აგრეთვე მოთმინების მოვალეობა.

დემოკრატიის სოციალისტური თეორიის სპეციფიკური ნიშანია ის, რომ მიუხედავად ცალკეულ თეორეტიკოსთა შეხედულებებისა და მდგომისა, ყველა მათგანი ხაზს უსვამს „კლასობრივი საფუძვლის“ როგორც დემოკრატიის კრიტერიუმის არსებობას. ამ მიზეზის გამო, მათთვის „ძირითადი სოციალური უფლებები“ უფრო მეტადაა მნიშვნელოვანი, ვიდრე თავისუფლებისა და თანამონაწილეობის პოლიტიკური უფლებები, რომლებიც „ბურჟუაზიულ დემოკრატიაში“ უფრო მეტადაა დაფასებული. ეს ნათლად ჩანს „პოლიტიკურ“ და „სოციალურ“ კონფრონტაციაში ავსტრიელ მარქსისტ ადლერთან. თუმცა სახელმწიფოს შესახებ მარქსისტული მოძღვრება თანდათანობით იწყებს ლიბერალურ-კონსტიტუციური ფესვების შქონე ისეთი ფუნდამენტური მოთხოვნების შეთვისებას, როგორცაა: თავისუფალი არჩევნები, სამართლებრივი სახელმწიფო, ხელისუფლების დანაწილება, ფედერალიზმი. თუკი ამ სხვადასხვა შეხედულების თვითინტერპეტაციიდან ამოვალთ, შეიძლება, მართლაც, დავადასტუროთ მათი დაახლოება. დემოკრატიული სტრუქტურებით აღჭურვილი სახელმწიფო დიდი ხანია უკვე, რაც დაადგა სოციალური მოქმედებებისა და საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარების გზას, „ბურჟუაზიულმა დემოკრატია“ თავისი პირვანდელი კონსტიტუციურ-პოლიტიკური მიმართულება შეავსო სოციალური განზომილებებით, არის იმის ნიშნებიც, რომ „სოციალისტური დემოკრატია“, სოციალურ თანასწორობაზე, კეთილდღეობასა და ტექნიკურ-ეკონომიკურ ეფექტიანობაზე თავისი ტრადიციული ორიენტაციის დამატებით, შეიძენს პოლიტიკურად სამართლებრივი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ელემენტების ტენდენციას.

7) ლუმანი, დემოკრატიის თეორიის თავის სისტემურ ვერსიაში, ცდილობს ხელახლა განსაზღვროს დემოკრატიის ნორმატიული წინამძღვრები. ამასთან, იგი ეყრდნობა ისტორიაში არარსებულ პრეცედენტს — სინამდვილის პოლიტიკურად რელევანტური პორიზონტის „კომპლექსურობის ხარისხის“ ცნებას; მისი აზრით, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური მოქმედებების მიზნები ერთმნიშვნელოვნად არაა დასახული. ჩვენ ვიმყოფებით უსასრულოდ ღია, განსაკუთრებით მძიმე და ოპტიკურად განუსაზღვრელ სამყაროში: პოლიტიკა მუდმივად უნდა ზრუნავდეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძვლებისა და კრიტერიუმების შემუშავებაზე. ამ სიტუაციაში დემოკრატია წარმოადგენს საკითხების გადაწყვეტის უფრო მეტად მისაღებ გზას და საშუალებას, ვინაიდან, ის საზოგადოებას გამგებლობაში აძლევს საკითხების შემუშავების ან სისტემის ტექნიკის ენაზე, „მაღალი დონის საარჩევნო მოქმედებების“ მეთოდოლოგიურ საფუძველს, რომელიც თავისი შინაარსით ძალზე ნეიტრალურია და თავისუფალი „წინასწარი შეფასებითი მიდგომისაგან“. სახელმწიფოებრიობის სხვა ფორმებისაგან დემოკრატია იმით



განსხვავდება, რომ ის „გადაწყვეტილებების შემუშავებისას, ყოველდღიური საქმიანობის მიუხედავად“, ინარჩუნებს „კომპლექსურობის შკალის მთელ მნიშვნელობას“ (ლუმანი). თუმცა კი თითოეულ მიღებულ გადაწყვეტილებაში დემოკრატია უკუაგდება სხვა შესაძლებელი ვარიანტების უმრავლესობას, ანუ სხვა სიტყვებით, „რედუცირებას უკეთებს კომპლექსურობას“ (ე. ი. ამცირებს ავიწროებს მას), მაგრამ ის მაინც ეძებს ან იტოვებს განსაზღვრულ შესაძლებლობებს მომავალში სხვა არჩევანისათვის. ამრიგად, დემოკრატია კომპლექსურობის შენარჩუნებით კომბინირებას უწევს საჭირო გადაწყვეტილებების შემუშავების უნარს, ე. ი. ალტერნატიული მოქმედებებისათვის სტრუქტურულ თავისუფლებას.


თავდაპირველად, ყველაფერი ეს ძალზე ემსავსება დემოკრატიის ტრადიციული ლიბერალური თეორიის ზოგად საფუძვლებს: თავისუფლებას, მრავალფეროვნებას, პლურალიზმს, ახდილობას, თანამონაწილეობას, სხვადასხვა აზრების შეჯიბრებითობას. და მაინც, დემოკრატიის სისტემურ-თეორიული დასაბუთების კონტექსტში ყველა ეს ღირებულება და პრინციპი სრულებით სხვა შინაარსს იძენს. მრავალფეროვნება არ განიხილება როგორც სუბიექტის ფსიქოსოციალური გამდიდრების შანსი; თავისი მიზნების ადაპტირება და მათი შეცვლის უნარი ითვლება დადებით ღირებულებებად, ვინაიდან, მძიმე (სოციალური და ბუნებრივი) გარემოს არსებობის პირობებში უპირველესად სწორედ მათ შეუძლიათ შეინარჩუნონ პოლიტიკური რეჟიმი. დემოკრატიული თანამონაწილეობა თავის მნიშვნელობას იძენს არა როგორც პირადი და კოლექტიური ავტონომიის რეალიზაციის ინსტრუმენტი, არამედ როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაძლებლად ფართო სპექტრის გარანტი. დაბოლოს, არჩევნები, როგორც დემოკრატიის „ცენტრები“, წარმომადგენლობითი სისტემის დროს კი არ ემსახურებიან თვითგამორკვევის პირადი თავისუფლების რეალიზაციას, არამედ ხელს უწყობენ ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების დაფარვას და ამომრჩეველთა გარდამავალი განწყობილებების გამოყენებას პოლიტიკური პარტიების ასპარეზობის დროს. მოკლედ, დემოკრატიის ფუნქციური განხილვისას მისი სუბიექტური მოტივაცია და ფსიქოლოგიური წახალისება სისტემატურად შეიცვლება ხოლმე ობიექტური სისტემურ-ფუნქციონალური მოქმედებებით; პარტიციპაცია (თანამონაწილეობა) წარმოშობს მრავალფეროვნებას, „კომპლექსურობას“, რომელიც თავის მხრივ, უზარუნველყოფს სისტემის ხანგრძლივ სიმტკიცეს. დემოკრატია თავის თავს ამატლებს უკვე არა როგორც ხელისუფლებრივი ურთიერთობების ორგანიზაციის „უჭუმანურესი“ ფორმა, არამედ უფრო მეტად სახელმწიფოებრივი ცხოვრების სწორედ ის ფორმა, რომელიც თანამედროვე პირობებში ყველაზე უკეთ შეინარჩუნებს სისტემას.

საკუთარი მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, დემოკრატიის დასაბუთების სისტემური კონცეფცია არ გადასინჯავს დემოკრატიის ნორმატიულ წანამდგვრებს, არამედ თვით ხდის ზედმეტად მის მკაცრ ნორმატიულ დასაბუთებას. დემოკრატიის ტრადიციულად ნორმატიული, სტრუქტურული და პროცედურული ნიშნების შეცვლა ფუნქციონალური კრიტერიუმებით, რომლებიც მიეკუთვნებიან სისტემის თვითშენარჩუნების უნარს, მაინც არ ქმნის ლეგალიტიმურ (კანონიერ) ბაზას დემოკრატიისათვის, რადგანაც პრინციპში, ხელისუფლების ნებისმიერი და თითოეული ორგანიზება, რომელიც ქმნის სისტემის

თვითშენარჩუნების ოპტიმალურ პირობებს, შეიძლება ამ საფუძველზე გამო-  
რთლებულ იქნეს.

IV. რელიგანტური დემოკრატიული ორიენტაციის მერყეობამ ორ პოლუსს — „უტოპიასა“ და „შემგუებლობას“ შორის (შარბი), არ მოახდინა დადებითი გავლენა დემოკრატიის შესახებ დისკუსიაზე უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში. დემოკრატიის ნებისმიერი კონცეფცია, რომელიც აკმაყოფილებს მეცნიერების თანამედროვე სტანდარტებს, უნდა იყოს საკმაოდ კომპლექსური და იმავდროულად მოქნილი, რათა შეძლოს მოახდინოს ორივე წანამძღვრის ინტეგრირება, ე. ი. ევრისტულად გაიაზროს და შეუსაბამოს ერთმანეთს დემოკრატიის შედარებით სხვადასხვა პრინციპების სპეციფიკური საკითხები და დასკვნები. დემოკრატიის თეორიამ ყურადღება უნდა გაამახვილოს და გაითვალისწინოს როგორც ემპირიული მონაცემები და ცოდნა, რომელიც გამომჟღავნდება პარტიებისა და ორგანიზაციების სოციოლოგიური გამოკვლევების, არჩევნების შესწავლის პროცესში, პოლიტიკურ ფსიქოლოგიასა და სხვა სპეციალურ დისციპლინებში, ისე ე. წ. „რელიგანტური საკითხები“, სოციალური მიზანშეწონილობა და სოციალური შეფასებები, იმედები და შიში, რომლებიც ასე თუ ისე თან ახლავს დემოკრატიას.

დემოკრატიის თეორიამ არ შეიძლება შეზღუდოს თავისი თავი რომელიმე ორი მიზნიდან მხოლოდ ერთადერთი მიზნით (თანამონაწილეობა თუ ეფექტიანობა, თავისუფლება თუ თანასწორობა, სამართლებრივი თუ სოციალური სახელმწიფო, უმცირესობის დაცვა თუ უმრავლესობის ხელისუფლება, ავტონომია თუ ავტორიტეტი); პირიქით, მან თავი უნდა მოუყაროს მიზნების შესახებ იმ წარმოდგენების შესაძლებლად დიდ რაოდენობას, რომლებიც გამომზეურდნენ დემოკრატიის დასავლურ ფილოსოფიაში, აგრეთვე დემოკრატიულ პრაქტიკაში და იქცნენ სოციალურად მნიშვნელოვან წარმოდგენებად. დემოკრატიის თეორიამ უბრალოდ არ უნდა ასახოს და აღადგინოს სინამდვილე ან უიმედოდ ჩაეფლოს სინამდვილისაგან სახვებით მოწყვეტილ უტოპიებში. ის საჭიროებს კომპლექსურ წანამძღვრებს, პრინციპებს, რომელსაც თითქოს შუალედური მდგომარეობა უკავია დემოკრატიის სახეებსა და სინამდვილეს შორის; ჩვენ გვკვირდება დემოკრატიის ისეთი თეორია, რომელიც მუდმივად წინ უსწრებს თავის რეალობას, მაგრამ არასდროს არ კარგავს მას თავისი თვალთახედვიდან.



# ქონვენცია სამხედრო ტყვეებთან მოპყროვის შესახებ

1949 წლის 12 აგვისტო\*

1949 წლის 21 აპრილიდან 12 აგვისტომდე ჟენევაში სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ ჟენევის 1929 წლის 27 ივლისის კონვენციის გადახედვის მიზნით მიმდინარე დიპლომატიურ კონფერენციაზე დამსწრე მთავრობათა ქვემოთ ხელმომწერი უფლებამოსილი წარმომადგენლები შეთანხმდნენ შემდეგი მუხლების გამო:

## პარი I

### ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1.** იხ. მოქმედ არმიაში დაჭრილთა და ავადმყოფთა ... კონვენციის მუხლი 1.

**მუხლი 2.** იხ. აღნიშნული კონვენციის მუხლი 2.

**მუხლი 3.** იხ. აღნიშნული კონვენციის მუხლი 3.

**მუხლი 4.** A. მოცემული კონვენციით სამხედრო ტყვეებად ითვლებიან მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლებაში მყოფი პირნი, რომლებიც ეკუთვნიან ერთ-ერთს შემდეგი კატეგორიებიდან:

1. კონფლიქტში მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა, ასევე, ამ შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი თავდაცვის და მოხალისეთა რაზმების პირადი შემადგენლობა;

2. თავდაცვის და მოხალისეთა სხვა რაზმების პირადი შემადგენლობა, კონფლიქტში მყოფი მხარის წინააღმდეგობის ორგანიზებული მოძრაობების პირადი შემადგენლობის ჩათვლით, რომლებიც მოქმედებენ საკუთარ ტერიტორიაზე ან მის გარეთ ტერიტორიაზე ოკუპაციის დროსაც კი, თუ აღნიშნული რაზმები და ორგანიზებული მოძრაობები აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:

- a) მათ მეთაურობს პირი, რომელიც პასუხს აგებს ქვეშევრდომებზე,
  - b) აქვთ გარკვეული და შორიდან ადვილად გასარჩევი განმასხვავებელი ნიშანი,
  - c) ღიად ატარებენ იარაღს,
  - d) თავიანთი მოქმედებებისას იცავენ ომის კანონებს;
3. იმ რეგულარულ შეიარაღებულ ძალთა პირადი შემადგენლობა, რომ-

\* ძალაში შევიდა 1950 წლის 21 ოქტომბერს.

მელიც ემორჩილება მთავრობას ან ხელისუფლებას, რომელიც არ არის აღიარებული ტყვეობაში მყოფ მთავრობად ან ხელისუფლებად;

4. პირნი, რომელნიც არ შედიან უშუალოდ შეიარაღებულ ძალებში, მაგრამ მოსდევენ მას, მაგალითად — საომარი თვითმფრინავების ეკიპაჟში შემავალი სამოქალაქო პირნი, საომარი კორესპონდენტები, მომმარაგებლები, სამუშაო ჯგუფთა და სამსახურთა პირადი შემადგენლობა, რომელსაც ეკისრება შეიარაღებული ძალების საყოფაცხოვრებო მომსახურება იმ პირობით, რომ მათ დართული აქვთ ნება ახლდნენ შეიარაღებულ ძალებს;

5. კონფლიქტში მყოფი მხარეების სავაჭრო ფლოტის გემების ეკიპაჟთა წევრები კაპიტნების, ლოცმანების, იუნგების ჩათვლით, აგრეთვე, სამოქალაქო ავიაციის ეკიპაჟები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის რაიმე სხვა დებულებათა ძალით არ სარგებლობენ უფრო შეღავათიანი რეჟიმით;

6. არაოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობა, რომელიც მოწინააღმდეგის მოახლოებისთანავე სტიქიურად იღებს ხელთ იარაღს, მაგრამ არ არის ფორმირებული რეგულარული არმიის სახით, ღიად ატარებს იარაღს და იცავს ომის კანონებს.

B, ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს მოცემული კონვენციის შესაბამისად მოეპყრობიან როგორც სამხედრო ტყვეებს:


1) ოკუპირებული ქვეყნის შეიარაღებული ძალების ყოფილ ან ახლანდელ წევრებს, თუ ოკუპაციის მომხდენი ქვეყანა აუცილებლად თვლის მათ ინტერნირებას მიუხედავად იმისა, რომ როდესაც საომარი მოქმედებები ოკუპირებული ტერიტორიის გარეთ მიმდინარეობდა, ეს პირნი გაათავისუფლა. განსაკუთრებით ეს ეხება პირებს, რომლებმაც წარუმატებლად სცადეს შეერთებოდნენ საომარ მოქმედებებში მონაწილე თავიანთ შეიარაღებულ ძალებს, ასევე პირებს, რომლებიც არ დაემორჩილნენ გამოძახებას მათი ინტერნირებისათვის;

2) მოცემულ მუხლში მითითებულ რომელიმე კატეგორიის პირებს, რომლებიც თავიანთ ტერიტორიაზე მიიღეს ნეიტრალურმა ან არამომარმა სახელმწიფოებმა და რომელთა ინტერნირებაც ხდება საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, თუ მათთვის უფრო შეღავათიანი რეჟიმის დაწესებას არ მიიჩნევენ საჭიროდ, მაგრამ ამ პირებზე არ ვრცელდება 8, 10, 15 მუხლების, 30-ე მუხლის V აბზაცის 58-67, 92, 126 მუხლების დებულებები; ხოლო იმ შემთხვევაში, როცა კონფლიქტში მყოფ მხარეებსა და დანეტერესებულ ნეიტრალურ ან არამომარ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობებია, მათზე ასევე არ ვრცელდება დებულებანი მუხლებისა მფარველი სახელმწიფოების შესახებ. როდესაც არსებობს დიპლომატიური ურთიერთობანი, კონფლიქტში მყოფ მხარეებს, რომელთა სახელზეც ირიცხებიან მითითებული პირნი, უფლება აქვთ მათ მიმართ განახორციელონ ამ კონვენციით მფარველ სახელმწიფოზე დაკისრებული ფუნქციები ისე, რომ არ იზარალოს იმ ფუნქციათა შესრულებამ, რომლებიც განსაზღვრულია დიპლომატიური და საკონსულო პრაქტიკით და ხელშეკრულებებით.

C. ეს მუხლი არავითარ შემთხვევაში არ ეხება ამ კონვენციის 35-ე მუხლში გათვალისწინებულ სამედიცინო-სანიტარული და სასულიერო პერსონალის სტატუსს.

მუხლი 3, მოცემული კონვენცია გამოიყენება მე-4 მუხლში მითითებული





პირების მიმართ იმ მომენტიდან, როცა ისინი მოწინააღმდეგე მხარის სახელით აღმოჩნდებიან.

იმ შემთხვევაში, როცა საომარ მოქმედებაში მონაწილე და მოწინააღმდეგე მხარის ხელში ჩაგარდნილი პირის მიმართ აღიძვრება ეჭვი მე-4 მუხლში მითითებული ერთ-ერთი კატეგორიისადმი მისი მიკუთვნების შესახებ, აღნიშნული პირი სარგებლობს მოცემული კონვენციის მფარველობით, ვიდრე მის მდგომარეობას არ განსაზღვრავს კომპეტენტური სასამართლო.

**მუხლი 6.** გარდა 10, 23, 28, 33, 60, 65, 66, 67, 72, 73, 75, 109, 110, 118, 119 და 122 მუხლებში აღნიშნული შეთანხმებებისა... — შემდეგ იხ. მოქმედ არმიის დაჭრილთა... კონვენციის მუხლი 6 („დაჭრილები და ავადმყოფები“ შეიცვალოს გამოთქმით „სამხედრო ტყვეები“).

**მუხლი 11.** იხ. აღნიშნული კონვენციის შესაბამისი მუხლები. (ყველგან „სამხედრო ტყვეები“ ცვლის „დაჭრილებს და ავადმყოფებს“; „სანიტარულ და სასულიერო პერსონალს“).

სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ კონვენციაში ეს მუხლი 8, 9, 10 მთავრდება წინადადებით: „მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლები ან დელეგატები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადასცილდნენ მოცემული კონვენციით განსაზღვრული მისიის ფარგლებს. კერძოდ, მათ მხედველობაში უნდა მიიღონ იმ სახელმწიფოს უშიშროების საჭიროებანი, სადაც ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს“.

**პარი II.**

**ზოგადი დებულებანი**

**სამხედრო ტყვეთა დაცვის შესახებ**

**მუხლი 12.** სამხედრო ტყვეები იმყოფებიან მოწინააღმდეგე მხარის და არა მათი ტყვედ ჩამდები ცალკეული პირების ან სამხედრო შენაერთების ხელისუფლების ქვეშ. დამოუკიდებლად იმ პასუხისმგებლობისაგან, რომელიც ეკისრება ცალკეულ პირებს, სახელმწიფო პასუხს აგებს სამხედრო ტყვეებთან მოპყრობაზე.

სამხედრო ტყვეების გადაცემა შეიძლება მხოლოდ ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოსათვის მას შემდეგ, რაც დამტყვევებელ სახელმწიფო დარწმუნდება, რომ სახელმწიფოს, რომელსაც უნდა გადაეცეს ტყვეები, შეუძლია და აქვს სურვილი — დაიცვას ეს კონვენცია. ამგვარად, ტყვეების გადაცემისას, კონვენციის გამოყენებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მათ შიშდებ სახელმწიფოს, ვიდრე ტყვეები მისი მზრუნველობის ქვეშ არიან.

მაგრამ თუ ეს სახელმწიფო არ შეასრულებს ამ კონვენციის ნებისმიერი მნიშვნელოვანი პუნქტის მიმართ დებულებებს, სახელმწიფომ, რომელმაც გადასცა ტყვეები, შეტყობინების მიღებისთანავე უნდა მიიღოს ეფექტიანი ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსწორებისათვის ან მოითხოვოს სამხედრო ტყვეების დაბრუნება. ამგვარი მოთხოვნა დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს.

**მუხლი 13.** სამხედრო ტყვეებს ყოველთვის ჰუმანურად უნდა მოეპყრონ. ნებისმიერი უკანონო ქმედება ან უმოქმედობა დამტყვევებელი სახელმწიფოს მხრივ, რამაც გამოიწვია მისი ხელისუფლების ქვეშ მყოფი ტყვის სიკვდილი,

ან სერიოზული საფრთხე შეუქმნა მის ჯანმრთელობას, აკრძალულია და ჩაითვლება მოცემული კონვენციის სერიოზულ დარღვევად. კერძოდ, მათი შეიძლება არც ერთი სამხედრო ტყვის დასახიჩრება ან მათზე ნებისმიერი სახის სამეცნიერო ან სამედიცინო ცდის ჩატარება, რომელიც არ არის ნაკარანხები მისი განკურნების ინტერესებით. სამხედრო ტყვეები თანაბრად სარგებლობენ დაცვით, განსაკუთრებით ძალადობისა და დაშინების აქტებისაგან, ბრბოს შეურაცხყოფისა და ცნობისმოყვარეობისაგან.

მათ მიმართ რეპრესალების გამოყენება აკრძალულია.

**მუხლი 14.** ნებისმიერ გარემოებაში სამხედრო ტყვეებს აქვთ მათი პიროვნებისა და ღირსების პატივისცემის უფლება.

ქალებს უნდა მოეპყრონ მათი სქესისადმი შესაფერისი პატივისცემით და არა უფრო ცუდად ვიდრე მამაკაცებს.

სამხედრო ტყვეები ინაჩუნებენ თავიანთ სამოქალაქო უფლებათნარიანობას, რომელსაც ფლობდნენ დამტყვევებამდე. ამ უფლებათნარიანობიდან გამომდინარე უფლებების განხორციელება დამტყვევებელ სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს თავის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას ითხოვს ტყვეობის პირობები.

**მუხლი 15.** დამტყვევებელი ქვეყანა ვალდებულია, უზრუნველყოს სამხედრო ტყვეთა მოვლა და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესატყვისი სამედიცინო დახმარება.

**მუხლი 16.** მოცემული კონვენციის დებულებების გათვალისწინებით, რომლებიც ეხება წოდებას და სქესს, დამტყვევებელი სახელმწიფო ყველა ტყვეს უნდა მოეპყროს ერთნაირად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე რასის, ეროვნების, აღმსარებლობის, პოლიტიკური შეხედულებების და ანალოგიურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული სხვა ნიშნების საფუძველზე გარდა პრივილეგირებული რეჟიმის შემოღებისა და ზოგიერთი ტყვისათვის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკის ან კვალიფიკაციის საფუძველზე.

### პარი III.

#### ტყვეობა

#### ნაწილი I

#### ტყვეობის დასაწყისი

**მუხლი 17.** ყოველმა სამხედრო ტყვემ დაკითხვისას უნდა აცნობოს მხოლოდ თავისი გვარი, სახელი და წოდება, დაბადების წელი და პირადი ნომერი ან ამგვარის არქონის შემთხვევაში, სხვა თანაბარი მნიშვნელობის ინფორმაცია.

თუ სამხედრო ტყვე შეგნებულად დაარღვევს ამ წესს, მას მოელის იმ უპირატესობების შეზღუდვა, რომლებითაც სარგებლობენ მისი წოდების ან მდგომარეობის სამხედრო ტყვეები.

კონფლიქტში მონაწილე ყოველი მხარე ვალდებულია მის იურისდიქციაში მყოფი ყოველი პირი, რომელიც შეიძლება გახდეს სამხედრო ტყვე, უზრუნველყოს პირადობის მოწმობით გვარის, სახელის, წოდების, დაბადების წლის, პირადი ნომრის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის მითითებით, მოწმობაში უნ-

და იყოს მფლობელის ხელმოწერა ან თითის ანაბეჭდი, ან ერთი და მეორეც. ასევე, უნდა შეიცავდეს ნებისმიერ ინფორმაციას, რომლის მითითებაც სურს კონფლიქტში მყოფ მხარეს მისი შეიარაღებული ძალების წევრის შეესაბამება. პირადობის მოწმობა შეძლებისამებრ უნდა იყოს 6,5X10 სმ სიდიდის და უნდა ჰქონდეს დუბლიკატი. სამხედრო ტყვე ვალდებულია, მოთხოვნისთანავე წარადგინოს მოწმობა, მაგრამ მისი წართმევა არ შეიძლება.

სამხედრო ტყვეების ფიზიკური ან მორალური წამება ან მათ მიმართ იძულებითი აქტების განხორციელება ინფორმაციის მიღების მიზნით აკრძალულია. თუ სამხედრო ტყვე უარს ამბობს უპასუხოს შეკითხვებს, არ შეიძლება მას დაემუქრონ, შეურაცხყონ ან მიმართონ მის დევნას და შევიწროებას.

სამხედრო ტყვეები, რომელთაც არ შეუძლიათ საკუთარი პიროვნების შესახებ ცნობების მიწოდება თავიანთი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამო, გადაეცემა სამხედრო სამსახურს. ამ სამხედრო ტყვეთა ვინაობა დადგინდება ყველა შესაძლო ხერხით, წინა აბზაცის დებულებათა გათვალისწინებით.

სამხედრო ტყვეთა დაკითხვა უნდა წარმოებდეს მათთვის გასაგებ ენაზე.

**მუხლი 18.** პირადი მოხმარების ყველა ნივთი და საგანი, გარდა იარაღის, ცხენების, საომარი აღჭურვილობის და სამხედრო დოკუმენტებისა, რჩება სამხედრო ტყვეთა განკარგულებაში, მაგალითად, ჩაჩქანი, აირწინალები და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებები. მათ განკარგულებაში რჩება ასევე ფორმის ტანსაცმელი.

სამხედრო ტყვეები არ უნდა დარჩნენ პირადობის მოწმობის გარეშე. დამტყვევებელი ქვეყანა პირადობის მოწმობებს ურიგებს მათ ვისაც არა აქვს.

სამხედრო ტყვეებს არ უნდა ჩამოართვეთ მათი პიროვნების (სუბიექტის) განმასხვავებელი ნიშნები, სახელმწიფოს სუბიექტური მნიშვნელობის მქონე განმასხვავებელი ნიშნები და საგნები.

სამხედრო ტყვეებს მათი კუთვნილი ფულადი თანხა შეიძლება ჩამოართვეთ მხოლოდ ოფიცრის განკარგულებით და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მონაცემები თანხის როდენობისა და მფლობელის შესახებ შევა სპეციალურ რეესტრში. ტყვეებს გადაეცემათ დაწვრილებითი ხელწერილი, რომელშიც გარკვევით იქნება აღნიშნული ხელწერილის ჯამცემი პირის სახელი, წოდება და სამხედრო ნაწილი. ფულადი თანხა დამტყვევებელი სახელმწიფოს ვალუტით ან ის თანხა, რომელიც გაცვლილია ამ ვალუტაზე, მფლობელის სურვილით შეტანილი იქნება მისი პირადი ანგარიშის კრედიტზე, 64-ე მუხლის შესაბამისად.

დამტყვევებელ სახელმწიფოს შეუძლია სამხედრო ტყვეს ჩამოართვეს ძვირფასი ნივთები მხოლოდ უშიშროების მიზნით. ამ შემთხვევაში დაცული იქნება იგივე წესი, რაც ფულადი თანხის ჩამორთმევის შემთხვევაში.

აღნიშნული ნივთები, ასევე, ჩამორთმეული ფულადი თანხა სხვა ვალუტით, რომლის დამტყვევებელი ქვეყნის ვალუტაზე გაცვლა არ უთხოვია მფლობელს, უნდა შეინახოს დამტყვევებელმა ქვეყანამ და დაუბრუნოს მას ტყვეობის დამთავრებისთანავე, იმავე სახით.

**მუხლი 19.** ტყვედ ჩავარდნიდან უმოკლეს დროში სამხედრო ტყვეები გადაჰყავთ ბანაკებში, რომლებიც საკმაოდ დაშორებულია სამხედრო მოქმედებათა ზონებს, რათა მათ არ ემუქრებოდეთ საფრთხე.

საშიშ ზონაში უნდა დარჩნენ მხოლოდ ის სამხედრო ტყვეები, რომელ-

თა ევაკუაცია მათი დატრის ან ავადმყოფობის გამო ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე ადგილზე დატოვება.

სამხედრო ტყვეები არ უნდა მოექცნენ საფრთხეში სამხედრო მოქმედებათა ზონიდან ევაკუაციის მოლოდინში.

**მუხლი 20.** სამხედრო ტყვეთა ევაკუაცია ყოველთვის უნდა განხორციელდეს ჰუმანურად და ისეთივე პირობებში, როგორშიც ხდება დამტყვევებელი ქვეყნის მეომართა გადაადგილება.

დამტყვევებელმა ქვეყანამ ევაკუირებული სამხედრო ტყვეები უნდა მოამარაგოს სათანადო რაოდენობის სასმელი წყლით, საკვებით, ტანსაცმლით და უზრუნველყოს სამედიცინო დახმარებით. მანვე უნდა მიიღოს ყველა ზომა, უევაკუაციის დროს მათი უსაფრთხოებისათვის პირველ შესაძლებლობისთანავე შეადგინოს ჯადასაყვან სამხედრო ტყვეთა სია.

თუ სამხედრო ტყვეებმა ევაკუაციის დროს უნდა გაიარონ ტრანზიტული ბანაკები, მათი იქ ყოფნა რაც შეიძლება ხანმოკლე უნდა იყოს.

## ნაწილი II

### სამხედრო ტყვეთა ინტერნირება

#### თავი I


#### პირითადი დეპუტატები

**მუხლი 21.** დამტყვევებელ ქვეყანას შეუძლია მოახდინოს სამხედრო ტყვეთა ინტერნირება, აუკრძალოს მათ გასვლა ბანაკის დაწესებული მიჯნის (ან თუ ბანაკს გარს აკრავს მესერი), მესერს იქით გასვლა.

გარდა შემთხვევებისა, როცა შემოღებულია დისციპლინური და სისხლის სამართლის სანქციები, მოცემული კონვენციის დებულების თანახმად, სამხედრო ტყვე არ უნდა იყოს ჩაკეტილი შენობაში და არ უნდა აეკრძალოს დატოვოს შენობის ფარგლები, თუ ეს აკრძალვა არ არის აუცილებელი მათი ჯანმრთელობის დაცვისათვის. ყოველი შემთხვევისათვის, ეს აკრძალვა ძალაში რჩება მხოლოდ იმ დრომდე, ვიდრე მისი გამომწვევი მიზეზები არ შეწყდება.

თუ ამას ითვალისწინებს იმ ქვეყნის კანონები, რომლის მოქალაქეებიც არიან სამხედრო ტყვეები, მათ შეიძლება მიენიჭოთ ნაწილობრივი ან სრული თავისუფლება ვალდებულების ან პატიოსანი სიტყვის საფუძველზე. ეს დონისძიება გამოიყენება მაშინ, თუ ხელს შეუწყობს ტყვეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, არ შეიძლება ტყვეთა გათავისუფლება პატიოსანი სიტყვის ან ვალდებულების საფუძველზე ძალდატანებით.

საომარი მოქმედებების დაწყებისას კონფლიქტში მყოფი ყოველი მხარე მოწინააღმდეგეს აცნობს კანონებს და წესებს, რომლებიც ნებას რთავენ ან აუკრძალავენ მის მოქალაქეებს, დაეთანხმონ გათავისუფლებას. გათავისუფლებულმა სამხედრო ტყვეებმა ზუსტად უნდა შეასრულონ თავის თავზე აღებული ვალდებულებანი როგორც თავიანთი ქვეყნის მიმართ, ასევე დამტყვევებელი ქვეყნის მიმართ, ასეთ შემთხვევაში მათმა ქვეყანამ არ უნდა მოსთხოვოს სამხედრო ტყვეებს ისეთი სამსახური, რომელიც ვწინააღმდეგება მიცემულ სიტყვას ან ნაკისრ ვალდებულებას.



**მუხლი 22.** ინტერნირებული სამხედრო ტყვეების მოთავსება შეიძლება მხოლოდ ხმელეთზე მდებარე შენობებში, რომლებიც იძლევა ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიას, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომლებიც ნაკარნახეია თავად ტყვეთა სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად. ასევე, არ შეიძლება მათი მოთავსება ციხის შენობებში.

არაჯანსაღი კლიმატური პირობების მქონე ადგილებიდან, რაც სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის, სამხედრო ტყვეები სასწრაფოდ გადაიყვანეთ უფრო ხელსაყრელი კლიმატის მქონე ტერიტორიებზე.

დამტყვევებელი სახელმწიფო სამხედრო ტყვეებს მოათავსებს ბანაკებში ან ბანაკის სექტორებში მათი ეროვნების, ენის, ჩვევების გათვალისწინებით იმ პირობით, რომ სამხედრო ტყვეები არ იქნებიან იზოლირებული იმ შეიარაღებული ძალების სამხედრო ტყვეებისაგან, სადაც მსახურობდნენ ტყვედ ჩავარდნამდე, გარდა შემთხვევებისა, როცა ამას ეთანხმებიან თავად ტყვეები.

**მუხლი 23.** არც ერთი სამხედრო ტყვე არ უნდა გაიგზავნოს რაიონში, სადაც შეიძლება მოხვდეს ცეცხლის ქვეშ. არ შეიძლება მათი დაკავება ასეთ სახიფათო რაიონებში, გამოყენება საომარი ოპერაციების დროს რაიმე პუნქტების ან რაიონების დასაცავად.

სამხედრო ტყვეები, ადგილობრივი სამოქალაქო მოსახლეობის მსგავსად, უნდა სარგებლობდნენ თავშესაფრებით სავაერო თავდასხმებისა და სხვა საშიშროებისაგან დაცვის მიზნით. იმათ გარდა, ვინც უნდა დაიცვას შენობები, ყველა სამხედრო ტყვე, რაც შეიძლება სწრაფად, განგაშის დაწყებისთანავე მიდის თავშესაფარში. სამოქალაქო მოსახლეობის დასაცავად გატარებული ყველა ღონისძიება ეხება სამხედრო ტყვეებსაც.

დამტყვევებელი სახელმწიფოები, მფრაველ სახელმწიფოთა მეშვეობით, ერთმანეთს აცნობებენ სამხედრო ტყვეთა ბანაკების გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას.

დღისით, როცა ამის საშუალებას იძლევა საომარი მდგომარეობა, ბანაკები უნდა აღინიშნებოდეს ასოებით „pw“ ან „pg“, რომლებიც უნდა ჩანდეს როგორც საფრენი სივრციდან, ისე ხმელეთზე, შორი მანძილიდან. დამტყვევებელ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეთანხმდნენ სხვა ნიშნებზეც, რომლებითაც შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ ტყვეთა ბანაკები.

**მუხლი 24.** ტრანზიტული ან მუდმივი დასახარისხებელი ტიპის ბანაკები უნდა პასუხობდეს მოცემულ ნაწილში მითითებულ პირობებს და მათში სამხედრო ტყვეთათვის ისეთივე რეჟიმი უნდა არსებობდეს, როგორიც სხვა ბანაკებში.

**თავი II**

**სამხედრო ტყვეთა სადგომი, კვება და ტანსაცმელი**

**მუხლი 25.** სამხედრო ტყვეთა ბანაკებში მოთავსების პირობები არანაკლებ ხელსაყრელი უნდა იყოს, ვიდრე პირობები, რომლებშიც ცხოვრობენ იმავე ადგილზე განლაგებული დამტყვევებელი ქვეყნის მეომრები. ეს პირობები უნდა ითვალისწინებდეს სამხედრო ტყვეთა ჩვევებს და ჩვეულებებს და არავითარ შემთხვევაში საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს მათ ჯანმრთელობას.

ზემოხსენებული დებულებები ეხება საძილე სათავსების ფართობს, მათ მინიმალურ კუბატურას, აღჭურვილობას, საძილე მოწყობილობებს და აუცილებელ საგნებს.

ინდივიდუალური ან კოლექტიური მოხმარებისათვის გათვალისწინებული შენობები დაცული უნდა იყოს ნესტისაგან, საკმაოდ უნდა თბებოდეს და ნათდებოდეს, განსაკუთრებით — სიბნელის დადგომასა და სინათლის ჩართვის დადგენილ საათამდე. მიღებული უნდა იქნეს ყველა ხანძარსაწინააღმდეგო ზომა.

იმ ბანაკებში, სადაც მამაკაცებთან ერთად იმყოფებიან სამხედრო ტყვე-ქალები, მათთვის გამოყოფილი უნდა იყოს ცალკე საძილე შენობები.

**მუხლი 26.** კვების ძირითადი დღიური რაციონი უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის, საჭირო ხარისხის და მრავალფეროვანი, რათა შენარჩუნებული იქნეს სამხედრო ტყვეთა ჯანმრთელობის ნორმალური მდგომარეობა. არ უნდა დაუშვან წონაში დაკლება ან ისეთი მოვლენები, რომლებიც გამოწვეულია არასაკმარისი კვებით. ანგარიში უნდა გაეწიოს სამხედრო ტყვეთათვის ჩვეულ კვების რეჟიმს.

დამტყვევებელმა ქვეყანამ მომუშავე სამხედრო ტყვეები, შესასრულებელი სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს დამატებითი კვებით.

სამხედრო ტყვეები უნდა მოამზადონ სასმელი წყლის საკმარისი რაოდენობით. თამბაქოს მოწევა არ იკრძალება.

სამხედრო ტყვეებმა შეძლებისამებრ, მონაწილეობა უნდა მიიღონ კერძების მომზადებაში. ამისათვის შეიძლება მათ იმუშაონ სამზარეულოში, გარდა ამისა, შესაძლებლობა ექნებათ მოიმზადონ კერძები მათ ჯანჯარჯულებაში მყოფი დამატებითი პროდუქტებისაგან.

სასადილოდ გამოყოფილი უნდა იყოს ცალკე შენობები, ყოველგვარი დისციპლინური სასჯელის დადება კვებასთან დაკავშირებით, აკრძალულია.

**მუხლი 27.** დამტყვევებელი ქვეყანა სამხედრო ტყვეებს უზრუნველყოფს საკმარისი რაოდენობის ტანისამოსით, თეთრეულით და ფეხსაცმლით, რომელიც შეესაბამება მოცემული ადგილის კლიმატურ პირობებს. დამტყვევებელი ქვეყნის მიერ ხელში ჩაგდებული მოწინააღმდეგე მხარის ფორმის ტანისამოსი შეიძლება გამოიყენონ სამხედრო ტყვეებმა, თუ იგი შეესაბამება ადგილობრივ კლიმატურ პირობებს.

ამ ნივთების რეგულარული ცვლა და შეკეთება უზრუნველყოფილია დამტყვევებელი ქვეყნის მიერ. გარდა ამისა, მომუშავე სამხედრო ტყვეები ყველგან, სადაც ამას ითხოვს მათი მუშაობის პირობები, მიიღებენ შესაბამის ტანსაცმელს.

**მუხლი 28.** ყველა ბანაკში უნდა იყოს ფარდულები, სადაც სამხედრო ტყვეები შეიძენენ კვების პროდუქტებს, პირადი მოხმარების საგნებს, საპონს და თამბაქოს, რომელთა ფასი არ უნდა აღემატებოდეს ადგილობრივ სავაჭრო ფასებს.

ვაჭრობიდან მიღებული მოგება მოხმარდება სამხედრო ტყვეებს. ამ მიზნით შეიქმნება სპეციალური ფონდი. ნდობით აღჭურვილ პირს უფლება ექნება, მონაწილეობა მიიღოს ფარდულების მუშაობასა და ამ ფონდის გამოყენებაში.

რომელიმე ბანაკის ლიკვიდაციის შემთხვევაში სპეციალური ფონდის საკრედიტო სალოდ გადაეცემა რომელიმე საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციას, რათა გამოყენებულ იქნეს იმ ქვეყნების სამხედრო ტყვეთა ინტერესებისათვის, რომლის მოქალაქენიც არიან სამხედრო ტყვეები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ამ ფონდის შექმნას. საყოველთაო რეპარტიაციის შემ-

თხვევაში მოგება რჩება დამტყვევებელ ქვეყანას, თუ დაინტერესებულ ქვეყნებს შორის არ არის საწინააღმდეგო ხასიათის შეთანხმება.



### თავი III

#### პიბიენა და სამედიცინო დახმარება

**მუხლი 29.** დამტყვევებელი ქვეყანა ვალდებულია, მიიღოს ყველა ზომა ბანაკების სისუფთავის და ჯანმრთელობის ხელსაყრელი მდგომარეობის, ეპიდემიების გაგრცელების აღკვეთის უზრუნველყოფისათვის.

სამხედრო ტყვეების განკარგულებაში დღისით და ღამით იქნება სანიტარული დანადგარები, რომლებიც პასუხობენ ჰიგიენის მოთხოვნებს და მუდმივად სუფთაა. ყველა ბანაკში, სადაც იმყოფებიან სამხედრო ტყვე ქალები მათთვის გამოყოფილი იქნება ცალკე სანიტარული დანადგარები.

სამხედრო ტყვეებს ბანაკში მოწყობილ აბანოსა და საშხაპეებში ყოველდღიურად მიეცემათ საკმარისი რაოდენობის წყალი და საბონი დასაბანად და საჭირო სათავსებში თეთრეულის გასარეცხად. ამისათვის გამოყოფილი იქნება დრო.

**მუხლი 30.** ყოველ ბანაკში იქმნება ლაზარეთი, სადაც სამხედრო ტყვეები მიიღებენ საჭირო სამედიცინო დახმარებას და უზრუნველყოფილი იქნებიან კვების საჭირო რეჟიმით. აუცილებლობის შემთხვევაში შეიქმნება იზოლატორები გადამდები სნეულებებით და სულიერად დაავადებული ავადმყოფებისათვის.

სამხედრო ტყვეები, რომლებიც მძიმედ არიან ავად, ან რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვს სპეციალურ მკურნალობას, ქირურგიულ ჩარევას და ჰოსპიტალიზაციას, მიღებულ უნდა იყვნენ ნებისმიერ სამხედრო თუ სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში, მაშინაც კი, თუ უახლოეს მომავალში მოსალოდნელია მათი რეპატრიაცია. განსაკუთრებული პირობები უნდა შეიქმნას ინვალიდების, კერძოდ, ბრძების მოვლისათვის და მათი ხელახალი სწავლებისათვის.

სამხედრო ტყვეებს სამედიცინო დახმარებას შესაძლებლობის მიხედვით გაუწევს მისი თანამოქალაქე სამედიცინო პერსონალი, შეძლებისამებრ — მათივე ეროვნებისა.

არ შეიძლება ხელი შეეშალოს სამხედრო ტყვეთა სამედიცინო პერსონალთან მიღებაზე მისვლას. დამტყვევებელი ქვეყნის ხელისუფალნი ყოველ დაავადებულ სამხედრო ტყვეს მისი თხოვნის საფუძველზე გადასცემენ ოფიციალურ ცნობას დაავადების ან კრილობის ხასიათის, მკურნალობის ხანგრძლივობისა და ხასიათის შესახებ. ამ ცნობის დუბლიკატი ეგზავნება სამხედრო ტყვეთა საქმეების ცენტრალურ სააგენტოს.

დამტყვევებელი ქვეყანა თავის თავზე იღებს ხარჯებს, რომლებიც საჭიროა სამხედრო ტყვეთა ჯანმრთელობის ნორმალური მდგომარეობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ყოველგვარი მოწყობილობის, კბილის ან სხვა პროთეზების, სათვალეების შესაძენად.

**მუხლი 31.** სამხედრო ტყვეთა სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს თვის განმავლობაში არანაკლებ ერთხელ, შემოწმებული და აღნიშნული უნდა იყოს ყოველი სამხედრო ტყვის წონა. ამ შემოწმებათა მიზანია, გამოვლინდეს ჯანმრთელობის, კვების, სისუფთავის საერთო მდგომარეობა, გადამდები სნე-

ულებანი; განსაკუთრებით — ტუბერკულოზი, მალარიები და ვენერიული და-  
ავადებანი. ამისათვის გამოყენებული იქნება ყველაზე ეფექტური მედიკამენტი.  
მაგალითად — რენტგენული სურათების პერიოდული გადაღება მიკრო-  
ფილმზე ადრეულ სტადიაში ტუბერკულოზის გამოვლენის მიზნით.

**მუხლი 22.** დამტყვევებელ ქვეყანას შეუძლია, თავიანთი ქვეყნის შეი-  
არაღებულ ძალების სამედიცინო პერსონალში არშემავალ, სპეციალობით  
ექიმ, კბილის ექიმ და სანიტარ (ქალები და მამაკაცები) სამხედრო ტყვეებს  
მოსთხოვოს, აღასრულოს სამედიცინო მოვალეობანი თანამოქალაქე სამხედ-  
რო ტყვეების მიმართ. ასეთ შემთხვევაში ეს პირნი კვლავ სამხედრო ტყვეე-  
ბად რჩებიან, მაგრამ სარგებლობენ ისეთივე მოპყრობით, როგორც იმ  
სახელმწიფოს შესაბამისი სამედიცინო-სანიტარული პერსონალი. ისინი გათა-  
ვისუფლებული იქნებიან 49-ე მუხლში მითითებულ ნებისმიერი სხვა სამუ-  
შაოსაგან.

**თავი IV**

**სამხედრო ტყვეებისათვის დახმარების განსაზღვრად დაკავებული  
სამედიცინო და სასულიერო პერსონალი**

**მუხლი 23.** დამტყვევებელი ქვეყნის მიერ სამხედრო ტყვეთათვის დახ-  
მარების გასაწევად დაკავებული სამედიცინო-სანიტარული და სასულიერო  
პერსონალი სამხედრო ტყვეებად არ ჩაითვლება. ისინი ისარგებლებენ სულ  
მცირე, ამ კონვენციით შინიჭებული უპირატესობებით და მფარველობით; შე-  
ეჭმნებათ პირობები, რომ სამედიცინო და სულიერი დახმარება აღმოუჩინონ  
სამხედრო ტყვეებს.

პერსონალი აგრძელებს სამედიცინო და სასულიერო მოვალეობებს უპი-  
რატესად იმ შეიარაღებული ძალების ყოფილი წევრი სამხედრო-ტყვეების  
მიმართ, რომელსაც თავად ეკუთვნის. მისი საქმიანობა ზორციელდება დამტ-  
ყვევებელი ქვეყნის სამხედრო კანონების და წესდებების ფარგლებში, ამ  
ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების ხელმძღვანელობით. პროფესიონალური  
ეთიკის შესაბამისად, ისინი სამედიცინო და სასულიერო ვალდებულებების აღ-  
სრულებისას სარგებლობენ შემდეგი შეღავათებით:

იხ, მოქმედ არმიაში დაქრილთა... კონვენციის მუხლი 28 (უცვლელად).

**თავი V**

**რელიგია, ინტელექტუალური და ფიზიკური მოღვაწეობა**

**მუხლი 24.** სამხედრო ტყვეებს სრული თავისუფლება ენიჭებათ მათი რე-  
ლიგიის წესების აღსრულებაში. წირვების დასწრების ჩათვლით, იმ პირობით,  
რომ დაცულ იქნება სამხედრო ხელისუფლების მიერ დაწესებული დისციპ-  
ლინური წესრიგი.

რელიგიური მსახურებისათვის გამოყოფილი იქნება სათანადო შენობები.

**მუხლი 25.** სამხედრო სასულიერო პერსონალის წევრ სასულიერო პირებს,  
რომლებიც მოხვდნენ მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლების ქვეშ და და-  
ტოვებული ან დაკავებულნი არიან სამხედრო ტყვეთა დასახმარებლად, ნება  
ეძლევათ თავისუფლად აღასრულონ თავიანთი მოვალეობანი და მოემსახურონ



ერთმორწმუნეთა სულიერ საჭიროებებს, თავიანთი რელიგიური სინდისის შესაბამისად. ისინი განაწილებიან სხვადასხვა ბანაკებსა და სამუშაო რაზმებში, სადაც იმყოფებიან სამხედრო ტყვეები, რომლებიც ან იმავე შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნიან, ან იმავე ენაზე ლაპარაკობენ, და აღიარებენ იმავე რელიგიას. ბანაკის გარეთ მყოფი სამხედრო ტყვეების მოსახელეობლად მათ მიეცემათ 33-ე მუხლით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებანი. აღნიშნული პირობი ისარგებლებენ თავისუფალი მიმოწერით მათი რელიგიური საქმეების შესახებ დამტყვევებელი ქვეყნის სასულიერო ხელისუფლებასთან და საერთაშორისო რელიგიურ ორგანიზაციებთან. მიმოწერა ექვემდებარება ცენზურას. მათ მიერ გაგზავნილი წერილები და საფოსტო ბარათები არ შედის 71-ე მუხლით მითითებულ ნორმაში.

**მუხლი 36.** შეიარაღებული ძალების სასულიერო პერსონალში არშემავალი დამტყვევებული სამხედრო პირობი სარგებლობენ უფლებით, თავისუფლად აღასრულონ თავიანთი მოვალეობანი ერთმორწმუნეთა შორის აღმსარებლობის მიუხედავად. მათ ეპყრობიან როგორც დაკავებულ სამხედრო სასულიერო პერსონალს; ძალდატანებით სხვა სამუშაოზე არ გაამწესებენ.

**მუხლი 37.** იმ შემთხვევებში, როცა დაკავებულ პირებს ან სამხედრო ტყვეებს შორის არ არის სამხედრო სასულიერო პერსონალის წარმომადგენელი, დაინტერესებულ სამხედრო ტყვეთა თხოვნით, ამ მოვალეობათა აღსასრულებლად დაინიშნება მათი აღმსარებლობის ან ანალოგიური აღმსარებლობის სასულიერო პირი, ან ამგვარის არყოფნის შემთხვევაში — მცოდნე სამოქალაქო პირი, თუ ეს დასაშვებია რელიგიური თვალსაზრისით. ამას მოწონებით უნდა შეხედეს დამტყვევებელი ქვეყანა. დაინიშნა მოხდება დაინტერესებულ სამხედრო ტყვეთა და, საჭიროების შემთხვევაში, იმავე აღმსარებლობის ადგილობრივი სასულიერო ხელისუფლების თანხმობით. ამგვარად, დაინიშნულმა პირმა უნდა იმოქმედოს დამტყვევებელი ქვეყნის მიერ დისციპლინისა და სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებული ყველა წესის შესაბამისად.

**მუხლი 38.** პატივისცემით ეპყრობა რა ყოველი სამხედრო ტყვის პირად მიღრეკილებებს, დამტყვევებელი ქვეყანა წახალისებს სამხედრო ტყვეთა ინტელექტუალურ, საგანმანათლებლო და სპორტულ გასართობთა ორგანიზებისათვის აქტივობას, მან უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები მათ გამგებლობაში შესაბამისი შენობების და ინვენტარის გადასაცემად.

სამხედრო ტყვეებს საშუალება ექნებათ ივარჯიშონ, მისდიონ სპორტს და იმყოფებოდნენ სუფთა ჰაერზე. ამ მიზნით ყოველ ბანაკში გამოყოფილი იქნება საკმარისი ზომის თავისუფალი მოედნები.

**თავი VI**

**დისციპლინა**

**მუხლი 39.** სამხედრო ტყვეთა ყოველ ბანაკს უშუალოდ მეთაურობს დამტყვევებელი ქვეყნის რეგულარული შეიარაღებული ძალების წევრი პასუხისმგებელი ოფიცერი. ამ ოფიცერს ექნება მოცემული კონვენციის ტექსტი. იგი ყურადღებას მიაქცევს, რომ მის დებულებებს გაეცნოს ბანაკის მთელი პერსონალი; იგი კონვენციის დებულებათა გამოყენებისათვის პასუხისმგებელია თავისი მთავრობის კონტროლის ქვეშ.

სამხედრო ტყვეებმა, ოფიცერთა გარდა, მათი არმიის წესდებით გათვალისწინებული მისალმების და პატივისცემის გარეგანი ნიშნები უნდა გამოხატონ და მტყვევებელი ქვეყნის არმიის ოფიცრებისადმი.

სამხედრო ტყვე-ოფიცერი ესალმება მხოლოდ მასზე უფროსი წოდების მქონე ამ ქვეყნის ოფიცრებს. მაგრამ ის ესალმება აგრეთვე ბანაკის უფროსს, როგორც არ უნდა იყოს მისი წოდება.

**მუხლი 40.** ნებადართული იქნება პიროვნების განმასხვავებელი და სახელმწიფოებრივი კუთვნილების აღმნიშვნელი ნიშნების, ასევე, წარჩინების ნიშნების ტარება.

**მუხლი 41.** მოცემული კონვენციის ტექსტი, დამატებით და მე-6 მუხლში მითითებული ყველა სპეციალური შეთანხმების შინაარსის დართვით, თარგმნილი სამხედრო ტყვეთა ენაზე, გამოკრული იქნება ყველა ბანაკში ისეთ ადგილზე, რომ ყველამ შეძლოს მისი წაკითხვა. შესაბამისი თხოვნის საფუძველზე ამ კონვენციის ტექსტს გააცნობენ იმ სამხედრო ტყვეებს, რომელთაც არა აქვთ საშუალება თვითონ გაეცნონ ტექსტს.

ყოველგვარი წესი, ბრძანება, განცხადება და ცნობა სამხედრო ტყვეთა მოქცევის შესახებ, ეცნობება მათ ყველასათვის გასაგებ ენაზე. ისინი გაიკვრება ზემოთ აღნიშნული წესით, ეგზემპლართა გარკვეული რაოდენობა გადაეცემა ნდობით აღჭურვილ პირს, თითოეულ სამხედრო ტყვეს მისთვის გასაგებ ენაზე მისცემენ ბრძანებას და განკარგულებას.

**მუხლი 42.** იარაღის გამოყენება სამხედრო ტყვეთა გაქცევისას ან გაქცევის მცდელობის შემთხვევაში განსაკუთრებული ზომა და მას წინ უნდა უძღოდეს ვითარების შესაბამისი გაფრთხილება.

## თავი VII

### სამხედრო , ტყვეთა სამხედრო წოდებანი

**მუხლი 43.** საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე, კონფლიქტში მყოფი მხარეები ერთმანეთს აცნობებენ ამ კონვენციის მე-4 მუხლში მითითებული ყველა პირის წოდების და თანამდებობის შესახებ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ერთგვარი მოპყრობა ერთი წოდების ტყვეებისადმი. თუკი თანამდებობები და წოდებები დადგენილია მოგვიანებით, ამის შესახებაც უნდა გაკეთდეს მსგავსი შეტყობინება.

დამტყვევებელი ქვეყანა აღიარებს იმ სამხედრო ტყვეთა წოდებრივ დაწინაურებას, რომლის შესახებაც აცნობებს შესაბამისი სახელმწიფო.


**მუხლი 44.** ოფიცრებს და მათთან გათანაბრებულ სამხედრო ტყვეებს ეპყრობიან მათი წოდებისა და ასაკის შესაბამისი პატივისცემით.

ოფიცერთა და მათთან გათანაბრებულ წოდების მქონე პირთა მომსახურებისათვის გამოყოფენ იმავე შეიარაღებული ძალების და იმავე ენაზე მოლაპარაკე ჯარისკაცთა სათანადო რაოდენობას. მათი გაჯზავნა სხვა სამუშაოებზე არ შეიძლება.

**მუხლი 45.** სამხედრო ტყვეებს, რომლებიც არ არიან ოფიცრები ან მათთან გათანაბრებული პირები, უნდა მოეპყრონ პატივისცემით, წოდების და ასაკის შესაბამისად.

სხვადასხვა წოდების და ასაკის სამხედრო ტყვეთა მომსახურება თავად ტყვეთა მიერ ყოველმხრივ უნდა წახალისდეს.

სამხედრო ტყვეთა გადაადგილება მათი ბანაკში  
მოსვლის შემდეგ



**მუხლი 46.** დამტყვევებელმა ქვეყანამ, სამხედრო ტყვეთა გადაადგილების საკითხის გადაწყვეტისას, უნდა გაითვალისწინოს მათი ინტერესები, კერძოდ, არ უნდა გაძნელდეს ტყვეთა რეპატრიაცია.

სამხედრო ტყვეთა გადაადგილება ყოველთვის უნდა განხორციელდეს ჰუმანურად და იგივე პირობებში, როგორც გათვალისწინებულია დამტყვევებელი ქვეყნის მემართა გადაადგილებისათვის. მხედველობაშია მისაღები კლიმატური პირობები, იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მათი ჯანმრთელობისათვის საზიანო.

დამტყვევებელმა ქვეყანამ გადაადგილებისას უნდა უზრუნველყოს სამხედრო ტყვეები საკმარისი რაოდენობის სასმელი წყლით და საკვებით, მათი ჯანმრთელობის ნორმალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად; ასევე, ტანისამოსით, თავშესაფრით და სამედიცინო დახმარებით. მანვე უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები მათი უშიშროების უზრუნველყოფისათვის, განსაკუთრებით, ზღვით ან საჰაერო გზით გადაადგილებისას და გამგზავრებამდე შეადგინოს სამხედრო ტყვეთა სრული სია.

**მუხლი 47.** დაჭრილ და ავადმყოფ სამხედრო ტყვეთა გადაადგილება, თუ ამას არ ითხოვს მათი უშიშროება, მოხდება მხოლოდ გამოჯანმრთელების შემდეგ.

სამხედრო ტყვეთა რომელიმე ბანაკთან ფრონტის ხაზის მიახლოებისას ბანაკში მყოფთ გადაადგილებენ მხოლოდ საომარი უშიშროების პირობებში ან იმ შემთხვევაში, თუ ადგილზე დატოვება ბევრად უფრო სახიფათოა, ვიდრე გადაადგილება.

**მუხლი 48.** გადაადგილების შესახებ სამხედრო ტყვეებს ოფიციალურად ეცნობებათ. ისინი შეიტყობენ ახალ საფოსტო მისამართსაც. ეს უნდა მოხდეს წინასწარ, რათა მათ მოასწრონ თავიანთი ნივთების ჩალაგება და ოჯახის გაფრთხილება.

მათ ნება დართული ექნებათ თან წაიღონ პირადი ნივთები, მათ სახელზე მოსული კორესპონდენცია და ამანათები; ამ ნივთების წონა შეიძლება შეიზღუდოს იმ ზომამდე, რომ სამხედრო ტყვეს შეეძლოს მათი ტარება, მაგრამ დასაშვები წონა არავითარ შემთხვევაში რ უნდა აღემატებოდეს 25 კგ აღამიანზე.

ადრინდელ მისამართზე გაგზავნილი კორესპონდენცია და ამანათები შეუფერხებლად გადაიგზავნება ახალ ადგილზე. ბანაკის მეთაური, წლობით აღჭურვილ პირთან ერთად, მიიღებს აუცილებელ ზომებს, რათა გადაიტანონ სამხედრო ტყვეთა საერთო ქონება და საგნები, რომელთა წაღება არ მოხერხდა II აბზაცში მითითებული შეზღუდვის გამო.

გადაადგილების ხარჯებს გაიღებს დამტყვევებელი სახელმწიფო.

ნაწილი III

სამხედრო ტყვეთა მუშაობის შესახებ

**მუხლი 49.** დამტყვევებელმა ქვეყანამ შეიძლება შრომისუნარიანი სამხედრო ტყვეები გამოიყენოს სამუშაო ძალად მათი ასაკის, სქესის, წოდების, ასევე

ფიზიკური მონაცემების გათვალისწინებით, რათა მათ შეინარჩუნონ კარგი ფიზიკური და მორალური მდგომარეობა.

დატყვევებულმა უნტერ-ოფიცრებმა და მათთან გათანაბრებულმა წოდების მქონე პირებმა შეიძლება უმეტესადაა სამუშაოთა მსვლელობას. ამგვარ სამუშაოებზე გამოყენებული უნტერ-ოფიცრები, ითხოვენ მათთვის უფრო შესაფერისი სამუშაოს მიღებას, დაკმაყოფილებულნი იქნებიან შეძლებისამებრ.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ისინი ძალდატანებით ამუშაონ.

**მუხლი 50.** გარდა თავისი ბანაკის მმართველობასთან, აღჭურვასა და წესრიგში მოყვანასთან დაკავშირებული სამუშაოებისა, სამხედრო ტყვეები იძულებით შეიძლება ამუშაონ მხოლოდ შემდეგი კატეგორიების სამუშაოებზე:

a) სოფლის მეურნეობა;

b) მომპოვებელი ან გადაამუშავებელი მრეწველობის დარგები, გარდა მეტალურგიული, მანქანათმშენებლობის და ქიმიური მრეწველობისა, ასევე, საომარი ხასიათის ან საომარი მიზნების მქონე სამუშაოების და მშენებლობებისა;

c) არასაომარი ხასიათის სატრანსპორტო ან დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებზე;

d) ვაჭრობა; ხელოსნობა, ხელოვნება;

e) საოჯახო სამუშაოები;

f) არასამხედრო დანიშნულების და ხასიათის კომუნალური სამსახურები.

ზემოხსენებული დებულებების დარღვევის შემთხვევაში სამხედრო ტყვეებს უფლება აქვთ, 78-ე მუხლის თანახმად, ისარგებლონ გასაჩივრების უფლებით.

**მუხლი 51.** სამხედრო ტყვეებს უნდა ჰქონდეთ სამუშაოსათვის შესაფერისი პირობები, ბინა, კვება, ტანისამოსი და აღჭურვილობა. ეს პირობები არ უნდა ჩამორჩებოდეს იმ პირობებს, რომლებითაც სარგებლობენ ანალოგიურ სამუშაოებზე დაკავებული დამტყვევებელი ქვეყნის მოქალაქეები. მხედველობაშია მისაღები კლიმატური პირობებიც.

დამტყვევებელი ქვეყანა სამხედრო ტყვეთა შრომის გამოყენებისას სამუშაო ადგილებზე უზრუნველყოფს მათი შრომის დაცვას ეროვნული კანონების თანახმად და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვას.

სამხედრო ტყვეებმა უნდა გაიარონ მომზადება და მათ მიმართ უნდა გატარდეს შრომის დაცვის ღონისძიებანი შესაბამისად შესრულებული სამუშაოს და ანალოგიური იმ ღონისძიებებისა, რომლებიც ტარდება ამ ქვეყნის მოქალაქეებისათვის. 52-ე მუხლის დებულებათა შესრულების პირობით შეიძლება სამხედრო ტყვეთა გამოყენება სამუშაოებზე, რომლებიც ჩვეულებრივ რისკთან არის დაკავშირებული, რისგანაც ასევე არ არის დაზღვეული შესაბამისი მოსამსახურე სამოქალაქო მოსახლეობიდან.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დისციპლინური ღონისძიებების გამოყენებით უფრო მძიმე სამუშაო პირობების შექმნა.

**მუხლი 52.** არ შეიძლება რომელიმე სამხედრო ტყვე გამოიყენონ საშიშ და ჯანმრთელობისათვის მავნე სამუშაოებზე მისი თანხმობის გარეშე.

არ შეიძლება რომელიმე სამხედრო ტყვეს შეასრულებინონ სამუშაო, რომელიც დამტყვევებელი ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეთათვის დამამცირებელია.

საშიშ სამუშაოდ ითვლება ნაღმების ან სხვა მსგავსი იარაღების გაუფრთხილებლობა.

**მუხლი 53.** სამხედრო ტყვეთა სამუშაო დღის ხანგრძლივობა, სამუშაოზე მისასვლელი გზის გავლისა და უკან დაბრუნებაზე დახარჯული დროის ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს იმავე სამუშაოზე მომუშავე ადგილობრივი მოსახლეობისათვის დადგენილი სამუშაო დღის ხანგრძლივობას.

სამხედრო ტყვეებს სამუშაო დღის განმავლობაში ეკუთვნით, სულ მცირე, ერთი საათის შესვენება. თუ მოცემული ქვეყნის მუშებისათვის განკუთვნილი შესვენება უფრო ხანგრძლივია, შესაბამისად, უფრო ხანგრძლივი იქნება სამხედრო ტყვეთათვის განკუთვნილი შესვენებაც. ამას გარდა, სამხედრო ტყვეებს კვირაში ერთხელ უწყვეტი ოცდათხსათიანი დასვენება ეკუთვნით, უმჯობესია კვირა დღეს. ან მათ ქვეყანაში დაწესებულ დასვენების დღეს. ამას გარდა, წლის განმავლობაში მომუშავე ყოველ სამხედრო ტყვეს ეკუთვნის უწყვეტი, რვადღიანი დასვენება; სამუშაოსათვის საფასურის შენარჩუნებით.

თუ გამოიყენება ისეთი სამუშაო მეთოდი, როგორც არის ნარდობა, ამან არ უნდა გამოიწვიოს სამუშაო დღის მეტისმეტად გახანგრძლივება.

**მუხლი 54.** სამხედრო ტყვეთა სამუშაოს საფასურის რაოდენობა განსაზღვრულია მოცემული კონვენციის 62-ე მუხლის დებულებებით.

სამხედრო ტყვეებს, რომლებიც დაშავდნენ სამუშაოზე უბედური შემთხვევის გამო, დაავადდნენ მუშაობის დროს ან სამუშაოსთან დაკავშირებით, გაუწყვეტ სამედიცინო დახმარებას. ამას გარდა, დამტყვევებელი ქვეყანა გადასცემს მათ სამედიცინო მოწმობას, რომელიც საშუალებას მისცემთ დაასაბუთონ თავიანთი უფლებები თავისი ქვეყნის წინაშე. მოწმობის დუბლიკატი გადაეცემა 123-ე მუხლში მითითებულ სამხედრო ტყვეთა საქმეების ცენტრალურ სააგენტოს.

**მუხლი 55.** სამხედრო ტყვეთა შრომისადმი ვარჯისიანობა მოწმდება სამედიცინო შემოწმებით პერიოდულად, არანაკლებ ერთხელ თვეში. შემოწმების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოს ხასიათი.

თუ სამხედრო ტყვე თვლის, რომ ის არაშრომისუნარიანია, მას ნება უნდა დართონ, ეჩვენოს ბანაკის სამედიცინო პერსონალს. ექიმებს შეუძლიათ რეკომენდაცია მისცენ არაშრომისუნარიანი ტყვეების სამუშაოსაგან გათავისუფლებას.

**მუხლი 56.** სამუშაო რაზმების რეჟიმი უნდა შეესაბამებოდეს სამხედრო ტყვეთა ბანაკების რეჟიმს.

ყოველი რაზმი ბანაკის კონტროლის ქვეშ არის და ადმინისტრაციულად მას ექვემდებარება. სამხედრო ხელისუფალთ და ბანაკის უფროსს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მთავრობის კონტროლის ქვეშ სამუშაო რაზმებში ამ კონვენციის დებულებათა შესრულების გამო.

ბანაკის მეთაურს წესრიგში უნდა ჰქონდეს მისდამი დაქვემდებარებული სამუშაო რაზმის სია და უნდა წარუდგინოს იგი მფარველი სახელმწიფოს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის და სამხედრო ტყვეთა დამხმარე სხვა ორგანიზაციების დელეგატებს, რომლებსაც შეუძლიათ ეწვიონ ბანაკს.

**მუხლი 57.** კერძო პირებთან მომუშავე სამხედრო ტყვეებს იმ შემთხვევაშიც, თუ ეს უკანასკნელნი თავის თავზე იღებენ მათ დაცვას და მფარველობას, ისე მოეპყრობიან, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ კონვენციით. დამტყვევებელ ქვეყანას, სამხედრო ხელისუფალთ და ბანაკის მეთაურს, რომელსაც

ეჭვემდებარებიან სამხედრო ტყვეები, ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა სამხედრო ტყვეების მოვლის, მათზე ზრუნვის, მათთან მოპყრობის მუშაოსთვის საფასურის გადახდისათვის.

სამხედრო ტყვეებს უფლება აქვთ, კავშირი იქონიონ იმ ბანაკების ნდობით აღჭურვილ პირებთან, რომლებშიც ირიცხებიან

## ნაწილი IV

### სამხედრო ტყვეთა ფულადი სახსრები

**მუხლი 58.** საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე, და ამ საკითხის მფარველ სახელმწიფოსთან შეთანხმებამდე, დამტყვევებელ ქვეყანას შეუძლია დაადგინოს იმ თანხის მაქსიმალური რაოდენობა, ნაღდი ანგარიშით ან სხვა ანალოგიური ფორმით, რომელიც შეიძლება თან იქონიოს სამხედრო ტყვემ. სამხედრო ტყვისათვის ჩამორთმეული ან დაკავებული ზედმეტი თანხა მისი კანონიერი საკუთრებაა და როგორც ყოველი მის მიერ შეტანილი ფულადი ანაბარი, შეიტანება პირად ანგარიშზე. არ გაიცვლება სხვა ვალუტაზე, მფლობელის თანხმობის გარეშე.

იმ შემთხვევებში, როცა სამხედრო ტყვეებს ნებადართული აქვთ ბანაკის გარეთ რაიმეს შექენა ან ნაღდი ანგარიშსწორებით სარგებლობა, გადახდას ახდენს ან თავად სამხედრო ტყვე ან ბანაკის ადმინისტრაცია, შესაბამისი პირადი ანგარიშის დებეტზე გადახდილი თანხების შეტანით.

დამტყვევებელი ქვეყანა ამ საკითხის შესახებ მიიღებს შესაბამის წესებს.

**მუხლი 59.** მე-11 მუხლის თანახმად, დამტყვევების მომენტში ჩამორთმეული ფულადი სახსრები, დამტყვევებელი ქვეყნის ვალუტის სახით, შეტანილი იქნება მფლობელის პირადი ანგარიშის კრედიტზე, 64-ე მუხლის შესაბამისად.

ფულადი სახსრები, დამტყვევებელი ქვეყნის ვალუტის სახით, რომელიც მიიღება ტყვეებისათვის ჩამორთმეული სხვა ვალუტის ფულადი სახსრების გაცვლის შედეგად, ასევე შეტანილი იქნება მფლობელის პირადი ანგარიშის კრედიტზე.

**მუხლი 60.** დამტყვევებელი ქვეყანა, ფულით უზრუნველყოფის მიზნით, ყოველთვიურად უხდის ავანსს სამხედრო ტყვეებს, ავანსის რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი თანხების მოცემული ქვეყნის ვალუტაზე გადათვლით:

კატეგორია I — ტყვეები სერჟანტზე ნაკლები ჩინით — 8 შვეიცარულა ფრანკი;

კატეგორია II — სერჟანტები და სხვა უნტერ-ოფიცრები ან შესაბამისი წოდების ტყვეები — 12 შვ. ფრანკი;


კატეგორია III — ოფიცრები კაპიტნის წოდების ჩათვლით ან შესაბამისი წოდების ტყვეები — 50 შვ. ფრანკი;

კატეგორია IV — მაიორები, პოდპოლკოვნიკები, პოლკოვნიკები ან შესაბამისი წოდების ტყვეები — 60 შვ. ფრანკი;

კატეგორია V — გენერლები ან შესაბამისი წოდების ტყვეები — 75 შვ. ფრანკი.

მაგრამ კონფლიქტში მყოფ დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ, სპეციალური შეთანხმებებით შეცვალონ ზემოჩამოთვლილი კატეგორიების სამხედრო ტყვეთათვის კუთვნილი ავანსის რაოდენობა.

ამას გარდა, თუ პირველ აბზაცში მითითებული თანხები ბევრად აღე-



მატება დამტყვევებელი ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეთათვის განკუთვნილ გასამრჯელოს, ან რაიმე მიზეზით ძნელდება მათი გადახდა, ეს ქვეყანა, ვიდრე დადებდეს სპეციალურ შეთანხმებას ზემოხსენებული თანხების ცვლილების შესახებ სახელმწიფოსთან, რომლის სახელზეც ირიცხებიან სამხედრო ტყვეები:

ა) სამხედრო ტყვეთა პირად ანგარიშზე განაგრძობს პირველ აბზაცში მოთვებული თანხების ჩარიცხვას;

ბ) შეიძლება დროებით შეზღუდოს ავანსის თანხების რაოდენობა, მაგრამ შეზღუდული თანხები საკმარისი უნდა იყოს, ამასთან, პირველი კატეგორიის პირთათვის კუთვნილი თანხა არ უნდა იყოს იმაზე ნაკლები, ვიდრე დამტყვევებელი ქვეყანა უზღის საკუთარი შეიარაღებული ძალების წევრებს.

ამგვარი შეზღუდვის მიზეზი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მფარველ სახელმწიფოს.

**მუხლი 61.** დამტყვევებელი ქვეყანა იმ სახელმწიფოსაგან, რომლის სახელზეც ირიცხებიან სამხედრო ტყვეები, მიიღებს მათთვის გამოგზავნილ ფულად სახსრებს. ეს თანხა თანაბრად განაწილდება ერთი კატეგორიის სამხედრო ტყვეებზე და მისი გარკვეული რაოდენობა გადაეცემა ყველა ტყვეს. ფულადი სახსრები 64-ე მუხლის თანახმად, შეტანილი იქნება თითოეულის პირად ანგარიშზე უმოკლეს დროში. ეს დამატებითი შემოსავალი არ ათავისუფლებს დამტყვევებელ სახელმწიფოს მოცემული კონვენციით მასზე დაკისრებული მოვალეობისაგან.

**მუხლი 62.** სამხედრო ტყვეებს დამტყვევებელი ქვეყნის ხელისუფლება უზღის გასამრჯელოს შესრულებული სამუშაოსათვის. თანხას დაადგენს ეს ხელისუფლება, მაგრამ იგი არ უნდა იყოს ერთ მეოთხედზე მეტი ვიდრე ფრანკზე ნაკლები სრული სამუშაო დღისათვის. დამტყვევებელი ქვეყანა მფარველი სახელმწიფოს მეშვეობით აცნობებს ტყვეების ქვეყანას მის მიერ დადგენილი ყოველთვიური საფასურის შესახებ.

ხელისუფალნი გასამრჯელოს უზღიან ბანაკის მოვლა-მოწესრიგების, წესრიგის დაცვის სამუშაოებისათვის, ასევე გასამრჯელო ეკუთვნით სამხედრო ტყვეებს, რომლებიც თავიანთი ამხანაგების სამედიცინო და სასულიერო მომსახურებით არიან დაკავებულნი.

ნდობით აღჭურვილი პირის, მისი თანაშემწეების ან მისი კონსულტანტების — თუ ასეთნი არსებობენ — ხელფასი გადახდილი იქნება კარდულეებიდან შემოსული მოგების ანგარიშიდან. ნდობით აღჭურვილი პირი ადგენს ხელფასის ნორმას. რასაც დაამტკიცებს ბანაკის უფროსი. თუ ასეთი ფონდი არ არის შექმნილი, ამ სამხედრო ტყვეებს ხელფასს უზღის ხელისუფლება.

**მუხლი 63.** სამხედრო ტყვეებს უფლება აქვთ მიიღონ მათ სახელზე კოლექტიურად ან პერსონალურად გამოგზავნილი ფულადი გადარიცხვები.

ყოველ სამხედრო ტყვეს უფლება აქვს მოიხმაროს შემდეგ მუხლში მითითებული თავისი ანგარიშის საკრედიტო სალდო იმ ფარგლებში, რომლებიც დადგენილია გადამხდელი დამტყვევებელი ქვეყნის მიერ იმ პირობით, რომ სამხედრო ტყვეები დაიცავენ დამტყვევებელი ქვეყნის თვალსაზრისით აუცილებელ ფინანსურ და სავალუტო შეზღუდვებს; სამხედრო ტყვეებს შეუძლიათ გადახდა აწარმოონ საზღვარგარეთაც, ასეთ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, ფულადი თანხა უნდა გადაერიცხოს სამხედრო ტყვეთა კმაყოფაზე მყოფ პირებს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

დირექტორი კიკნაძე

# საქართველოს საზოგადოებრივი საბავშვო კრებულები

საბავშვო ნაწარმი „საზოგადოებრივი აზრი და მართლშეგნება დინამიკაში“ ძირითადად სამართალმწიფეობის ქვეყნის მექანიზმის მოტივაციის ფაქტორთა სისტემაში საზოგადოებრივი აზრისა და მართლშეგნების ადგილისა და როლის, მათი ურთიერთდასაქმებულების აქტუალურ პრობლემებს ეხება. ამასთან, ისეთ პრინციპულ საკითხებზე, როგორცაა მართლშეგნების არსება, დანაშაულებრივი ქვეყნის ფსიქოლოგიური მექანიზმი და ფაქტორთა სისტემა, მიზანი, მოტივაცია, მოტივი, განწყობა, აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულებრივი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ და სხვა. გამოთქმულია ორიგინალური და დასაბუთებული მოსაზრებები.


სარეცენზიო ნაწარმი 5 თავისაგან შედგება, შესავალი, II, III და VI თავები დაწერილია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის პროფ. თ. შავგულიძის, ხოლო I და V თავები — იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის გ. ლევაგას მიერ.

ჩვენ შეგნებულად თავს ვიკავებთ საზოგადოებრივი აზრის ცნებისა და სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგების შესახებ წიგნის I, IV და V თავებში გამოთქმული მოსაზრებების დეტალური ანალიზისა და შეფასებისაგან, რადგან ამ ხეობის კვლევის საერთო მეთოდოლოგიური პრინციპების მიმართ ჩვენი ზოგიერთი ხაღაო პოზიცია რეცენზიის შედეგად გადატვირთავდა, ვიტყვი მხოლოდ, რომ სოციოლოგიური კვლევის გამოკითხვის სხვადასხვა მეთოდებით, მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე ვერასოდეს ობიექტურ და მეცნიერულ დასკვნებს ვერ მივიღებთ, ხანამ რესპოდენტის პასუხები განხილული არ იქნება, როგორც შინაგანი ფსიქოლოგიური მოქმედება, მისი მოტივის არსებისა და მოტივაციის ფაქტორების ურთიერთშემოქმედების კანონზომიერებათა გათვალისწინებით, დღეს კი ამ საკითხების შესახებ ერთიანი მეცნიერული აზრიც არ არსებობს. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის, როგორც ფსიქოლოგებისათვის და ვფიქრობ, მკითხველთა ფართო წრისათვისაც განსაკუთრებით ხაინტკერესია სარეცენზიო ნაწარმის მეორე და მესამე თავები, მათში ავტორს საზოგადოებრივი აზრი და მართლშეგნება განხილული აქვს ქვეყნის საერთო ფსიქოლოგიურ მექანიზმსა და მოტივაციის ფაქტორთა სისტემაში შინაგანი იდეალური მოქმედების პროცესში თავიანთი ადგილისა და როლის მიხედვით. ამ კუთხით აღნიშნული საკითხები სამართლის ხეობაში პირველად თ. შავგულიძის აქვს განხილული, ხოლო საერთოდ მოტივაციის პროცესის, როგორც განსაკუთრებული იდეალური მოქმედების გაგებაში, როგორც ირკვევა, ფსიქოლოგებიდან მხოლოდ ორიოდე სპეციალისტი მისულა (იხ. შურნალი „კომპროსი ფსიქოლოგია“, 1985 წ., № 8, გვ. 118-128). ეს მასინ, როდესაც მოტივაციის პროცესი შინაგანი იდეალური მოქმედების მთავარი გამომწვევები მოჰყენია, ამ პროცესში ყალიბდება გარკვეული პრაქტიკული მოქმედების მოდელი, მისი განხორციელების აუცილებლობის შეგნება, რწმენა და შინაგანი მზაობა, განწყობა.

აღაბიანი, როგორც ცნობილია, ხანამ პრაქტიკულად გააქვებდეს რაიმეს, პირველად მას გონებაში, აზროვნების საშუალებით, იდეალურად აკეთებს, პრაქტიკული მოქმედება, ჩვეულებრივ, მისი სუბიექტის შინაგან სამყაროში იდეალურად განხორციელებული მოქმედების ობიექ-

\* თ. შავგულიძე, გ. ლევაგა, საზოგადოებრივი აზრი და მართლშეგნება დინამიკაში, თბილისი „მეცნიერება“, 1990, გვ. 284





ტურ სამყაროში განმეორება და გასაგნება. ამ პროცესში და მის შედეგებში, ისე როგორც ხარკეში, საფლობარებად და თვალსაჩინოდ მოსჩანს მისი — სუბიექტის პიროვნული თვისებები. მინაგან სამყაროში განხორციელებული პროცესები.

მოქმედების და ქცევის აღმწერელი, წარმმართველი და მიმართულების მიმცემი ფაქტორების ურთიერთშემოქმედების კანონზომიერებათა შეცნობას უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ხაერთად აღზრდისა და სოციალური პროცესების შეგნებული მართვის საქმეში. განსაკუთრებით კი — დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისა და მისი პროფილაქტიკის მიზნობრივი, დასაბუთებული ღონისძიებების განხორციელებაში.

ქცევის ფსიქოლოგიური მექანიზმისა და ფაქტორთა სისტემის კვლევის შედეგების მხრივ როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებულ ინტერესს ხარეცენო ნაშრომის მეორე და მესამე თავები იწვევს. მათში ავტორის მიერ განხილული საკითხები — „საზოგადოებრივი აზრი და მართლშეგნება“ და „საზოგადოებრივი აზრისა და მართლშეგნების მარეგულირებელი ფუნქცია“ აღ. მინანის ნებისმიერი და იმპულსური ქცევის მრავალ აქტუალურ პრობლემას აერთიანებს, რომელთა შესახებ ძალიან მოკლედ, თუნების ხაით, ჩამოყალიბებულია დასაბუთებული და შორს მიმავალი დასკვნები, რომელთა მნიშვნელობა სცილდება სამართლის მეცნიერების ფარგლებს და მჭიდროდ უკავშირდება ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ადამიანმცოდნეობის კარდინალურ პრობლემებს.


ავტორი, სისტემური ანალიზის საფუძველზე ცდილობს მართლშეგნების ადგილისა და როლის გარკვევას ადამიანის დანაშაულებრივი ქცევის ფაქტორთა სისტემაში, ამ მიზნით იგი, როგორც თვითონვე გვამცნობს (იხ. გვ. 101, 111), ძირითადად იყენებს ერთ-ერთი ავტორის მიერ შემოთავაზებული ქცევის ფაქტორთა სისტემის ხაერთო მექანიზმს, რომელსაც თავის მხრივ, გარკვეულ კორექტირებას უყენებს, ავითარებს და სქემატურად აყალიბებს დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიურ მექანიზმს. ამ სქემის მიხედვით, ადამიანის ყოველგვარი დანაშაულებრივი აქტიურობა (მოქმედება, ქცევა, საქმიანობა) მისი სუბიექტისა და გარემოს ურთიერთშემოქმედების ერთიანი პროცესია, რომელიც პირველ მოქმედებაში, დაწყებული მოთხოვნილების წარმოშობიდან მის დაქმყოფილებამდე გავლის მოთხოვნილების გაცნობიერების, მიზნის დასახვის, მოტივაციის, დანაშაულებრივი ქცევის მოტივის (ე. ი. მისი განხორციელების აუცილებლობის შეგნების, რწმენის) გამოშუშავების, დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიღების, დანაშაულებრივი ქცევის განწყობის ჩამოყალიბებისა და დანაშაულებრივი ქცევის ეტაპებს. (იხ. გვ. 101).

აღნიშნული სქემიდან, რომლის ძირითადი ეტაპები თავის მხრივ ხაკუთარ ქვეეტაპებს აერთიანებს, ავტორი ცალკე ეტაპად გამოყოფს და ღრმა ანალიზს უყენებს მოტივაციის პროცესს, მის ფაქტორთა სისტემას. ამ სისტემაში სხვა სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებთან ერთად საზოგადოებრივი აზრისა და მართლშეგნებასაც თავისი ადგილი აქვს მიკუთვნებული.

დღემდე მართლშეგნების მრავალი განსხვავებული გავება და განსაზღვრება არსებობს. მათი ავტორები მართლშეგნების სხვადასხვა არსებით თვისებებზე სწორად ამახვილებენ ყურადღებას. თუმცა, მთლიანობაში არცერთი მათგანი მის არსებას სრულყოფილად არ გამოხატავს. მაგალითად, ნაშრომში მოხსენებულია ე. ლუკაშევის აზრი, რომლის მიხედვით მართლშეგნების ხატვის, როგორც არსებითი თვისება, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია საზოგადოებაში გარკვეული წესრიგის დამყარების აუცილებლობის შეცნობა. ამასთან, იგი მჭიდრო კავშირში იმყოფება პოლიტიკურ შეგნებასთან და სხვა (იხ. გვ. 72-78). როგორც სამართლიანად შენიშნავს თ. შავჯულიძე: მართლშეგნება, რომელიც საზოგადოებრივი შეგნების შემადგენელ ნაწილს წარ. მრავალს, როგორც წესი, ხასიათდება იმავე ძირითადი ნიშნებით, რითაც — საზოგადოებრივი შეგნება მთლიანად (გვ. 72). ამიტომ, ე. ლუკაშევის მიერ საზგასმული მართლშეგნების არსებობის ნიშნები — წესრიგის დამყარების აუცილებლობის შეცნობა და პოლიტიკურ შეგნებასთან მჭიდრო კავშირი — დავას არ იწვევს, მაგრამ ისინი მართლშეგნების არსებას არ ამოწურავენ. მართლშეგნება არა მხოლოდ პოლიტიკურ შეგნებასთანაა მჭიდრო კავშირში, არამედ პიროვნების შეგნების ყველა სახესთან, რომლებიც მთლიანობაში ერთიანი სუბიექტის მსოფლმხედველობას განასახიერებენ და მეტ-ნაკლებად მოტივაციის პროცესშიც მონაწილეობენ.

3. კამინსკაია და ა. რატინოვი ყურადღებას ამახვილებენ მართლშეგნების ისეთ თვისებებსა და ფუნქციებზე, როგორცაა სამართლებრივი სინამდვილის ასახვა იურიდიული ცოდნის ფორმაში, შეფასებითი დამოკიდებულება სამართლისა და მისი გამოყენების პრაქტიკიხადში, სამართლებრივი განწყობები და ღირებულებითი ორიენტაციები, რომლებიც აწესრიგებენ ადამიანურ ქცევას იურიდიული მნიშვნელობის ვითარებაში (გვ. 74).

აღნიშნული თვისებები მართალია კიდევ უფრო ამდიდრებენ მართლშეგნების ცნებას, ისე-



თი არსებითი თავისებებით, როგორცაა შექმენებითი და შეფასებითი დამოკიდებულებები, ღრუბულებითი ორიენტაციები, განწყობები, სხვა და სხვა სახის მარტულირებელი ფუნქციური ვიზუალიზაცია სხვა, მაგრამ სახელოოდ ვერც ეს განსაზღვრება აერთიანებს მის ყველა არსებითი თავისებებას.

3. კუდრიავეცივის აზრით, მართლშეგნება სუბიექტის ქცევას არაპირდაპირ განსაზღვრავს, იგი იგი სწორად ახსნავს სამართლის შინაარსს, სტრუქტურულად აღივს მოქმედებას ნორმების დაცვის მიმართულებით. ქცევის მოდელი, რომელსაც თავისთვის სუბიექტი წარმოადგენს, მართლშეგნების არაპირდაპირი პროექტია. ეს მოდელი შექმნილია არა მხოლოდ ნორმებისა და სამართალურ-ეთიკური თვითობებით, რომელშიც ეს სუბიექტი მონაწილეობს, არამედ ოთხი შემადგენლის: ნორმების, სამართალურ-ეთიკური თვითობის, სამართლებრივი ცოდნისა და სუბიექტის ღრუბულებითი წარმოდგენების ურთიერთშემოქმედებით (3. კუდრიავეცივი — სამართალი და ქცევა, შ., 1978, გვ. 81). ამ მხრივ უფრო სწორად მიგვაჩინა მართლშეგნების ის გაგება, რომლის მიხედვით, იგი არსებობს გარკვეული მოქმედების აუცილებლობის რწმენის, შესაბამისი განწყობის სახით, რაც ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში, როგორც მოქმედებას, ისე მის მოდელს არაპირდაპირ კი არა, პირდაპირ განსაზღვრავს.

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სახელმძღვანელოში მოცემული განსაზღვრების მიხედვით, მართლშეგნება არის „სამართლისადმი ადამიანთა დამოკიდებულებების გამოხატვითი შეხედულებებისა და რწმენის ერთობლიობა“ (იხ. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, შ., 1982, გვ. 822).

ეს განსაზღვრება სხვა განსაზღვრებებთან შედარებით უპირატესობით გამოირჩევა იმ მხრივ, რომ მართლშეგნება დაკავშირებულია რწმენასთან და დამოკიდებულებასთან, მაგრამ მთლიანობაში არააუსტრი და მიუღებელია. იგი არააუსტრი და მიუღებელია იმის გამო, რომ მართლშეგნება შეხედულებებისა და რწმენის ერთობლიობადაა შეჩნული მაშინ, როდესაც: ჯერ ერთად შეხედულებები სრულიად სხვა დონეა და მართლშეგნების განსაზღვრებისათვის თუნდაც რწმენასთან ერთად ვერ გამოადგება; მეორედ, შეგნება რაიმეს ჩამი ან ერთობლიობა არ შეიძლება იყოს, იგი შეიძლება იყოს მხოლოდ მისი სუბიექტის ერთიანობის გამოხატვითი.

ყველა ავტორი, ვინც მართლშეგნებას ეხება, როგორც ვხედავთ, სხვადასხვა არსებითი თვისებებზე მიაწინებს და ხელს უწყობს განსაზღვრების სრულყოფას. მიუხედავად ამისა, თითოეული მათგანი არც ცალ-ცალკე და არც ერთად აღებული, როგორც აღვნიშნეთ, მართლშეგნების არსებას სრულყოფილად ვერ გამოხატავს.

მართლშეგნების სრულყოფილი და ორიგინალური განსაზღვრება, ვფიქრობთ, თ. შავგულიძის მიერაა მოცემული, რომელიც მან ჯერ კიდევ ათი წლის წინ ჩამოაყალიბა (იხ. თ. შავგულიძე, საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა, თბილისი 1981 წ.). მისი აზრით, მართლშეგნება არის სამართლის მოთხოვნების განხორციელების აუცილებლობის შინაგანი რწმენა, შესაბამისი ქცევის განწყობა (იხ. გვ. 115-114). თუ სრულყოფილად გავითვალისწინებთ რწმენისა და განწყობის არსებას და ადგილს ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიურ მექანიზმში, ამაზე ნათლად და ზუსტად მართლშეგნების განსაზღვრა ძნელია. ეს განსაზღვრება გაკეთებულია უახლოესი გვარისა და სახეობითი განსხვავების მიხედვით და განსაზღვრების ლოგიკური წესების ყველა დანარჩენ მოთხოვნას აკმაყოფილებს. მართლშეგნების უახლოესი გვარია რწმენა, ხოლო სახეობის არსებითი ნიშანი, რაც მას რწმენის სხვა სახეებისაგან განასხვავებს, სამართლის ნორმების ცოდნა, მისი მოთხოვნების განხორციელების აუცილებლობის განცდა და შესაბამისი მოქმედების შინაგანი მზაობა:

ამრიგად, მოცემულ განსაზღვრებაში მართლშეგნების არსება ლაკონურად, მოკლედ და მკაფიოდ არის გამოცხადებული; როგორც სამართლის მოთხოვნების განხორციელების აუცილებლობის შინაგანი რწმენა; შესაბამისი ქცევის განწყობა, იგი, როგორც წესი, პიროვნების სოციალური წარმართვის ხანგრძლივი პერიოდის ან მომენტალური მოტივაციის პროცესის შედეგად ყალიბდება.

მართლშეგნების ასეთი გაგებით ავტორმა რწმენის ერთ-ერთი ყველაზე სპეციფიური და უმაღლესი სახე გამოკვეთა, რომელიც მოტივაციის გზით ცოდნისა და შეგნების საფუძველზე აღმოცენდება.

როგორც ცნობილია, რწმენა ადამიანური ქცევის უზენაესი მიმდრაველი და მომწესრიგებელი ძალაა. რასაც აკეთებს ადამიანი: ყველაფერს აკეთებს ამ რწმენით, რომ იგი მოცემულ სიტუაციაში მისთვის ყველაზე მიზანშეწონილი და გამართლებულია.

წარმოშობის მიხედვით, რწმენის სამი სახე არსებობს — პირმოტიული, ავტორიტარული და შეგნებულთი. მათ დეტალურ დახასიათებას აქ ვერ შევუძლებთ აღვნიშნვთ მხოლოდ, რომ შეგ-

ნებული რწმენა, რომლის შესახებაც სარეცენზო წიგნშია ლაპარაკი ადამიანისათვის სპეციფიკური რწმენის უშაღლესი სახეა, მისი აღწერა კი ნებისყოფის თავისუფლებისა და ადამიანის ურთიერთობების ჰუმანიზაციის ერთადერთი ყველაზე ქმედითი და სწორი საშუალებაა.

მართლშეგნებას, როგორც ადამიანის საერთო შეგნების ერთ-ერთ სახეს, პოლიტიკური, ეკონომიკური, წინეობრივი და შეგნების სხვა სახეების მსგავსად, ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების სპეციფიკური ნიშნების გარდა მათთან საერთო კანონზომიერებანიც გააჩნია. ამის გამო მართლშეგნების კანონზომიერებათა კვლევა ლოგიკურად შეგნების ყველა სახის საერთო საფუძვლისა და ჩამოყალიბების კანონზომიერებათა კომპლექსურ კვლევასაც გულისხმობს, რასაც სარეცენზო ნაშრომის ავტორები წოდებენ საკუთარი ძალებითაც წარმატებით ართმევენ თავს. უფრო მეტიც, თ. შავგულიძემ შემოქმედებითად იყენებს რა სხვა დარგის სპეციალისტების მიერ ჩამოყალიბებულ, მისთვის მისაღებ შეხედულებებსა და დასკვნებს, მთელ რიგ შემთხვევაში მათ კიდევ აწვითარებს. მაგალითად, თავისი მოსაზრებების ფსიქოლოგიური ასპექტების ანალიზის დროს იგი ძირითადად დ. უზნაძის განწყობის თეორიას ეყრდნობა. მისი შემოქმედებითი გამოყენებით ადამიანის შინაგანი სამყაროს დიბირინთებში სამართლის მეცნიერებისათვის, და არა მარტო სამართლისათვის, თვით ფსიქოლოგიისათვისაც მანამდე უცნობ, ხაინტერესო მოვლენებს პირველმა მიაკვია ყურადღება, რომელთა საფუძველზე ახალი შინაგნულადი დასკვნებიც გააკეთა. მის მიერ ახლად დანახული ფაქტებისა და კანონზომიერებათა ლოგიკამ ავტორი ფიქსირებული გენერალური განწყობის აღმოჩენამდე მიიყვანა. ამით მან ჰერ კიდევ ათიოდე წლის წინათ ხრულიად ახალი ნიქუვა თქვა განწყობის თეორიაში და საერთოდ ქცევის ფსიქოლოგიაში. ეს ფაქტი აკად. ა. ჭრანგიშვილმა და პროფ. ვ. კაკაბაძემაც შენიშნეს და ამ მიმართულებით შემდგომი მუშაობა განწყობის ფსიქოლოგიისათვის ხაინტერესად მიიჩნიეს (იხ. „საბჭოთა სამართალი“, თბილისი, 1982, № 5, გვ. 58).

ავტორის აზრით, „გენერალური განწყობა“ თავის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებითა და მასშტაბებით არსებითად განსხვავდება როგორც ჩვეულებრივი, კონკრეტული, ისე ინტეგრირებული ქცევის ახლადშექმნილი თუ ფიქსირებული განწყობილებისაგან, ხოლო ადამიანთა სამართლებრივი აღწერა კი, საბოლოოდ გენერალური ქცევის სამართლებრივი ნორმების შეგნების, მათი შესრულების გენერალური განწყობების ჩამოყალიბებას ნიშნავს. ამ პროცესს იგი ასე ახასიათებს:

ადამიანს „მოტივაციის შედეგად გამოუმუშავდება გენერალური ქცევის მოტივი, გადაწყვეტილება და განწყობა.“

ამგვარი განწყობა ფიქსირდება და იქცევა ფიქსირებულ, სოციალურ, გენერალურ განწყობად. მას შემდეგ, რაც ადამიანს გამოუმუშავდა გენერალური ქცევის განწყობა მისი იმგვარი მოდიფიცირება ხდება, რომ ყველა დანარჩენი ქცევა მის სფეროშია და ექვემდებარება ამ განწყობას. ფიქსირებული გენერალური განწყობის აღმოცენება ნიშნავს სხვადასხვა ქცევის განხორციელებისათვის მზაობას, რომლებიც ემსახურებიან გენერალური მიზნის მიღწევას. ამის შემდეგ რაიმე სხვა მოთხოვნილების რაიმე დაკმაყოფილების მოქმედების მოტივაციის პროცესში გენერალური მოტივიც დებულაბს მონაწილეობას მოტივაციის ძლიერი ფაქტორის სახით. მისი მოქმედება იმაში გამოიხატება, რომ ის ხელს უშლის იმ მოტივის გამოუმუშავებას, რომელიც ეწინააღმდეგება გენერალურ მიზანს. სანამ ფიქსირებული გენერალური განწყობა არსებობს, იგი გამოორციხავს მისი საწინააღმდეგო განწყობის წარმოშობის შესაძლებლობას. ასეთი განწყობის წარმოშობა შესაძლებელია მხოლოდ გენერალური განწყობის მოხსნის შემდეგ“ (იხ. გვ. 120).

ასეთი არგუმენტირებული წინამძღვრების შემდეგ ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ არაფერი ისე თვალსაჩინოდ არ წარმოაჩენს ინდივიდის სოციალურსა და სამართლებრივ ღირებულებებს, როგორც მისი გენერალური ქცევის მიზანი, მოტივი და ფიქსირებული განწყობა. სწორედ ამ სფეროებში ვლინდება ადამიანის სოციალურ და სამართლებრივ ღირებულებათა მთელი სისტემა, რაც ძირითადად განახლდრავს მის სოციალურ და სამართლებრივ სახეს. (იხ. იქვე 121). ამ ღრმა და ლაკონური დასკვნის საწინააღმდეგოდ, ვფიქრობ, ძალიან ძნელია რაიმე არგუმენტის წამოყენება.

ასევე მოკლედ, თეზისების სახით აქვს მას მოცემული მთელი რიგი სხვა საკუთარი შეხედულებები და დასკვნები ქცევის ფსიქოლოგიური მექანიზმის, მისი აღმქრელი და მიმართულების მიმცემი ფაქტორების, ნებისმიერი და იმპულსური ქცევის, აფექტის, მართლშეგნებისა და საზოგადოებრივი აზრის ურთიერთდაშოკიდებულებისა, როლისა და ადგილის შესახებ ადამიანის ქცევის ფაქტორთა სისტემაში. მათი გაცნობა და სიღრმისეული გააზრება არა მარტო სამართლის, არამედ ადამიანის პრობლემებით დაინტერესებულ საზოგადოებათმეცნიერების მო-

მანავე დარგების უკვე საბეციალისტ უსათუოდ დაინტერესებს და გარკვეულ დანხარებას გაუწევს ამ კუთხით შათვის საჭირო პრობლემების უკეთ დანახვა და განუწყვეტებელი აღსანიშნავია, რომ ავტორი კიდევ უფრო სრულყოფს ადამიანის ქცევის განუწყვეტელი ტრავციის ფაქტორთა სისტემის ფსიქოლოგიური მექანიზმის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ძირითადი ეტაპების გაგებას, ამ ასპექტში, მას პირველად შემოაქვს ხმარებაში სრულიად ახალი ახსნითი ცნებები: „ზოგადი მიზანი“, „ზოგადი განწყობა“, „გენერალური მიზანი“, „გენერალური მოტივი“, „გენერალური განწყობა“, აგრეთვე, პროცენტის შესაძლო ნებისმიერი დამატებითი მოქმედების მიზნის, მოტივის, მოტივაციის ფაქტორების, ქცევის შახლონების ფიქსირებული გენერალური განწყობის ჩამოყალიბებისა და მათი რეალიზაციის პოტენციური ველების ცნებები და სხვა.

ეს ცნებები მის მიერ დანახულ არსებით მომენტებს ასახავს, ისინი ასახავენ იმ გზას, რომელსაც ადამიანი სხვადასხვა ფაქტორის შემოქმედებით კონკრეტული მოთხოვნილებიდან მიზნის, მოტივისა და განწყობისაკენ მიხვავს. აქედან — ზოგადი მოტივისა და განწყობისაკენ, ხოლო ბოლოს — მათ გენერალურ მიზნად, მოტივად და განწყობად გარდაქმნას განაპირობებს. ეს გზა ადამიანის პროცენტულად ჩამოყალიბებისა და გამოვლენის ერთადერთი გზა არის, ამ გზით უაღიარებელი ადამიანის ყოველგვარი თვისება, რასაც საზოგადოებისათვის სიკეთე და სიხარული ან ზიანი და უსამართლოდ მოაქვს. ამიტომ, ამ გზაზე ადამიანს მამოძრავებელი და მამართლებელი მიმცემი ფაქტორთა სისტემის შეტანით ურთიერთშეწყვეტებისა და განვითარების, ერთი თვისებრიობიდან მეორეში გადასვლის მთლიანი მექანიზმის საიდუმლოებათა ახსნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო სამართლის თეორიისა და პრაქტიკაში, არამედ საერთოდ ადამიანთა აღზრდისა და სოციალური პროცესების კომპლექტურ მართვაში.


აღნიშნული გზა მთელი თავისი მნიშვნელობით ახლებურად არის დანახული და განალიზებული საბეციალისტო ნაშრომში.

ამრიგად, ავტორი გვთავაზობს დანახულეობრივი ქცევის ფსიქოლოგიური მექანიზმისა და სტრუქტურის ახალ გაგებას, რომელიც სხვა ცნობილ სტრუქტურებთან შედარებით უფრო კონკრეტულია, ასევე, თავის საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამს მოტივაციის პროცესისა და მის ფაქტორთა სისტემის პრინციპულ საკითხებზე, რითაც ხელს უწყობს მათ შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათა შემდგომ დაკონკრეტებასა და სრულყოფას.

ამასთან, აღნიშნულ საკითხებზე მის მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიმართ ზოგიერთი შენიშვნაც გვაქვს. ეს შენიშვნები ასეთია:

1. დანახულეობრივი ქცევის ფსიქოლოგიური მექანიზმის ძირითადი ეტაპების გამოშახტული სქემიდან (იხ. გვ. 101) განწყობისა და დანახულეობრივ მოქმედების შორის პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილების, როგორც დამოუკიდებელი ეტაპის უარყოფა იმ მოტივით, რომ იგი განწყობაში იგულისხმება და თითქოს თვისებრივად განსხვავებულ ცალკე ეტაპს არ წარმოადგენდეს, ვფიქრობ, არ უნდა იყოს გამართლებული, რადგან ის მოთხოვნილება, რომელიც განწყობაში იმთავითვე იგულისხმება და ის, რომელიც რეალური სიტუაციის გავლენით წარმოიშობა, როგორც განწყობის რეალიზაციის აუცილებელი მომენტი, წარმოშობის ფაქტორებსა და თავინთი ფუნქციების მიხედვით სრულიად სხვადასხვა მოთხოვნილებებია, ამ მომენტის გარეშე განწყობა, როგორც წესი, რეალიზაციის გარეშე რჩება. ამიტომ, ჩვენი აზრით, მისი როგორც დამოუკიდებელი ეტაპის არა უარყოფა, არამედ უფრო ღრმა ანალიზი საჭიროა. ამას, გარდა თეორიულია, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, რაც უკვეაზე მეტად სამართლებრივი ქცევის სფეროში ვლინდება. ცნობილია, რომ მრავალი დანახულეობრივი ქცევის გადაწყვეტა და განწყობა; ვთქვამთ მეტელობას; ქურდობისა და სხვა; სახელწიეროდ, რეალიზაციის გარეშე დარჩენილია, სისრულეში არ მოუყვანიათ; იმის გამო; რომ არ დამდგარა პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილების ეტაპი. ამ ეტაპს თავისი ფაქტორები გააჩნია, რომელთა ღრმად შესწავლით შესაძლებელია იმ კანონზომიერებათა გამოვლენა, რომელიც; ხელს შეუწყობს დანახულეობის აღკვეთას იმ ეტაპზე კი, როცა შინს გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და შესაბამისი განწყობაც ჩამოყალიბებულია.

2. მოტივაციის პროცესი, რომელიც ავტორის მიერ გამოხატულია დანახულეობრივი ქცევის მოტივაციის პროცესის ცალკე სქემაში (გვ. 118) და დანახულეობრივი ქცევის მთლიანი ფსიქოლოგიური სტრუქტურის შემადგენლობაში, სქემის მიხედვით, ერთმეორისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება (გვ. 122). მათი ასეთი განსხვავება, ვფიქრობ, არ უნდა იყოს გამართლებული, რადგან ორივე ქცევის ფსიქოლოგიური მექანიზმის სტრუქტურის ერთი და იგივე ეტაპს — მოტივაციის პროცესს განასახიერებს და მათი ძირითადი ფაქტორების სისტემაზე უფრო სწორი იქნებოდა სქემის სახითაც ერთნაირი ფორმით და ცნებებით გამოგვიხატა.



3. მოტივაციის სქემაში არსებითი ნიშნების მიხედვით უფრო ფართო ცნებებში გაერთიანებული ნებას საჭიროებს მოტივაციის სუბიექტური ფაქტორებიდან: სუბიექტის უნარი, მართლმშენებლობა, „მის“ კონცეფცია და ფიქსირებული გენერალური მოტივი, ხოლო ობიექტური ფაქტორებიდან: სიტუაცია, სამართლებრივი ნორმები — სამართლებრივი კონტროლი, საზოგადოებრივი აზრი — სოციალური კონტროლი და ფიქსირებული გენერალური ქცევა (იქვე 122). რაც შეეხება მოტივაციის სუბიექტური ფაქტორებიდან ფიქსირებულ გენერალურ მოტივს და ობიექტური ფაქტორებიდან ფიქსირებულ გენერალურ ქცევას, ისინი განმარტებას საჭიროებს, რისი გენერალურა მოტივი ან ფიქსირებული გენერალური ქცევა იგულისხმება მათში. ამის მიხედვით გახდება ნათელი მათი ადგილი, როლი და სხვა ფაქტორებთან დაკავშირების მიზანშეწონილობაც.

4. დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური სტრუქტურის გამომხატველ სქემაში (გვ. 122) ზედმეტად გამოყოფილება მოტივაციის სუბიექტური მხარის ფაქტორების შემდეგ ცალკე ეტაპად „მე მიწდას“ განცდის, ხოლო ობიექტური მხარის ფაქტორების შემდეგ „მე უნდას“ განცდის გამოყოფა. „მე მიწდას“ განცდა მოტივაციის პროცესის სუბიექტურ ფაქტორებში, კერძოდ, მოთხოვნილებებში იკვლიანსებება, ხოლო „მე უნდას“ განცდა კი, როგორც საზოგადოების მიერ პიროვნების მიმართ სოციალური მოვალეობის სახით წყვენილებული მოთხოვნები, მოტივაციის ობიექტური მხარის ფაქტორებში შედის.

ცალკე ეტაპად „მე უნდას“-ს განცდა მხოლოდ მოტივშია განსაზღვრებული. იგი გამოხატავს მოცემულ სიტუაციაში სუბიექტის რწმენას ამ და არა სხვა მოქმედების აუცილებლობაში: „მე უნდას“ განცდა მოქმედების სუბიექტური აუცილებლობის განცდაა, რაც მოტივაციის პროცესის დასასრულს ყალიბდება, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება და განწყობა.

5. წიგნი ერთ ადგილზე (გვ. 189) გვხვდება სხვა ავტორის აზრის გადმოცემაში რაღაც მექანიკური მიზეზის გამო დაშვებული უზუსტობა — დედანში ავტორის მიერ ნაზნარი სიტყვის „ობიექტურის“ ნაცვლად თარგმანში წერია სუბიექტური, ხოლო ზოგადი მოტივის ნაცვლად — კერძო მოტივი. ამის გამო, ტექსტი დასაბუთებული ავტორის აზრის სრულიად საწინააღმდეგოდ აღიქმება.

ჩვენს მიერ გაკეთებული შენიშვნები სრულებითაც არ ამცირებს ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას. პირიქით, მასში განხილული აქტუალური კომპლექსური პრობლემების შესახებ გამოთქმული მოსაზრებები და გაკეთებული დასკვნები, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ქცევისა და პიროვნების აღზრდის კანონზომიერებათა კვლევაში მნიშვნელოვანი წინადადებული ნაბიჯია. ამის დასტურს იძლევა ის, რომ სარეცენზიო ნაშრომში:

1. ორიგინალურადაა გაგებული და ჩამოყალიბებული დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური მექანიზმი და მოტივაციის ფაქტორთა სისტემა. რომელშიც მართლშეგნებას და საზოგადოებრივ აზრს თავიანთი ადგილები აქვთ მიკუთვნებული;
  2. სრულყოფილადაა ახსნილი მართლშეგნების არსება და მოცემულია მისი ყველაზე უზუსტი განსაზღვრება. იგი გაგებულია როგორც მოტივაციის შედეგად ჩამოყალიბებული, შეგნებული რწმენა. მასში აკუმულირებულია მოტივაციის პროცესში მოწინააღმდეგე სხვადასხვა ფაქტორი, რომლებიც შემდეგ შეტ-ნაკლებად ქცევაში ვლინდება;
  3. პირველადაა დანახული ადამიანური ქცევისა და პიროვნების ჩამოყალიბების მთელი რიგი სიღრმისეული ფაქტორები და მათი ფუნქციონირების თავისებურებები, რომელთა აღსანიშნავად ნაშრომში შემოტანილია ახალი ახსნითი ცნებები — ზოგადი და გენერალური მიზეზი. მოტივი, განწყობა, მათი ჩამოყალიბებისა და რეალიზაციის პოტენციური ვილის ცნებები და სხვა;
  4. ნაჩვენებია მართლშეგნება, როგორც ადამიანთა სამართლებრივი აღზრდისა და დანაშაულებრივი ქცევის პროფილაქტიკის ერთ-ერთი ყველაზე მუშაობიერი და ეფექტური საშუალება.
- ჩვენ შევჩერდებით სარეცენზიო ნაშრომში განხილულ მხოლოდ ზოგიერთ საკითხზე, მათ შორის წიგნი ბევრი აქტუალური პრობლემა განხილული, რომელთა შესახებ ავტორები, მეცნიერულად დასაბუთებულ, დამაჭერებელ მოსაზრებებს გამოთქვამენ, რითაც თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მათ საზოგადოებრივ გადაწყვეტაში.


## რომის სამართალი\*

მოვეუსმინოთ ე. მ. შტაერმანს: „როგორც ახლა მიაჩნიათ, ავგუსტუსის მმართველობისას და შესაძლოა მის აგრარულ რეფორმებთან დაკავშირებით, რომელმაც მიწისმფლობელთა საკუთრება განამტკიცა, სამართალში მიწის საკუთრების აღსანიშნავად ახალი ტერმინი ჩნდება — „დომინიუმ“<sup>მ</sup>, ეს ტერმინი გამოიყენებოდა მხოლოდ იტალიაში მდებარე ადგილ-მამულების მიმართ, რომელთა უმადლეს მესაკუთრედაც იმპერატორი ითვლებოდა, არსებობდა მხოლოდ მფლობელობის უფლება. დომინიუმი ნიშნავდა, რომ მიწაზე საკუთრების უფლება გათანაბრებული იყო დომინიუსის უფლებასთან მონაზე ე. ი. როგორცად ხდებოდა შეუზღუდველ, სრულ საკუთრებად. პირველ რიგში, ეს შეესაბამებოდა მსხვილი მესაკუთრეების ინტერესებს, რადგანაც იხსნებოდა მიწის მაქსიმუმის ქონასთან დაკავშირებული შეზღუდვები, და ქრებოდა შიში, რომ ახალი აგრარული კანონები მიწის გადანაწილებას გამოიწვევდა“ და მართლაც, შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ სწორედ იმპერიის ხანაში ვითარდება მსხვილი მიწათმფლობელობა, ჩნდება ლატიფუნდიები და ა. შ.

სამართალში მიწის საკუთრების გასხვისებასთან დაკავშირებით შეზღუდვები იხსნებოდა, შეიძლებოდა მიწის გაყიდვა, დაგირავება, ჰიპოთეკა, იჯარა. პროცედურა შესაბამისი ვარიეტეტებისა, რომლებიც რომის სამართალში დეტალურად იყო დამუშავებული, თანდათან გამარტივდა ამასთან დაკავშირებით, მკვლევარებს ასეთი მაგალითი მოაქვთ: მანციპაციას, მართალია, იყენებდნენ, მაგრამ მას არაიშვიათად ნივთის უბრალოდ გადაცემით „ტრადიციო“-თი ცვლიდნენ, რათა შემდეგ „უსუკაბიო“-ს წესით, ე. ი. ხანდაზმულობის მეშვეობით, გამხდარიყვნენ მესაკუთრედ. ამრიგად, მყიდველი შემოვლითი გზით ხდებოდა მესაკუთრედ. რომის სამართლის მიხედვით, მფლობელობის ხანდაზმულობა გარკვეული პირობით და გარკვეულ ვითარებაში საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი იყო, „ბონა ვიდე“ და „იუსტა კაუზა“ იყო ასეთი საფუძვლები.

მ<sup>1</sup> „დომინიუმ“-ს ლათინურ ენაში ოთხიოდე მნიშვნელობა გააჩნდა, რომელთაგან უპირველესი იყო მფლობელობა, საკუთრება, საკუთრების უფლება. „დომინიუმ ეტ იუს“ ნიშნავდა საკუთრების უფლებას. ვარდა ამისა, „დომინიუმ“ ნიშნავდა ძალაუფლებას, ბატონობას, ლათინურში საკუთრების უფლების გამომხატველი მეორე ტერმინი იყო „პროპრიეტას“, რომელიც „პროპრიუმ“-იდან არის ნაწარმოები, რაც საკუთარს ნიშნავდა. საინტერესოა ქართული ანალოგია. ქართულშიც ორი სიტყვა „პატრონი“ და „საკუთარი“ იყო ის საწყისი სიტყვიერი ფუნდამენტი, რომლისაგანაც ფარმდებოდა საკუთრების გამომხატველი ტერმინები. „პატრონობას“ და „უფლებას“ საბაზოლოდ „საკუთრებამ“ „აკობა“.

\* დასახარული. დახაწვისი იხ. ვურს. „სამართალი“. 1992, № 2, 3.



რომის სახელმწიფოს პროვინციებში მანკიპაცია საერთოდ არ გამოიყენებოდა, იქ მხოლოდ უბრალო გადაცემით ხდებოდა ნივთის გასხვისება.

მართებულია ე. მ. შტაერმანის შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ მიუხედავად ყველა ზემოაღნიშნული ფაქტისა, რომაული კერძო საკუთრება მაინც განსხვავდებოდა კაპიტალიზმის ხანის კერძო საკუთრებისაგან. საკუთრებას რომში ყოველთვის ახასიათებდა ისეთი ნიშნები, რაც თავისი ხასიათით უკავშირდებოდა მის წარმოშობას სამოქალაქო თემის წიაღში.

„თუმცა იმპერატორი, პრინციპში, მხოლოდ პროვინციათა მიწების უმაღლესი მესაკუთრე იყო, მაგრამ თანდათან ვითარება შეიცვალა, თითქოს თავისთავად იგულისხმებოდა და აღირეს კიდევ, რომ იმპერატორი იმპერიის მთელი მიწების უმაღლესი მესაკუთრე იყო. შეიცვალა რა რომის ხალხი, იმპერატორმა „ცივიტას“-იდან მემკვიდრეობად მიიღო მიწებზე განკარგულების კონტროლის უფლება და მისი კეთილსინდისიერი დამუშავებისათვის ზრუნვა „საერთო სარგებლობის“ ლოზუნგით<sup>32</sup>.

კანონებში გამოხატულება ჰპოვა შეხედულებამ იმის შესახებ, რომ იმპერატორს, როგორც უმაღლეს მესაკუთრეს, ხელეწიფება, იზრუნოს ზოგიერთი მესაკუთრისა და მფლობელის მიერ დაუმუშავებლად დატოვებული მიწების განაშენიანებაზე. იმპერატორი აკონტროლებს მიწისმფლობელებს თითქმის იმავე საწყისებზე, როგორც თემი აკონტროლებდა მათ თავის დროზე. თემი კი, როგორც ვიცით, ნებას იძლეოდა დაემუშავებინათ მფლობელის მიერ დაუმუშავებლად მიტოვებული მიწა. თემი დაინტერესებული იყო, რომ მისი მიწის ყოველი ნაკვეთი კარგად ყოფილიყო დამუშავებული. ასევე, რომის იმპერატორი, უზარმაზარი იმპერიის მესვეური, თუნდაც სახელმწიფო და საჯინანსო ინტერესების მხედველობაში მიღებით, დაინტერესებული იყო მიწის მესაკუთრეს, მფლობელს, მოიჯარეს და ა. შ. რომელმაც მიწა უნაყოფოდ დააგდო, არ ჰქონოდა იმის იმედი, რომ მისი უფლებები ხელშეუხებელია. დაუმუშავებლად დატოვებული მიწის ნაკვეთის დამუშავება წახალისებული იყო იმითაც, რომ მიწის გამშენებლის გაგდება განაშენიანებული მიწიდან მის წინანდელ მესაკუთრესაც კი არ შეეძლო.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ძველ სამყაროში საქმოდ ცხოველი იყო ადრეკლასობრივი საზოგადოების წიაღში შექმნილი „შრომითი საკუთრებას“ პრინციპები. როგორც მკვლევარები ფიქრობენ, თვით ძველი რომის განვითარებული სახელმწიფოებრიობის წიაღში „შრომითი საკუთრების“ პრინციპები სრული მოცულობით იყო შემონახული. ალბათ ამ პრინციპის ქმედობით აიხსნება ის გარემოება, — აღნიშნავდა ე. მ. შტაერმანი, — რომ მიუხედავად სამართალში დომინიუმის ცნების შემოტანისა, ჩვენ ვერ ვპოულობთ რომაელ იურისტებთან ამ ცნების მკაფიო განსაზღვრას, ვერც „დომინიუმსა“ და „პოსესსიოს“ შორის განსხვავებას, თუმცა, მათი სიტყვით საკუთრებასა და მფლობელობას არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო (დიგესტები, 41, 2, 12, 1); შესაძლებელი იყო, რომ ერთმანეთს არ თანხვდებოდა, ასევე, შესაძლებელი იყო მათი ერთმანეთთან დამთხვევა. იყო შემთხვევა, როდესაც რომელიმე ნივთზე დომინიუმ (საკუთრების უფლება) ერთ პიროვნებას ეკუთვნოდა, ხოლო მფლობელობის უფლება — მეორეს. დიგესტებიდან ჩვენ ვგბ-

32 ე. მ. შტაერმანი, დასხ. თხზ., გვ. 233-234.

ბულობთ. რომ მფლობელობა განისაზღვრება ძატერიალური ფაქტორებით (ე. ი. რეალური გამოყენებით) და სულიერით (ე. ი. ნებით შეინარჩუნებ მფლობელობა). მაშინ, როდესაც დომინიუმი ბატონის ნებაზე არ იყო დამოკიდებული და არ შეიძლებოდა მისი ბოძება დროებით. „მაგრამ ასეთი, საკმაოდ აბსტრაქტული მომენტების გარდა რეალური განსხვავება dominium-სა და possessio-ს შორის რომელი იურისტების თხზულებებში ძნელი საპოვნიაა. თუმცა, რომის სამართლის შესახებ თანამედროვე ნაშრომებში ასეთი განსხვავება კონსტრუირებულია, ხშირად უფრო თანამედროვე, ვიდრე რომაული იურიდიული სწავლების საფუძველზე“ (ე. მ. შტაერმანი), იმ დომინუსისთვის (მესაკუთრე), რომელიც თავისი მიწიდან „ფრუქტუს“-ს (ნაყოფს) არ ღებულობდა. შეიძლებოდა მიწის ჩამორთმევა ისევე, როგორც პოსესორისათვის, მოიჯარისთვის, ფრუქტუარისათვის, და როგორც საკუთრება, ასევე მფლობელობა ნივთზე რომის სამართლით ერთნაირად განისაზღვრებოდა, როგორც უფლება მისი პერობისა და მისთვის სარჩელის აღძვრისა (სარჩლობისა). (იხ. „დიგესტები“, 6, 1, 49, 2; 37, 1, 3, 2; 41, 1, 52).

საკმაოდ კრიტიკულია ე. მ. შტაერმანის მოსაზრებები არა მარტო რომის სამართლის ისტორიის მკვლევარების მიმართ, არამედ თვით რომელი იურისტების და მათი ნაშრომების მიმართაც.

ლათინურ მეტყველებაში ანუ, როგორც შტაერმანი წერს, „ჩვეულებრივ რომაულ იურიდიულ ენაზე, როდესაც კახუსზე არ იყო მსჯელობა, რომელიც ზუსტ იურიდიულ დეფინიციას მოითხოვდა, საკუთრებას განუჩევლად მოიხსენიებდნენ როგორც „პოსესიო“-ს, „პროპრიეტას“-ს, „ბონუმ“-ის, ხოლო ყოველ მიწათმფლობელს პოსესორს ეძახდნენ. არაიშვიათად, პოსესორებს ეძახდნენ ქალაქის მიწების მოიჯარეებს, რომელთაც მისი მფლობელობის უფლება ჰქონდათ მანამდე, სანამ ისინი რენტას იხდიდნენ.

ყველა ასეთ შემთხვევაში უცვლელად მოქმედებდა „შრომითი საკუთრების“ პრინციპი: ვინც მიწაზე სარგებლობას მოატოვებდა, მას მიწას წაართმევდნენ იმ პირის სასარგებლოდ, ვინც მის დამუშავებას კისრულობდა<sup>38</sup>.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „შრომითი საკუთრების“ თეორიის ვაგრცელების ერთ-ერთ გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს ფეოდალურ საქართველოში ვაგრცელებული ე. წ. „სანაშენოს“ ინსტიტუტი, რომლის ფესვებიც, ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო ღრმა ქრონოლოგიურ კრილშია საძებნი და შეიძლება ანტიკურ ხანასაც კი უკავშირდებოდეს. ქართული მასალების მიხედვით, მიწის „გამშენებელი“ სანაშენოდ იღებდა „გაშენებული“ მიწის ნახევარს თავის საკუთრებაში, ერთი მკვლევარის აზრით, „სანაშენოს წესი ძველი წესია, ეს იგივეა, რაც დასავლეთევროპული „ად პლანტანდუმ“ ან ბიზანტიური ემფითევზისი, ცხადია, გარკვეული თავისებურებებით“<sup>39</sup>.

სწორედ არის შენიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ რომში, განსაკუთრებით იმპერიის ხანაში, გართულებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა განაპირობა მიწის განკარგვის სხვადასხვა ფორმის დეტალური

<sup>38</sup> ე. მ. შტაერმანი, დისახელ. თხზ., გვ. 234-235.

<sup>39</sup> იხ. ქ. ჩხატარაშვილი, „თავისუფალნი ფეოდალურ საქართველოში“. „მეცნიერება“. 1991, გვ. 74-78. აქვე მითითებულია საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურაც; სინტერესოა ერთი საბუთი, „იოანეს შამას მუშეჩის კვირიკატლის მიწა ადგილ საშენებლად... დღისა ერთისა; და რა აღუშენა, ორად გაყო: ნახევარი იოანეს შამას დაევირა — მუშეჩს, ნახევარი მიწის პატრონა“. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 111, გვ. 166.



დამუშავება, ფართო გავრცელება ჰპოვა იჯარის სხვადასხვა ტიპმა და არა მხოლოდ მიწის, არამედ სახელოსნოების ან სახელოსნოების ცალკე ნაწილების, სამთამადნო ნაკვეთებისა და ა. შ. იჯარით გადაცემამ. იჯარით გაიყიდა და სახელმწიფოს კუთვნილი სხვადასხვა სახის ქონება, მათ შორის პირუტყვიც (ჯიგი).

რომის იმპერიაში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებას თან ახლდა ქირავნობის ინსტიტუტის არსებობა, მისი მტკიცედ დამკვიდრება.

იშვიათობას არ წარმოადგენდა თავისუფალი ადამიანის დაქირავებული შრომა, მით უფრო სხვისი მონების დაქირავება. თავისუფალთა და სხვისი მონების დაქირავება განიხილებოდა როგორც იჯარა (არენდა). დასაშვები იყო მომსახურების ქირავნობა, ნარდათ სამუშაოს აღება და ა. შ.

სასაქონლო ურთიერთობებისა და სამოქალაქო სამართლის შედარებით მაღალი დონის მაჩვენებელია ე. წ. „უზუფრუქტის“ ინსტიტუტი. ლათინურად „usus“ „უზუს“ ნიშნავს სარგებლობას, გამოყენებას, დროებით სარგებლობას, ექსპლუატაციას, ნაყოფის მიღებას, ნაყოფის გამოყენებას, შემოსავლის მიღებას სხვისი საკუთრებიდან. უზუფრუქტუარს უნდა ესარგებლა სხვისი ქონებით ისე, რომ ამ ქონებისათვის ზიანი არ მიეყენებინა.

ისტორიულ-იურიდიულ ლიტერატურაში შეიძლება შევხვდეთ — პრეკარული საკუთრებისა, და პრეკარიუმის შესახებ მსჯელობას. ლათინურად „პრეკარიუმი“ „პრეცეს“ ნიშნავს თხოვნას. პრეკარიუმი — ესაა მიწის ნაკვეთი, რომელიც ამა თუ იმ პირს გადაეცა მესაკუთრისაგან იმ პირობით, რომ საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრეს შეუძლია მისი უკანვე მოთხოვნა. თეორიულად პრეკარიუმი ემყარება არა ხელშეკრულებას, არამედ წყალობას, კეთილმოქმედებას. მაშასადამე, იურიდიულად მესაკუთრესა და პრეკარისტს შორის არ არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა. მაგრამ თანდათან ამ ინსტიტუტმა მიიქცია იურისტების ყურადღება და სამართალმაც განასხვავა სხვადასხვა სახის პრეკარისტები, ის პრეკარისტი, რომელმაც მესაკუთრისაგან მისი (პრეკარისტის) თხოვნის საფუძველზე მიიღო ცალკე ადგილ-მამულის, განკერძოებული მიწის ნაკვეთი, განიხილებოდა, როგორც მიწათმფლობელი, ხოლო ის პრეკარისტი, რომელსაც მესაკუთრის ვრცელი ადგილ-მამულის შიგნით მცირე ნაკვეთი ჰქონდა მიჩენილი, მიწათმფლობელად არ ითვლებოდა.

პრეკარიუმი, მესაკუთრისაგან მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი ვადით მიღებულმა მიწის ნაკვეთმა, როგორც მიწის სარგებლობის უფლებამ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძველი რომისა და შუა საუკუნეების სოციალურ პრაქტიკაში. მან, სხვათა შორის, ხელი შეუწყო ძველი რომისა და ევროპის შუა საუკუნეების ქვეყნების საკუთრების მხრივ ახალი სამართლებრივი კონსტრუქციებისა და ცნებების დამუშავებას. განსხვავდება „პრეკარია დატა“ — მიცემული, ნაწყალობევი პრეკარიუმი და „პრეკარია ობლატა“ — დათმობილი პრეკარიუმი. ცალკე სახეობად ჩამოყალიბდა ანაზღაურებითი პრეკარიუმი — „პრეკარია რემუნატორია“.

ცალკე ყურადღების ღირსია სერვიტუტების ინსტიტუტი, სამიწათმფლობელო თემის დარღვევამ და მიწების კერძო პირთა ხელში თავმოყრამ ხელი შეუწყო სერვიტუტების შემდგომ განვითარებას. სამეურნეო საქმიანობის ნორმალური წარმოებისათვის აუცილებელი იყო, რომ მიწის დამამუშავებელს თავის ნაკვეთზე მისვლის საშუალება ჰქონოდა. ხშირად ის იძულებული იყო,

სხვის ნაკვეთზე, როგორც გზაზე, გაეგლო, რათა თავის ადგილ-მამულთან მისულიყო. სამართალმა მას ასეთი უფლება უბოძა, ზოგჯერ პირუტყვის და დასარეკად ერთი ადგილიდან მეორეზე აუცილებელი ხდებოდა სხვის მამულზე საქონლის გადატარება ან საკუთარი ადგილ-მამულის მოსარწყავად წყლის მიღები უნდა გაეტარებინათ სხვისი მიწის ნაკვეთზე, კანონმდებლობა იძულებული ხდებოდა ერთი მესაკუთრის და საერთო სარგებლობისათვის, აუცილებლობის ფარგლებში, შეეზღუდა მეორე მესაკუთრის ინტერესები, ასე წარმოიშვა სერვიტუტები, თანდათან სერვიტუტების რიცხვი იზრდებოდა, ჩნდება სასაძოვრო (საძოვრის) სერვიტუტი, წყაროს ანუ წყალსარგებლობის სერვიტუტი, დასასრულ, უკვე რომის სამართლის წიაღში ჩნდება უფლება სხვის მამულში კირის ან ქვიშის მოპოვებისა, საერთო სარგებლიანობის მოტივით მაგისტრატს შეეძლო იძულებით დაეწესებინა სერვიტუტის ესა თუ ის სახეობა, მაგრამ ეს შედარებით იშვიათად ხდებოდა.

სერვიტუტის უფლებები შეიძლება დაკარგულიყო, ჩაფერფლილიყო თუ მას დიდი ხნის განმავლობაში არ იყენებდნენ.


„დივესტებში“ მოცემული იყო ზოგადი წესი: ნივთის გათავისება ხდება მისი სარგებლობის მეშვეობით და დაკარგვა მისი გამოუყენებლობის შედეგად (4, 6, 1, 1).

რომის სამართალში იგრძნობა ცხოველმყოფელობა სამოქალაქო თემიდან მემკვიდრეობით მიღებული პრინციპებისა,<sup>35</sup> ამ პრინციპების სიცოცხლისუნარიანობით დაინტერესებული აღმოჩნდა რომის სახელმწიფო, მისი მთავრობა, მმართველი წრეები... მთავრობა, ისევე როგორც წინათ სამოქალაქო თემი, დაინტერესებული იყო; სამართავი ტერიტორიის მიწებიდან მიეღოთ მაქსიმალური მოსავალი, რომი, როდესაც მსოფლიო სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა, უკვე აღარ იყო ძველი სამოქალაქო თემი — „ცივიტას“. მაგრამ ძველი და შედარებით ახალი იტალიის ქალაქები, აგრეთვე პროვინციის ქალაქები, იმავე საფუძველზე იყო მოწყობილი, როგორზეც ძველი რომი, ქალაქი იყო მისთვის გამოყოფილი მიწის მფლობელი, ამ მიწების ერთი ნაწილი მოქალაქეების ხელში იყო, ხოლო მეორე ნაწილი — მოქალაქეთა კოლექტიურ მფლობელობაში რჩებოდა და გაიყიდა მოკლევადიანი ან გრძელვადიანი იჯარით, ან გამოიყენებოდა როგორც საერთო სარგებლობის სავარგული, ან ნაწილს იჯარით გასცემდნენ, ხოლო სხვა ნაწილს საერთო სავარგულად იტოვებდნენ, როგორც ზოგი მკვლევარი აღნიშნავს; ძველ რომში — „ქალაქი აღიქმებოდა, როგორც რაღაც მუდმივი, გაუხუნარი ფასეულობა, პირველადი ერთობა, მოქალაქეთა ყოფიერების საფუძველი“. ამიტომაც; „საერთო სარგებლობის“ პრინციპი და მასთან დაკავშირებული „შრომითი საკუთრების“ პრინციპი, რომელიც წარმოშობილი იყო თემური ურთიერთობებით ან მისი არსებითი გადმონათებით, არა თუ არ გადაშენდა, არამედ განვითარდა კიდევ, გულისხმობდა რა კერძო და საზოგადო ინტერესების ურთიერთგანპირობებულობას<sup>36</sup>.

გარკვეული ორჭოფობა მოჩანს იმპერიის ხანის რომაელ იურისტებთან ძველი სამართლის მიმართ დამოკიდებულებაში, ერთის მხრივ, ძველი სამართალი ითვლებოდა შეუჩრყველ საფუძველად, ხოლო მეორე მხრივ — გზას იკა-

<sup>35</sup> ე. მ. შტაერმანი, რომის სამართალი, გვ. 235.

<sup>36</sup> ფ. პონსელი, „საერთო სარგებლობა და საზოგადოებრივი ინტერესი კლასიკური ხანის რომის სამართალში“. შედარებითი სამართალმცოდნეობის საკანონო ბიერ დაარსებული ჟურნალი, რომანისტული ნაწილი, 1978, ტ. XCIV, გვ. 104.



ფავდნენ ახალი სამართლებრივი მიმდინარეობანი. მათგან, უფრო ხშირად ფიგურირებს, უფრო თვალში საცემია სამართლის ისეთი სახეები, როგორც იქნა „იუს ჰომინუმ“ (ius hominum), „იუს გენციუმ“, „იუს ნატურალე“, რომელთაც სამართლიანობას — „აექუმე ეტ ბონუმს“ თან ხვდებოდა.

ცნობილ რომაელ იურისტს ულპიანე დომიციუსს მოაქვს ციტატი ცელსუსის ნაშრომიდან, სადაც ის სამართალს განსაზღვრავს, როგორც „არს ბონი ეტ ეკვი“ (დიგ. 1, 1, 1). რომის სამართლის მკვლევარებს მრავალი მაგალითი მოაქვთ იმისა, თუ რა შორს მიდიოდა ძველი რომის სასამართლო პრაქტიკაში სამართლისა და სამართლიანობის დაპირისპირება. იურისტები ცდილობდნენ ერთმანეთთან მოერიგებინათ „იუს“-ი „ბონემ ეტ აექუმე“-თან. მაგრამ ეს ადვილი საქმე როდი გახლდათ.

არსებობდა დადგენილება, რომლის მიხედვითაც ბრალდებულს უფლება ჰქონდა სასამართლოსათვის ეთხოვა, მის მიმართ არ გამოეყენებინათ კანონი წინააღმდეგობის სისასტიკით (ე. წ. ექცეპციო). ამ დადგენილების არსი იმაში მდგომარეობდა, როგორც ამის შესახებ ახსნა-განმარტებას იძლევა პაულუსი, რომ სამოქალაქო, ცივილური სამართლის შესაძლებლობანი „ოკასიო იურის ცივილის“ წინააღმდეგობაში არ მოსულიყო ბუნებით სამართალთან, ბუნებრივ სამართლიანობასთან — „ექვიტას ნატურალე“-სთან და ბრალდებულის არ დაჩაგრულიყო ბრალმდებლის უსამართლობის გამო (დიგესტები 44, 4, 1, 1). ამასთან, რაც დრო გადიოდა, იურისტების მსჯელობაში ბრალის (ხარისხის) განსაზღვრისას, ნებას მით უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა, ვიდრე ქმედებას. ასევე ხდებოდა კანონების ახსნა-განმარტებების დროსაც და ცალკეული იურიდიული საბუთის, მაგალითად ანდერძის შინაარსის, მოანდერძეთა ნების დადგენის დროსაც: საქმის არსს მეტი ყურადღება ექცეოდა, ვიდრე ასო-ანბანურ კირკიტსა და გაგებას.

ციცერონთან ანალოგიური მოტივების შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. იმპერიის ხანაში სამართალმცოდნეებს შორის გავრცელებული დისკუსიონაც კი მიმდინარეობდა კანონმდებლობისა და სამართლიანობის ურთიერთდამოკიდებულებისა და მათი მორიგების შესაძლებლობებისა თუ შეუძლებლობის შესახებ. თუ ციცერონთან უფრო მეტად გამოიკვეთა სამართლიანობის შეუთავსებლობა ხალხისა და ტირანების მიერ მიღებულ ბუნებისთვის შეუფერებელ კანონებთან, მოგვიანებით, გაიუსის, მეორე საუკუნის იურისტის, თხზულების მიხედვით, რომაელი იურისტები „იუს ცივილეს“ გვერდით, და მასთან ერთად, იყენებდნენ „იუს გენციუმ“-ს და „იუს ნატურალე“-საც. ეს იმას ნიშნავდა, რომ პროვინციებში მოქმედი ჩვეულებითი სამართლის ნორმები და ჩვეულებებიც მხედველობაში უნდა მიეღოთ რომაელ იურისტებს წმიდა რომის სამართალთან ერთად.

სამოქალაქო სამართალი, როგორც ხელშეკრულებებზე დამყარებული სამართალი, არ იხილავდა რეალურ ცხოვრებაში არსებულ ურთიერთობებს თუ ისინი ხელშეკრულებებს არ ემყარებოდა.

მართალია, სამოქალაქო სამართალი საკმაოდ დეტალურად განიხილავდა მიწის მესაკუთრისა და მოიჯარე-კოლონის ურთიერთობას, თუ მათ შორის დადებული იყო წერილობითი ხელშეკრულება, მაგრამ რომის სახელმწიფოში მიწის მესაკუთრეებსა და მოიჯარეთა შორის არსებული ფაქტობრივი ურთიერთობანი ისე მრავალფეროვანი და მრავალფენოვანი იყო, რომ ისინი არც წერილობით დოკუმენტებში იყო დაფიქსირებული და არც კანონებში. მოიჯარეთა

მრავალ სხვადასხვა კატეგორიას ყველას „კოლონებს“ ეძახდნენ და ეს მათი მრავალფეროვნება მხოლოდ გვიანი რომის იმპერიის კანონებში თუ შეგვიძლია შევხედოთ მეტ-ნაკლებად.

ერთადერთი, რასაც ჩვენ ვგებულობთ რომაელი იურისტების თხზულებებიდან, ესაა ის, რომ თუ ხელშეკრულება იჯარის (არენდის) შესახებ არ განახლებულა, კოლონი და მისი მემკვიდრეები შეიძლება დარჩნენ მიწაზე მხარეთა სიტყვიერი თანხმობის ძალით (დიგ. 2, 13, 11, 14). ე. ი. მოიჯარე (არენდატორი) კვლავ კოლონად რჩებოდა, მაგრამ არა ხელშეკრულების, არამედ ბატონთან სიტყვიერი შეთანხმების ძალით.

სამოქალაქო სამართალში ვერ აისახა აგრეთვე ის ურთიერთობები, რომლებიც დიდ როლს თამაშობდნენ სოციალურ პრაქტიკაში. საჭმე ეხება პატრონსა და კლიენტებს შორის ურთიერთობას. პატრონთა მიწებზე სხვადასხვა წარმოშობის კლიენტები ისხდნენ. პატრონებსა და კლიენტებს შორის სხვადასხვა დონის დამოკიდებულებითი ურთიერთობა იყო, რომის იურისტების თვალსაზრისით, პატრონებსა და კლიენტებს შორის ურთიერთობა ემსგავსებოდა პრეკარულს, რომელიც ეყრდნობოდა არა ხელშეკრულებას, არამედ წყალობას, კეთილსიცოფას. (დიგესტები, 48, 26, 14). მიწის მესაკუთრეებსა და მოიჯარეთა შორის ურთიერთობა და საერთოდ ურთიერთობა მესაკუთრეებსა და არამესაკუთრეებს შორის არ შეიძლებოდა ყოველთვის იდეალური და ორივე მხარისთვის სასარგებლო ყოფილიყო. არაიშვიათად მესაკუთრეთა კეთილსიცოფლობისა და წყალობის საფარველ ქვეშ მესაკუთრული ეგოიზმი იმალებოდა. სიმპტომატურია ამ მხრივ იურისტ პაულუსის შეგონება: „ნუ მივაგებთ წყალობას იმას, ვინაც ამას არა გვთხოვს“. (დიგ. 50, 17, 69).

მართებულად მიუთითებს ე. მ. შტაერმანი, რომ რომაელები იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ ადგილობრივი ნორმებისა და ჩვეულებებისათვის. „დიგესტებში“ პირდაპირ ვხვდებით მითითებებს იმის შესახებ, რომ საპროცენტო განაკვეთის ნორმა უნდა დაწესდეს ადგილობრივი ჩვეულებების შესატყვისად (22, 1, 1). რელიგიურ-ყოფითი და სხვა მიზეზებით, ამა თუ იმ ადგილას მიზანშეწონილად ითვლებოდა ზოგიერთი სახის საქონლით ვაჭრობა, ამ გარემოებას რომის ხელისუფალნი მხედველობაში ღებულობდნენ (დიგ 18, 1, 34, 1; 20, 1, 34). რომის სამართალში გათვალისწინებული იყო, რომ ღვინის გაყიდვისას მხედველობაში მიიღებოდა ადგილობრივი წეს-ჩვეულებები და რეგიონის თავისებურებები. — „კონსუეტუდო რეგიონის“ (დიგ. 18).

არაიშვიათად, სტიქიური უბედურების შედეგად, ნადგურდებოდა ნათესები, მოსავალი და ა. შ. დაისვა საკითხი, თუ ვის უნდა დაკისრებოდა ზარალი, მიწის მესაკუთრეს თუ მის დამმუშავებელს — კოლონს, იუსტინიანეს კოდექსის თანახმად (IV, 65, 8), ეს საკითხი წყდებოდა იმის მიხედვით, თუ როგორი იყო ადგილობრივი წეს-ჩვეულება.

რომის ვრცელი სამფლობელოების სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა დანაშაული ითვლებოდა საზოგადოებისთვის ყველაზე საშიშად, რომაელთა მიერ დაპყრობილი აფრიკის კონტინენტის ნაწილის — აფრიკის პროვინცია იმით იყო ცნობილი, რომ აქ სხვისი მოსავლის მოტაცება ითვლებოდა უმძიმეს დანაშაულად. მეზიაში — სხვისი ვენახის გაჭურდვა, სამთამადნო წარმოების განვითარების არეალში — ყალბი მონეტების დამზადება (დიგ. 48, 19, 16, 9) და ა. შ. და ყოველივე ეს, ცხადია, პროვინციების ჩვეულებითი სჯულის დიდი

ავტორიტეტის მაჩვენებელიც იყო. მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო იმუ-  
ლებული იყო ანგარიში გაეწია პროვინციების სამართლებრივი ჩვეულებების  
„დიგესტებში“ მოთავსებული ერთი ფრაგმენტის თანახმად (1, 3, 34, 37),  
ულპიანუს დომიციუსი ზოგადად მოითხოვდა, რომ მხედველობაში ყოფილიყო  
მიღებული პროვინციებში მათი ჩვეულებები „კონსუეტუდო“ ან კიდევ „ვი-  
ვიტას“.

სხვადასხვა ხალხების სამართალში — „იუს გენციუმ“-ში იურისტები  
ზოულობდნენ ნორმებს, რომლებიც ემთხვეოდა „სამართლიანობას“, ueditas-ს  
ქართულად რომ ვთქვათ, „მართალ სამართალს“.

საერთო ნორმების არსებობას სხვადასხვა ხალხების სამართალში და ამ  
ნორმების ანალოგიების პოვნას რომის სამართალში იმ გარემოებით ხსნიდნენ,  
რომ ეს ნორმები დამახასიათებელია ყველა ხალხისათვის. ასე მაგალითად, მო-  
წობა და მონებზე ბატონების ძალაუფლების მართებულობა აღიარებულია  
ძრავალ ხალხში, მაშასადამე, ასეთი „რიგი“ სამართლიანია. ასევე, დამპყრობლის  
უფლება დაპყრობილი ხალხის ქონებაზე და მიწებზე, აგრეთვე, ადგილ-მამულ-  
ზე იმ პირის უფლება, ვინც პირველად დაეუფლა მას (ოკუპაცია) და დაამუშა-  
ვა იგი, ანტიკურ ხანაში მარადიულ ნორმებად ეჩვენებოდათ. ყოველ შემთხვე-  
ვაში, ასეთი შეხედულება გაბატონებული იყო.

ცნება „ბუნებრივად“, „თანახმად ბუნებისა“ — ლათინური „ნატურალი-  
ტერ“ — შესაძლებლობას იძლეოდა, ტრადიციები ნაწილობრივ მაინც დაეძ-  
ლიათ და ძველ „რიგთან“, ძველ განაწესებთან ახალი, დროის მოთხოვნილებით  
შექმნილი ნორმები შეეთანხმებინათ. პირველად, ახ. წ. პირველი საუკუნის  
ბოლოს მცხოვრებ იურისტთან იავოლენუსთან გამოკრთება თეზისი, რომელიც  
ემედგომ მრავალჯნის იქნება განვითარებულ-განახლებული იმის შესახებ, რომ  
მართალია, სამოქალაქო სამართლის მიხედვით, მონა არ შეიძლება იყოს რაიმე  
ქონების მესაკუთრე და ბატონი არ შეიძლება იყოს მონის მოვალე (დებიტო-  
რი), მაგრამ ბუნებითი სამართლის მიხედვით, მონას თავის პეკულიუმში ხელთ  
უპყრია („დახუთული“ აქვს — ძველი ქართული გამოთქმით რომ ვისარგებ-  
ლოთ). რამდენადაც მონა თავისი ქონების ხელთმპყრობელია — „ტენეტ ნატუ-  
რალიტერ“-ია, ამდენად ბატონი შეიძლება იყოს თავისი მონის მოვალე; რაც,  
ე. მ. შტაერმანის სიტყვებით რომ ვთქვათ, თავის ანალოგიას ზოულობს სენეკას  
ცნობილ მსჯელობაში იმის შესახებ, რომ მონას აქვს უნარი თავისი ბუნებით  
ბატონს სიკეთე მიავოს. მის შესაბამისად აღიარებდნენ, რომ მონას შეუძლია  
იკისროს ვალდებულება და, ამ ვალდებულების თანახმად, პასუხიც აგოს (დი-  
გესტები, 12, 6; 3; 44, 1; 14; 45, 1, 38, 718). ულპიანუს დომიციუსის აზრით,  
სამოქალაქო სამართალი მონას არარაობად თვლის, მაგრამ ბუნებრივი სამარ-  
თლის თანახმად, ყველა ადამიანი თნასწორია (დიგ. 50, 17, 32).

ე. მ. შტაერმანის მართებული შენიშვნით კანონმდებლის ნებისადმი უპი-  
რატესობის მინიჭება, კანონის სიტყვა-სიტყვით, ასოკირკტა გაგებასთან შე-  
დაარებით, ხოლო განზრახვისათვის მეტი ყურადღების მიქცევა მოქმედებასთან  
შედარებით, ნაწილობრივ განპირობებული იყო მაშინდელი კულტურის საერ-  
თო მიმართულებით, რომელიც უპირატესად ადამიანის შინაგან განცდებს ეკი-

37 ე. ლევი, „დასავლეთ რომის იმპერიის ვულგარული სამართალი“, ფილადელფია, 1953,  
გვ. 119 (ფნგლისურ ენაზე)

დებოდა ღრმა გულისყურით მის ქმედებასა და გარემოებებთან შედარებით. ხოლო ნაწილობრივ იმიტაც — რომ იმპერიის ხანის კანონმდებლებსა და იუ-რისტებს სურდათ, როგორმე ერთმანეთთან შეეთანხმებინათ „იუს გენციუმ“ (ხალხთა სამართალი) და „ექვიტას“ (სამართლიანობა). ასეთი შეხამება და მორიგება სხვადასხვა ხალხების სამართლისა და სამართლიანობისა მით უფრო აქტუალური იყო, რომ ხალხში სამართალი და სასამართლო კარგავდა პატივისცემას. ისინი სულ უფრო ნაკლები ნდობით სარგებლობდნენ. ასე, ფილოსოფოსი ეპიქტეტოსი (50-138), მოუწოდებდა დამორჩილებოდნენ ღვთაების კანონებს და არა ადამიანთა კანონებს — „მაზურიოსის და კასიოსის კანონებს“. საქებრად ითვლებოდა მოქალაქე, რომელსაც მთელ სიცოცხლეში საქმე არა ჰქონია სასამართლოში. ამას ეპიტაფიაშიც აღნიშნავდნენ. ახალი აღთქმის წიგნების მიხედვითაც, ადამიანი სასამართლოს უნდა გაერიდოს (მათე, V, 25; 26; ლუკა, მე-12-ე, 58-59). მოსამართლეთა უსამართლობა და ანგარება სათანადო წყაროებშიც აირეკლა. კიპრიანე კართაგენელის მიხედვით, ამა ქვეყნისა ძლიერთ არაფერი არ უღირთ მოსამართლის მოსყიდვა, ცრუ ბრალდების აღძვრა, კანონის გამრუდება.


კლავდიუს მეორე გოთიკუს მარკუს ავრელიუსმა (220-270), რომის იმპერატორმა, გამოსცა ედიქტი, რომლის თანახმადაც, ის მოდავე მხარე, რომელიც ისეთი წარჩინებული პირის პატროცინიას მიმართავდა, რომელსაც შეეძლო სასამართლოზე ზემოქმედება, საქმეს აგებდა. ამის შესახებ ცნობები ჩვენამდე არის შემონახული. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ღონისძიებას დიდი შედეგი არ მოჰყოლია, რადგანაც დიოკლეტიანეს ისევ მოუხდა ამ ედიქტის (დადგენილების) განმეორება. ამიტომაც, „ბატარა ადამიანები“ სასამართლოს არ თვლიდნენ ჩაგრულთა და ღარიბთა დამცველ ორგანოდ. რომ აემილებინათ სამართლისა და სასამართლოს ავტორიტეტი, რომის საზოგადოების ყველაზე შორსმჭვრეტელმა მოაზროვნეებმა და საზოგადო მოღვაწეებმა მოინდომეს პოზიტიური სამართლის და „სამართლიანობის“ შერიგება, მათი ერთმანეთან შეთანხმება<sup>38</sup>.

სიმპტომატურია ერთი გარემოებაც. რომში გაჩნდა ხატოვანი გამოთქმა „უმკაცრესი კანონი უკიდურესი უსამართლობაა“ („სუმუმ იუს სუმმა ინიურია“). საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო და უფრო უარყოფითად ეკიდებოდა მკაცრი კანონების უმკაცრესად განხორციელების იდეას. იმარჯვებდა შეხედულება, რომ კანონის ანბანს კი არ უნდა ვუკირაკიტოთ, არამედ კანონის აზრს, მის არსს უნდა ჩავწვდეთ. მთავარი ყურადღება ექცეოდა არა იმდენად ბრალდებულის მოქმედებას, რამდენადაც მის გულზრახვას.

ასე მაგალითად, თუ ძვ. წ. პირველ საუკუნეში გაქცეულად ითვლებოდა მონა, რომელიც თავის ბატონს ნამდვილად გაექცა, ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის დასასრულსა და მეორე საუკუნეში იურისტების თხზულებებში ჩნდება ჩამოყალიბებული შეხედულება, რომ მონას გაქცეულად ხდის მისი „სულიერი განწყობილება“. მონა შეიძლებოდა ჩაეთვალიათ გაქცეულად, თუ მას ჰქონდა განზრახვა — გაქცეოდა ბატონს, მაგრამ შეიძლებოდა ჩაეთვალიათ, რომ მონა არ გაქცევია ბატონს, თუ მონა ბატონის სახლიდან წავიდა გაქცევის გულისწყაღილიზ გარეშე (დიგ, 21, 17, 1-14; 43, 1).

იმპერატორმა ადრიანე პუბლიუს ელიუსმა (76-138) გამოსცა განკარგუ-

<sup>38</sup> ე. შ. შტაერმანი, ციტ. თხზ., გვ. 238.



ლება, რომლის მიხედვითაც განზრახვის გარეშე ჩადენილი დანაშაულისათვის, თუნდაც მკვლელობისათვის, შეიძლება ბრალდებულის გამართლება, მსგავსად იმ პირი, ვისაც კაცის მოკვლა სურდა აუცილებლად მკაცრად უნდა დასჯილიყო, თუნდაც მსხვერპლი შემთხვევით ცოცხალი გადარჩენილიყო ან მხოლოდ დაჭრილიყო (დიგ. 48, 8, 7).

გაიუსი (ახ. წ. II ს.), ცნობილი რომაელი იურისტი, გვასწავლის, რომ, როცა განვიხილავთ დანაშაულობათა შესახებ საქმეებს, პირველყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ ბრალდებულის დანაშაულებრივი ნება და არა მისი ქმედების შედეგი (დიგ., 46, 8, 14). პაულუს იულიუსი, ახ. წ. მესამე საუკუნეში მცხოვრები იურისტი, წერდა, რომ დასასჯელია გულზრახვა და არა ქმედება — „კონსილიუმ უნუსქვისქვე ნონ ფაქტუმ პუნიენდუმ ესტ“ (სენტენციები, V, 23, 3). ვანქორწინებისათვის, წერდა გაიუსი, მუდმივი საგანქორწინებო სულიერი განწყობილებაა საჭირო და არა უცაბედი რისხვა (დიგ., 24, 2, 3).

იმპერიის ხანის იურისტებში უკვე გამოკვეთილია ტენდენცია, რომ სასამართლო პროცესზე გამოვლენილ უნდა იქნეს კანონმდებლის ან კერძო პირის ნამდვილი ნება. ამ ტენდენციამ კეთილისმყოფელი ზეგავლენა მოახდინა სამართალგანვითარებაზე. იურისტ გაიუსს მოაქვს ასეთი მაგალითი: მავანმა სასამართლოში უჩივლა ვილაცას, რომ ამ უკანასკნელმა მისი ვენახი აჩეხა. სარჩელზე უარი ეთქვა მოსარჩლეს იმ საფუძველზე, რომ თორმეტი ტაბულის კანონების თანახმად, ვენახს უნდა ხეების სახით მოხსენიება და მის სარჩელში კანონის ეს მოთხოვნა არ იყო დაცული (გაიუსი, ინსტიტუციები, IV, II). ძველი ფორმაციის რომაული სამართლის ფორმალისტური შეზღუდვები უარყოფილ იქნა და კანონმდებლის ნების გამოვლენის ტენდენციამ გაიძარჯვა.

ამასთან დაკავშირებით ე. მ. შტაერმანი შენიშნავს: „მაგრამ იგივე ტენდენციამ ცხოვრებაში გამოიწვია რეალური თუ წარმოსახვითი, ყოველ შემთხვევაში, იშვიათი კაზუსების არაჩვეულებრივი დეტალიზაცია“.

იურისტები იხილავდნენ ასეთ შემთხვევას: მოანდერძემ ლეგატი დატოვა. „ლეგატი“ ერქვა მემკვიდრისთვის განაწესის მიცემას, რომ რომელიმე პირს გადასცეს გარკვეული ქონება; საანდერძო ლეგატი ანდერძად ნაკისრი იყო. ეს არ იყო მთელი მემკვიდრეობის დატოვება. საანდერძო ლეგატი ნიშნავდა გარდაცვლილის მხოლოდ ზოგიერთი ქონების (ან უფლების) გადაცემას ლეგატარისადმი. თუ ანდერძში ნათქვამი იყო, რომ ამა და ამ პირს ვუტოვებ ადგილმამულს ინვენტარით ან ადგილ-მამულს და ავეჯს, ჭურჭლეულობას ან მის ნაწილს ისე, როგორც ის იყო ჩემი გარდაცვალების დროს, სამართალმცოდნეებს უნდა გაერკვიათ ანდერძში ნახსენები ცნებების სამართლებრივი შინაარსი. კერძოდ, ეთქვათ, რა იგულისხმებოდა ინვენტარის ქვეშ და ა. შ. ზოგჯერ დაობდნენ, თუ რას ნიშნავს „ჭურჭლეულობა“, „ავეჯი“, „სამკაული“, „ნელსაცხებლები“, „ხელოსნები“ და ა. შ.

იურისტები დეტალურად მსჯელობდნენ იმის შესახებაც, თუ რა უნდა გვესმოდეს „მონის მანკის“ ცნების ქვეშ. ვინაიდან, ვაჭრობის ზოგადი წესის თანახმად, მონის გამყიდველს ან სხვა რომელიმე საქონლის გამყიდველს არ უნდა დაემალა მათი ნაკლი და თუ გამყიდველი გასაყიდი საქონლის ნაკლს დამალავდა, მყიდველს შეეძლო ნივთის უკან დაბრუნება, გადახდილი თანხის უკანვე

მიღება და გარდა ამისა, შეეძლო მანკიანი საქონლის გამყიდველისათვის კარიმის გადახდევინება. მონის მანკი შეიძლებოდა ყოფილიყო ორი სახისა: სხეულებრივი (სხეულისა) და სულიერი. იურისტები მსჯელობდნენ — მხევის უნაყოფობა ან მონის მიდრეკილება ექსტაზში ჩავარდნისაკენ უნდა ჩაითვალოს თუ არა მონის მანკად (დიგ., 21 2, 9-10), ასევე მონის უნარი და მიდრეკილება წინასწარმეტყველებისაკენ მის მანკად უნდა მიეჩნიათ თუ არა? ამ საკითხზეც წარმოებდა დავა.

იმპერიის ხანის იურისტები ზოგჯერ დაობდნენ ისეთ საკითხზეც, რომელიც თითქოს საერთოდ არ უნდა ყოფილიყო სადაო. მაგალითად, დედამ ვაჟიშვილს უანდერძა ქონება, მაგრამ მიიღო ცრუ ცნობა, რომ მისი ვაჟიშვილი ომში დაღუპა და თავისი ქონება უკვე სხვას უანდერძა. მაგრამ ვაჟიშვილი ომიდან ცოცხალი დაბრუნდა. ვინ უნდა მიიღოს მემკვიდრეობა?

გირაოდ გაიცა ტაბერნა (სამიკიტნო), გირაოდ ჩაითვლება თუ არა სამიკიტნოში მოთავსებული ნივთები? და თუ კრედიტორი სამიკიტნოში, მოთავსებულ ნივთს გაყიდის და მას სხვა პირი იყიდის და ისევ სამიკიტნოში შემოიტანს, შეუძლია თუ არა კრედიტორს მოითხოვოს ნივთი საპიპოთეკო სარჩელით? (დიგ., 29, 1, 34).


მოპქონდათ ასეთი წარმოსახვითი კაზუსიც: ჩემი უკანონო ვაჟიშვილი მონად იყო შენთან, ხოლ შენი — ჩემთან. ჩვენ მოვილაპარაკეთ მათი გააზატების შესახებ. მე შენი უკანონო ვაჟიშვილი გავააზატე, შენ კი ჩემი ვაჟიშვილი არ გაათავისუფლე. იურისტების წინაშე ისმოდა კითხვა: რა სარჩელის მეშვეობით შემეძლო მე შენი დევნა? (დიგესტები, 19, 5, 5).

არჩევდნენ ასეთ კაზუსსაც: ორნი მიდიან მდინარე ტიბრის ნაპირას, ერთმა მეორეს სთხოვა, შენი ბეჭედი მაჩვენეო, გამოართვა და მერე ბეჭედი მდინარეში გადააგდო. შეიძლება თუ არა მის წინააღმდეგ აღძრას სარჩელი „ჩადენის“ (მოქმედების) შესახებ? (დიგესტები, 19, 5, 23).

კიდევ ერთი კაზუსი: ანდერძში ასეთი პირობა იყო ჩაწერილი: რომელი ძმაც ამა და ამ ქალზე დაქორწინდება, მიიღებს მემკვიდრეობის 3/4-ს, ვინც არ დაქორწინდება — მემკვიდრეობის 1/4-ს, მაგრამ ქალი სხვას გაპყვა ან საერთოდ არ მოისურვა ქორწინება, ასე რომ, არცერთი ძმა არ დაქორწინებულა ანდერძში მინიშნებულ ქალზე. მიიღებენ თუ არა ძმები მემკვიდრეობის თანაბარ წილს, რამდენადაც მათზე არ იყო დამოკიდებული ანდერძში მოცემული პირობის შესრულება? (დიგ., 28, 7, 23). გაიუსი სვამდა საკითხს: თუ გარეული მხეცი ისეა დაჭრილი, რომ მისი შეპყრობა შეიძლება, მაშინვე ხდება თუ არა ის ჩვენი საკუთრება? ცნობილი რომაელი იურისტი ტრებაციუსი, ციცერონის, ცეზარისა და პორაციუსის მეგობარი, ფიქრობდა, რომ დაჭრილი მხეცი, რომლის შეპყრობაც შეიძლება, მანამდეა ჩვენი, სანამ ჩვენ მას ვდევნით, მაგრამ როგორც კი ჩვენ მის დევნას შევწყვეტთ, ის მისი კუთვნილება იქნება, ვინც მას შეიპყრობს. მაგრამ თუ ვინმე ხსენებულ დაჭრილ ნადირს მანამდე შეიპყრობს, სანამ ჩვენ მას ვდევნით, ჩადის ქურდობას (დიგ., 41, 1, 5, 1), სხვები ფიქრობდნენ, რომ დაჭრილი მხეცი მხოლოდ მაშინ ხდება ჩვენი საკუთრება, როდესაც ჩვენ ის შევიპყარით.

იურისტი პაულუს იულიუსი განმარტავდა რომ ხე, რომელიც ფესვებიანად ამოთხარეს და მეორე ადგილას დარგეს, სანამ ის არ გაიხარებს, ეკუთვნის წინანდელ მებატრონეს, ხოლო როცა ის გაიხარებს, იმ მიწის საკუთრებაა, სადაც ხარობს. მაგრამ თუ ხსენებულ ხეს ისევ ამოთხრით, ის არ შეიძლება მივაკუთ-





ვნოთ წინანდელ მებატრონეს, ვინაიდან, შესაძლებელია, ხე, რომელიც იკვე-  
ბებოდა სხვა ნიადაგიდან, საცხებით სხვა ხედ იქცა (დიგ, 41, 1, 26, 1).

ზოგჯერ ამა თუ იმ სამართლებრივ ნორმას კანონმდებელი მორალურ დასა-  
ბუთებას უძებნიდა. ძველ რომში მეუღლისათვის რაიმეს ჩუქება, ჩუქების ხელ-  
შეკრულების დადება იკრძალებოდა და თუ ასეთ რამეს ექნებოდა ადგილი, ის  
ბათილად ცხადდებოდა ვინაიდან, ქორწინება უნდა ემყარებოდეს სიყვარულსა  
და მეგობრობას და არა ანგარებას (დიგ., 24, 1). მოდესტინუსის განმარტებით,  
ქორწინება იყო „კონსორციუმ ომნის ვიტე“ — მეგობრობა, თანამონაწილეობა  
მთელი სიცოცხლის მანძილზე.<sup>39</sup>

პაულუს იულიუსი, III საუკუნეში მცხოვრები რომაელი იურისტი, ფიქ-  
რობდა, რომ ქმრის შეურაცხყოფელს ცოლი ვერ წარუდგენდა სარჩელს, ხო-  
ლო ცოლის შეურაცხყოფელს ქმარი წარუდგენდა სარჩელს, ვინაიდან, სამარ-  
თლიანობის იდეის თანახმად, სამართლიანობის მოთხოვნისამებრ ქმრებმა  
უნდა დაიცვენ ცოლები და არა პირიქით (დიგ, 47, 10, 2).

იგივე პაულუს იულიუსი განმარტავდა, რომ თუ ვინმე ვინმეს დაიხსნის  
მტრების ან ყაჩაღების ხელიდან და ამისათვის მიიღებს საჩუქარს, დაუშგე-  
ბელია, რომ ვინმემ ეს საჩუქარი მას წაართვას. ხსენებული საჩუქარი უნდა  
ჩაითვალოს არა განსაკუთრებულად მძიმე შრომის საფასურად, არამედ დაუ-  
ფასებელ რამედ, ვინაიდან, შეუძლებელია განსაზღვრული საფასურით შეაფასო  
ადამიანის ხსნა. (დიგ, 39, 5; 34). დიგესტებში გვხვდება ასეთი თეზისებიც:  
„თავისუფლება დაუფასებელია. თავისუფლება შეფასებას არ ექვემდებარება“.  
„თავისუფლებას უპირატესობა ეძლევა ყველა ნივთთან შედარებით“ (დიგ, 50,  
17, 106, 122).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომაელ იურისტებს ყოველთვის სურდათ მი-  
ეღწიათ იმისათვის, რომ მოეცათ ცნებათა ზუსტი განსაზღვრებანი, კაზუსები  
კი ამოეხსნათ უკვე ჩამოყალიბებული ცნებების, როგორც ინსტრუმენტების, სა-  
შუალებით. ყოველგვარი იურიდიული ურთიერთობა და იურიდიული გარი-  
გება ამ ჩამოყალიბებული ცნებების საშუალებით ანალიზდებოდა.

ნასყიდობა ნამდვილად ჩაითვლებოდა, თუ ნივთის საფასურად გადახდი-  
ლი იყო გარკვეული ფულადი თანხა. არ შეიძლებოდა მემკვიდრედ დაენიშნათ  
უცნობი, გაურკვეველი პირი. მაგალითად ის, ვინც პირველი გამოცხადდა  
მოანდერძის გასვენებაზე.

პომპონიუსის აზრით, არავინ არ შეიძლება ფლობდეს რაღაცის განუსაზ-  
ღვრელ ნაწილს. თუ ადგილ-მამულზე მრავალნი არიან და არ იციან, თუ ვინ  
მისი რა ნაწილის მფლობელია, მაშინ არავინ არ არის მფლობელი (დიგ., 41,  
2, 32, 2).

39 ე. მ. შტაერმანი, რომის სამართალი, გვ. 240. ქორწინების ის განსაზღვრა, რაც მოცემუ-  
ლია მოდესტინუსის მიერ, მოხვდა ბერძნულ ნომოკანონში და იქიდან მის ქართულ თარგმანშიც.  
ისე რომ, ქორწინების ის განსაზღვრება, რომელიც მოგვცა III ს-ის იურისტმა მოდესტინუს  
პერენიუსმა, საშუალო საუკუნეებში ცნობილი იყო ქართველი საზოგადოების ნაწილისთვის მა-  
ინც. „დიდ სჯულის კანონში“ ვკითხულობთ: „და სამოქალაქოცა სჯული იტყვის, რომელი  
უფროსი განსაზღვრელობს ქორწილისათა, დიგესტონი, პირველი მეორისა ნაწილისა ოცდამე-  
სამისა წიგნისაი; ვითარმედ ქორწინება არს თანაყოფაი მამაკაცისა და დედაკაცისაი და თანამო-  
ნაწილეობაი ყოვლისა ცხოვრებისა მათისაი, ხალმროთისა და კაცობრივისაი მართლითა ზიარე-  
ბითა და ამისა საზღვრისაებრ ჭერაარსო ქორწინებითა შეერთებულთა თანამკუთვენელ ყო-  
ფად“. იხ. „დიდი სჯულისკანონი“. გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიაშვილმა, ე. გიუნაშვილმა,  
მ. ლალაქიძემ, გ. ნინუამ, გამ. „მეცნიერება“, თბ., 1975, გვ. 200.

ზოგი მკვლევარის მოსაზრებისა არ იყოს, ასეთი დეტალიზაცია და ასეთი აკუმულაცია სადაო შემთხვევებისა ართულებდა სასამართლო პროცედურას. რამდენადაც ერთი და იმავე პრეტენზიის დაკმაყოფილების მიზნით შეიძლებოდა რამდენიმე სახეობის სარჩელის აღძვრა და მოსარჩელეს თუ მის კონსულტანტს აქედან უნდა აერჩია მისთვის (მოსარჩელისათვის) ხელსაყრელი სარჩელი. მაგალითად, რაიმეს ძალით მოტაცებისათვის კანონით შეიძლებოდა ისეთი სარჩელის აღძვრა, რომელიც ითვალისწინებდა გატაცებული ნივთის საფასურის ორმაგ ან ოთხმაგ ანაზღაურებას, სურვილის მიხედვით, მოსარჩელეს შეეძლო მოეთხოვა მოპასუხის სისხლის სამართლის წესით დასჯაც (გაიუსი, ინსტიტუციები, IV, 2; დიგ; 3, 3, 4).

საერთო რიგის თანახმად, ხუნდებისაგან გათავისუფლებული სხვისი მონისათვის, თუ ის ქურდობდა, შეიძლებოდა სარჩელის წარდგენა. მაგრამ თუ გაირკვეოდა, რომ ბატონმა მონა ხუნდებისაგან იმიტომ გაათავისუფლა, რომ ის შეეცოდა, მაშინ ქურდი მონის მიმართ უნდა აღძრულიყო „სარჩელი“<sup>40</sup> ქმედების შესახებ“ (დიგ. 4, 3, 7, 7).


რომში, ერთი მხრივ, მონები ბატონების, ხოლო მეორე მხრივ, მამის ძალაუფლების ქვეშ მყოფი ვაჟიშვილები მამების საქმეებს აწარმოებდნენ. არაიშვიათად წამოიჭრებოდა საკითხი მონებისა და მამის ძალაუფლების „პატრია პოტესტატის“ ქვეშ მყოფი პირებისათვის სარჩელის წარდგენის შესახებ. მონისა და მამის ძალაუფლების ქვეშ მყოფი შვილისათვის შეიძლებოდა სარჩელის წარდგენა, თუ ის საზღვაო-სახომალდო ტვირთზიდვის საქმეს განაგებდა. ან რომელიმე წარმოების სათავეში იდგა. ისეთი სარჩელებიც არსებობდა, როდესაც მონა ან მამის ძალაუფლების ქვეშ მყოფი ვაჟიშვილი მიყენებულ ზიანს ნაწილობრივ ანაზღაურებდა თავისი ქონებიდან, ხოლო სხვა ნაწილს ბატონი ან ოჯახის მეთაური ანაზღაურებდა.

შეიძლებოდა ისეც მომხდარიყო, რომ ბატონი ყოფილიყო მონის კრედიტორთა შორის. მაშინ მონის პეკულიუმს პროპორციულად გაიყოფდნენ კრედიტორები, რომელთა შორის ბატონიც იყო. ანალოგიური ურთიერთობა შეიძლებოდა ყოფილიყო მამასა და მის ძალაუფლების ქვეშ მყოფ ვაჟიშვილს შორისაც.

კრედიტორს შეეძლო სარჩელი აღეძრა მონის პეკულიუმის მიმართ, მაგრამ შეეძლო აღეძრა სხვა სახის სარჩელიც, რომელიც გულისხმობდა მონის მხრივ ბატონის საქმის საწარმოებლად დახარჯულ თანხასთან დაკავშირებულ პრეტენზიებს. კრედიტორი აფასებდა საქონლის მასას, რომელიც მონის პეკულიუმში შედიოდა, აგრეთვე იმ თანხას, რაც მონამ დახარჯა ბატონის საქმის საწარმოებლად და ირჩევდა სარჩელს (დიგ., 2, 13, 4, 3; აგრეთვე, 14, „. 11; იქვე 15, 3, 16. გაიუსი, ინსტიტუციები, IV, 69-74).

თუ ვინმე სხვის მონას ურჩევდა, რომ ბატონს გაქცეოდა და თანაც მას ამ საქმეში დაეხმარებოდა, მონის პატრონს მის მიმართ შეეძლო წაეყენებინა

<sup>40</sup> „სარჩელის“ თავდაპირველი მნიშვნელობა არც ქართულში და არც სხვა ენებში წმინდა სამოქალაქო სამართლებრივი არ უნდა ყოფილიყო. „დიდ სჯულსკანონში“ სარჩელი შეესაბამება ვისებო ლათინურ „კონგრესიუსს“, სადაც ის შეეხება-შეტაცებას. ბროდოს უკავშირდება „სარჩელი“ დღევანდელი მნიშვნელობით საუკუნეების განმავლობაში მკვიდრდებოდა. გვხვდება გამოთქმა „სარჩელი და საზიდი“. სარჩელის მნიშვნელობით „დიდ სჯულსკანონში“ გვხვდება საბჭო, სამართალი, სჯა, ხოლო სერვიტუტის მნიშვნელობით — „საქმე“, იხ. „დიდი სჯულსკანონი“, 1975, გვ. 600.



სარჩელი ან მონის მოპარვის შესახებ ან-მონის გაფუჭების, გარყვნის შესახებ (ლიგ. 9, 3, 1-5; 11, 3, 5, 3; იუსტიციანის კოდექსი 20, 2). თუ მის მიერ იჯარით აღებულ მიწაზე ხეებს გაანადგურებდა (მოკრიდა), მიწის პატრონს შეეძლო მის მიმართ სარჩელი აღედრა სხვადასხვა საფუძველზე. შეეძლო აერჩია სარჩელი იჯარის შესახებ თორმეტი ტაბულის კანონების საფუძველზეც და აკვილიუს მანუსის (ძვ. წ. II-I ს. დასაწყისი) კანონის საფუძველზეც, მიყენებული ზიანის შესაბამისად და ა.შ.

ე. მ. შტაერმანი მართებულად მიუთითებს რომის სამართლის სირთულის შესახებ და იმასაც აღნიშნავს, რომ ეს გარემოება შეგნებული ჰქონდათ თვით რომაელებსაც და პირველ რიგში, ისეთ მოღვაწეს, როგორც იყო ციკერონი, რომელიც მოითხოვდა სამართლის გარკვეულ სისტემატიზაციასა და მოწესრიგებას, იმას, რომ სამართალი ნამდვილ ხელოვნებად გადაექციათ. იმპერიის ხანაში ასეთი სამუშაო რამოდენიმეჯერ იქნა წამოწყებული. როგორც ცნობილია, პირველ ასეთ, ჩვენამდე მოღწეულ სამართლის სისტემატიზაციას წარმოადგენს გაიუსის „ინსტიტუციები“. გაიუსი იწყებს ბუნებითი სამართლის „იუს გენციუმ“-ის და სამოქალაქო სამართლის განსაზღვრით. შემდეგ ის ახასიათებს სამართლის წყაროებს და გადადის მისი ცალკეული ნაწილების დახასიათებაზე. დახასიათებულია: სამართალი, რომელიც პირებს ეხება; სამართალი, რომელიც ნივთებს ეხება; სარჩელები და სამართალწარმოების წესი. პირთა სამართალს ის იწყებს ადამიანების, მათი სტატუსის მიხედვით დაყოფიდან — თავისუფლად შობილებად, მონებად და გააზატებულებად. გაიუსი ადასტოვებს ყოფს აგრეთვე მათი სამოქალაქო კუთვნილების მიხედვითაც — რომის მოქალაქეებად, ლათინებად, პერეგრინუსებად (უცხოელებად) და დედიტიციუსებად (დაპყრობილ, ქვეშევრდომ იტალიკებად). თავის მხრივ, რომის მოქალაქეები იყოფიან უფლებათუნარიან პირებად („სუი იურის“) და ოჯახის უფროსის ძალაუფლებას დაქვემდებარებულებად („ალიენი იურის“). ამასთან დაკავშირებით, განხილული იყო მოქალაქეობის შეცვლის შესაძლებლობებიც. პერეგრინუსების და ლათინების მიერ რომის მოქალაქეობის მიღება, განხილული იყო აგრეთვე სტატუსის შეცვლის საკითხიც. მაგ, მონის გააზატება და შვილების გათავისუფლება მამის ძალაუფლებისაგან ხდებოდა მისი სიმბოლურად სამგზის გაყიდვით და შემდეგ თავისუფლად გაშვება-გათარხნებით.

რომის კანონმდებლობა იცნობდა აგრეთვე სტატუსის შეცვლას უარესი-საკენ სამი სახის „კაპიტე დემინუციო“-ს მეშვეობით: 1. თავისუფლებისა და მოქალაქეობის დაკარგვას (დამნაშავეების მიმართ, იმ პირთა მიმართ, ვისაც მიესაჯა კუნძულზე გადასახლება ან საკატორღო მუშაობა მალაროებში); 2. მოქალაქეობის დაკარგვა თავისუფლების შენარჩუნებით (შედარებით მსუბუქი დანაშაულისათვის, რომელიც სასჯელად გასახლებას ითვალისწინებდა); 3. სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლა თავისუფლებისა და მოქალაქეობის შენარჩუნებით (მამის ძალაუფლებისგან გათავისუფლება (ემანსიპაცია) ან ვაჟი-შვილად აყვანა, მამის ძალაუფლებასთან დაკავშირებით გაიუსი ჩამოთვლის კანონიერი ქორწინების ყველა სახეობას, რამდენადაც მხოლოდ კანონიერი ქორწინების შედეგად გაჩენილი შვილები ექცეოდნენ მამის ძალაუფლების ქვეშ.

გაიუსი ნივთების ასეთ კლასიფიკაციას იძლეოდა: ნივთები იყოფა ქონებაში შემავალ და ქონების გარეთა ნივთებად, აგრეთვე ღვთაებრივი და ადასტოვებული სამართლის ნივთებად. ეს უკანასკნელნი თავის მხრივ, იყოფოდნენ სა-

ზოგადობრივ და კერძო ნივთებად, საზოგადოებრივი ნივთები არ შეიძლება ჩაერთოთ ვინმეს ქონებაში; ისინი მოქალაქეთა ერთობლიობის ქონებად ითვლება, ხოლო კერძო ნივთები — ცალკეულ ადამიანთა კუთვნილებად. ვინცაღას, გაიუსი ნივთებს ყოფდა სხეულებრივ და უსხეულო ნივთებად. ამ უკანასკნელებს ხელით ვერ შევხებით, ისინი სხვადასხვანაირი უფლებებისაგან შედგება, როგორცაა მაგალითად, მემკვიდრეობის უფლება, უზურფრუქტუსი, ვალდებულებები, სერვიტუტები, განკარგვა. „განსხვისების ფორმის მიხედვით, გაიუსი ნივთებს ყოფდა „რეს მანციპი“-ად „რეს ნეკ მანციპი“-ად.<sup>41</sup>

ე. მ. შტაერმანს მოაქვს რა გაიუსის ინსტიტუციებიდან ზემოთ მოტანილი ამონაწერები, არ განმარტავს, თუ რას ნიშნავდა „რეს მანციპი“ და „რეს ნეკ მანციპი“, გულისხმობს რა იმას, რომ მკითხველმა ეს საკითხი ასე თუ ისე იცის.<sup>42</sup>

გაიუსი თავის ზემოხსენებულ ნაშრომში განიხილავს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ნივთების გასხვისების ფორმებს, აგრეთვე იმ ნივთებზე საკუთრების საკითხს, რომლებიც სხვისი მასალიდინაა დამზადებული, რომის იურისტები ამ საკითხზე მწვავედ დაობდნენ, ერთნი ფიქრობდნენ, რომ მასალას უნდა მიეკეთ პრიორიტეტი, ხოლო სხვები შრომას თვლიდნენ საკუთრების უფლების წარმოშობის უმთავრეს წყაროდ.


გაიუსი დეტალურად იხილავდა ქონების შექმნის სხვადასხვა შესაძლებლობას — პირადად ან იმათი მეშვეობით, რომლებიც სხვისი ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ.

გაიუსი, პირველყოვლისა, განიხილავს საკუთრების შექმნას მემკვიდრეობისა და ანდერძის მეშვეობით. ანდერძის ტიპებს, მათი შედგენის წესს, საკითხს, თუ როდის შეიძლება ჩაითვალოს ანდერძი ნამდვილად ან ბათილად, განხილულია საკითხი, თუ ვინ ითვლებოდნენ მემკვიდრეებად. ასეთები იყვნენ მონადერძის ის შვილები და შვილიშვილები, რომლებიც მისი ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ. „აუცილებელ“ მემკვიდრედ ითვლებოდა მონა, რომელმაც ანდერძით მიიღო თავისუფლება და ქონება. ასეთი ანდერძის გაუქმება ჩვეულებრივ არ ხდებოდა: „აუცილებელ“ მემკვიდრეებად ჩაითვლებოდნენ აგრეთვე გარეშენი, რომელთაც ანდერძით ქონება ერგებოდათ.

ყველა მემკვიდრე, მონების გარდა, ვალდებული იყო, გარკვეული დროის მონაკვეთში, პასუხი გაეცა კითხვაზე — ღებულობდა თუ არა მემკვიდრეობას; და თუ მემკვიდრეობის მიღებაზე უარს არ იტყოდნენ, ამით ვალდებულებას კის-

<sup>41</sup> „რეს“ სიტყვას ლათინურში 17 სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა, რომელთაგან უმთავრესი იყო „ნივთი“ და „საქმე“. ხოლო „მანციპიუმ“ ნიშნავდა იურიდიულად გაფორმებულ ნასყიდობას, ზოგჯერ საკუთრების უფლებასაც კი. „რეს მანციპი“ ციკერონთან ნიშნავს პირად საკუთრებასაც. სენეკასთან ვხვდებით ასეთ ლათინურ ანდაზას: „ნიპილ დატ ფორტუნა მანციპიო“ — ბედი არაფერს არ იძლევა სამუდამო საკუთრებაში.

<sup>42</sup> „რეს მანციპი“-ს განეკუთვნებოდა: 1. მიწები იტალიაში, 2. მონები, 3. შინაური ცხოველები, რომელთა შემდეგ უფელში შეიძლებოდა ან რომლებზეც შეიძლებოდა უნაგირი დაეღათ. 4. სასოფლო და საქალაქო სერვიტუტები. ეს უკანასკნელი გულისხმობდა გარკვეულ ვითარებაში სხვისი ნივთით სარგებლობის უფლებას, ყველა სხვა ნივთი ე. წ. ბრუნვის ნივთები — „რეს ინკომპერტირ“-ს შემადგენლობაში რომ შედიოდა „რეს ნეკ მანციპი“-ს წესით განიკარგებოდა. „რეს მანციპი“-ს კატეგორიის ნივთებზე საკუთრების უფლება ერთი პირის ხელიდან მეორეზე გადადიოდა განსაკუთრებული სახიმო აქტით — „მანციპაციო“-ით, ხოლო „რეს ნეკ მანციპი“-ს ნივთებზე — უბრალო გადაცემით („ტრადიციო“). იხ. ვ. მ. ბეოსტოვა „რომის სამართლის ისტორია“, მე-7-ე ვაგ, მ, 1919, გვ. 106-107, ნ. ბეანოვი „რეს მანციპი და რეს ნეს მანციპი“, ყაზანი, 1914 წ. (რუსულ ენაზე).



რელობდნენ დაეკმაყოფილებინათ განსვენებულის მემკვიდრეობის კრედიტორები და შეესრულებინათ ყველა მისი განკარგულება ლეგატებისა და ფინანსკომისიების შესახებ. რომლებიც გარკვეული ფორმულის სახით დგებოდა.

გარკვეული ფორმულების დაცვით დგებოდა სხვადასხვა გარიგებები. თითოეულ მათგანს გაიუსი განიხილავს ცალ-ცალკე და მითითებულია თუ რა ფორმით უნდა დაიდოს თითოეული მათგანი, რომ ისინი ნამდვილად ჩაითვალოს მაგალითად, ნასყიდობა (ყიდვა-გაყიდვა) ნაღდი ფულით. (ნივთის ნივთზე გაცვლა არ ითვლებოდა ნასყიდობად).

გარკვეული ფასი დათქმული უნდა ყოფილიყო იჯარის შემთხვევაშიც. საინტერესოა, რომ გაიუსი შენიშნავს: ყოველთვის ნათელი არ არის, საქმე გვაქვს ნასყიდობასთან, თუ იჯარასთან. (მაგალითად, ქალაქის მიწების სამუდამო იჯარა, ან იუველირისათვის შეკვეთის მიცემა — დაამზადოს ბეჭედი საკუთარი მასალით, როდესაც მასალის ყიდვა ერწყმოდა იუველირის შრომის იჯარას).

რომის სამართალი იცნობდა დელიქტებიდან წარმოშობილ ვალდებულებებსაც. ქურდობის, ზიანის მიყენებისა და შეურაცხყოფისათვის დამნაშავე მხარეს ეკისრებოდა გარკვეული ვალდებულებები. ყველა ეს დელიქტი თავის მხრივ იყოფოდა სხვადასხვა სახედ. მაგალითად, ქურდობა შეიძლება ყოფილიყო აშკარა, როდესაც ქურდი დანაშაულის ადგილზე შეიბყრეს, ან ფარული, არააშკარა, როცა მპარავი არ იყო დაჭერილი, მაგრამ მას უპოვეს ნაქურდალი ნივთი და, როცა ვინმე ნაქურდალს მალავდა. ქურდობის პირველი სახეობისთვის ქურდს უნდა აენაზღაურებინა ნაქურდალი ოთხმაგად, მეორე სახეობისთვის — ორმაგად. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს რომის სისხლის სამართლის შედარებით ჩამორჩენილობასთან. როდესაც ქურდობას ჯერ კიდევ საჯარო დარღვევად არ თვლიდნენ და მას სახელმწიფო სასჯელით არ სჯიდნენ.<sup>43</sup>

ძველ რომში ასეთი წესი იყო: ვინც თავის ნივთს ეძებდა, მიდიოდა ქურდთან მოწმებებთან ერთად. ნივთის პატრონი, გაქურდული, მიდიოდა შიშველი, მხოლოდ წვივისხვევშემოხვეული და მას ხელებით თასი ეჭირა. ეს განგებ კეთდებოდა. ხელები დაკავებული უნდა ჰქონოდა იმიტომ, რომ არ ჰქონოდა საშუალება, რაიმე მიეგდო ბრალდებულისათვის.

ქურდობის ცნება შედარებით ვრცლად ესმოდათ ძველ რომში. შესანახად შიბარებული ნივთით სარგებლობაც ქურდობად ითვლებოდა ქურდობისთვის წაქეზებასაც ქურდობად თვლიდნენ, მაგრამ, საერთო ტენდენციის შესაბამისად, მხედველობაში მიიღებოდა გულზრახვა. ქურდად ჩაითვლებოდა მხოლოდ ის, ვისაც გააჩნდა ბოროტი განზრახვა სხვისი ნივთის მითვისებისა.

<sup>43</sup> ქურდობა საჯარო, სახელმწიფო მნიშვნელობის დანაშაულად თვით VI ს.-შიც, იმპერატორ იუსტინიანეს კანონმდებლობის მიხედვითაც, არ ითვლებოდა. ე. ი. ძველი სახელმწიფო-კრიმინალის კლასიკური ქვეყანა — რომი, ქურდობას „პრივატა დელექტა“ — კერძო პირთა ინტერესების დარღვევად თვლიდა და დამნაშავეს საჯარო საწყისებზე არ სჯიდა. საფიქრებელია, რომ იუსტინიანეს კანონმდებლობაში აისახა ხმელთაშუაზღვის სამყაროს სამართლისა და სახელმწიფოებრიობის უმაღლესი დონე, მაგრამ ეს ისტორიული სიმადლეც საქმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ქურდობაში სახელმწიფო ინტერესების დარღვევა დაენახათ, დაენახათ დანაშაული და არა გადაცდომა. კლასიკური რომის სამართალი ისე ჩაიფერფლა, რომ ქურდობას კერძო ხასიათის გადაცდომად თვლიდა. საქმარისი იყო ნაქურდალის უბრალოდ დაბრუნება ან მისი ორმაგი, ოთხმაგი და ა. შ. ფასის გადახდა დარღვეული უფლების აღსადგენად. სხვას არაფერს თვლიდნენ საჭიროდ. მხოლოდ ბიზანტიაში VIII ს.-ში — „ეკლოგის“ მიხედვით, ქურდობა ჩაითვალა საჯარო დანაშაულად. იხ. ვ. გ. ვასილევსკი, შრომები, ტ. IV, 1930, გვ. 176. (რუს.).

შეურაცხყოფაც რამდენიმე კატეგორიად იყოფოდა: ის შეიძლებოდა ყოფილიყო მარტივი და მძიმე შეურაცხყოფა და იგი შეიძლებოდა მიეყენებინათ არა მარტო თავისუფალი მამაკაცისათვის, არამედ მისი ცოლისა და შვილებისათვის? თვით მონისათვის მძიმე, უღმობელ შეურაცხყოფად ითვლებოდა გაროზგვა საერთოდ, მაგრამ განსაკუთრებით მძიმედ ითვლებოდა გაროზგვა თეატრში, სახალხოდ ან გაროზგვა ფორუმზე. შეურაცხყოფის სიმძიმის განსაზღვრის დროს ყურადღება ექცეოდა შეურაცხყოფილის და შეურაცხმყოფელის პიროვნებას. თუ პლებეი, დაბალი მდგომარეობის პირი გაროზგავდა მაგისტრატს ან სენატორს, ეს უფრო მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, ვიდრე პირიქით.


გაიუსის ინსტიტუციების უკანასკნელ წიგნში განხილული იყო სარჩელები გამომდინარე კონტრაქტებიდან ან დელიქტებიდან. სარჩელები ეხებოდა ნივთებს. შეიძლებოდა სარჩელის საგანი ყოფილიყო სხეულებრივი ან უსხეულო. ზოგჯერ მოსარჩელეს შეეძლო მოეთხოვა როგორც მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება, ასევე, მოპასუხის დასჯაც, თუ კი მას ეჭონება ძალის გამოყენებით, ყაჩაღობით წაართვეს. გაიუსი ჩამოთვლის სარჩელების უძველეს სახეებს, რომელსაც წინათ მიმართავდნენ, მაგრამ შემდეგ — ახ. წ. II ს-ში — უკვე მივიწყებული იყო. აქვე გაიუსი ჩამოთვლის იმ სარჩელების სახეებს, რომლებსაც მისი თანამედროვეები მიმართავდნენ, მოაქვს მათი შესატყვისი ფორმულები, გადმოგვცემს საპროცედურო წესებსაც.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაობდნენ რომის მოქალაქეები ან ერთის მხრივ, რომის მოქალაქე, ხოლო მეორე მხრივ, პერეგრინუსი, გარკვეული წესი არსებობდა მათი დავის გადაწყვეტისა. გარკვეულ ვითარებაში პერეგრინუსის მიმართ დაიშვებოდა ფიქცია, რომ ის რომის მოქალაქეა, ეს ზღებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც დავა, სარჩელი ეფუძნებოდა იმ კანონებს, რომლებიც პერეგრინუსებზეც ვრცელდებოდა. ასეთი იყო აკვილიუსის კანონი ზიანის მიყენების შესახებ და კანონები ქურდობის შესახებ.

გაიუსის „ინსტიტუციებში“ სარჩელების შესახებ განყოფილებას ემიჯნება მასთან უშუალოდ დაკავშირებული განყოფილება ინტერდიქტების და მაგისტრატების დეკრეტების შესახებ (პრეტორებისა და პროკონსულებისა). რომის სამართლის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს პრეტორების და პროკონსულების დეკრეტებმა. ინტერდიქტებიც პრეტორების განკარგულება იყო უპირატესად საკუთრების საკითხებზე. „დიგესტებში“ ცხსენიება „ინტერდიქტუმი“ საკუთრების აღდგენის შესახებ, „ინტერდიქტუმი“ საკუთრების შექმნის შესახებ და ა. შ. „ინტერდიქტუმი“ ლათინურად ნიშნავს აკრძალვას. ინტერდიქტები და დეკრეტები რისამე ნებას იძლეოდნენ ან რაიმეს კრძალავდნენ. ინტერდიქტებითა და დეკრეტებით ხელმძღვანელობდნენ მოსამართლეები.

გაიუსის „ინსტიტუციების“ უკანასკნელი პარაგრაფები ეძღვნება იმ პირთა დასჯის საკითხებს, რომლებმაც სასამართლოში უჩივლეს იმათ, რომელთა მიმართაც ჩივილის უფლება მათ არ გააჩნდათ. (მშობლები, პატრონები და მათი შვილები). ისჯებოდნენ აგრეთვე ის პირებიც, რომელთაც სარჩელი იმიტომ წამოიწყეს, რომ მოპასუხის პატივი ან ღირსება შეეღაზათ.

სამართლის ნაწილების კლასიფიკაციის შესახებ წერდნენ იურისტები — ულპიანე (იგივე ულპიანუს დომიტუსი), პერმოგენიანუსი, ფლორენტიუსი, და სხვები, რომელთა თხზულებების ფრაგმენტები მოთავსებულია „დიგესტებში“.



ში“. იურისტებმა გამოაცალკევეს სახელმწიფო სამართალი („იუს პუბლიკუმ“). სახელმწიფო სამართლის ნორმები აწესრიგებდნენ რომის სტატუსს, საზოგადოებრივ სარგებლობას, ქურუმების, მაგისტრატების საქმიანობას, ღვთაება — მღვდელთმსახურებას და საერთოდ, იმ ურთიერთობებს, რაც მთელი საზოგადოების ინტერესების სფეროში იყო მოქცეული.

კერძო სამართალს შეადგენდა იმ ნორმების ერთობლიობა, რაც ეხებოდა კერძო პირთა სარგებლობას, კერძო პირთა ინტერესებს და შედგებოდა ბუნებრივი მოთხოვნებისაგან. იგულისხმებოდა სამართალი, რომელიც საერთო ადამიანთა მთელი მოდგმისათვის. ყველა ხალხის მართლშეგნებაშია ჩაქსოვილი ღმრთისმსახურების აუცილებლობა. ღმერთების პატივისცემა, მშობლებისა და სამშობლოს სამსახური, ძალადობისაგან თავის დაცვა, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა, ომი, სამეფო ხელისუფლება, მიწების გამოჩვენა, ყიდვა-გაყიდვა (ნასყიდობა), იჯარა, ვალდებულებები, მონების გააზატება და თვითმონობა, ბუნებითი სამართლის თანახმად, ყველა ადამიანი თავისუფალი იბადება; დაბოლოს, საერთოდ ადამიანების დაყოფა თავისუფლებად, მონებად და გააზატებულებად; სამოქალაქო სამართალი შედგება კანონებისაგან, პლებისციტისაგან, სენატუსკონსულტუმისაგან (სენატის დადგენილება), პრინციპების გამოცემული დეკრეტებისაგან, სამართალმცოდნეთა კომენტარებისაგან (დიგ., 1, 1-7). უღობიანუს დომიციუსის მიხედვით, სამართალი გვავალებს ვიცხოვროთ პატიოსნად, არავის არ ვავნოთ, ყველას თავისი მივაგოთ, ხოლო სამართლის ცოდნა — იურისპრუდენცია — ესაა ღვთაებრივი და ადამიანური საქმეების ცოდნა. ცოდნა იმისა, თუ რა არის სამართლიანი და უსამართლო (დიგ. 1, 1, 10). პაულუს იულიუსი, III საუკუნის ცნობილი იურისტი, სამართლის სხვადასხვა სახეების განსხვავებულ განსაზღვრებას იძლევა: ბუნებითი სამართალი ემთხვევა კეთილსა და სამართლიანს, სამოქალაქო სამართალი კი — ესაა ის, რაც „ცივიტას“-ში (თემობა, ქალაქი, სამოქალაქო, საზოგადოება, სახელმწიფო) ყველასათვის ან უმრავლესობისათვის სასარგებლოა (დიგ; 1, 1, 11).

რომის სახელმწიფოსა და საზოგადოებაში დიდი ყურადღება ექცეოდა სამართლისა და მასთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებას. ამის შესახებ მეტყველებს რომელი იურისტების მრავალრიცხოვანი თხზულებები, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს დიგესტებში ფრაგმენტების სახით. მეცნიერი იურისტები წერდნენ კანონების და ედიქტების ვრცელ კომენტარებს. არჩევდნენ სადამო საკითხებს, იძლეოდნენ დეფინიციებს. გადააქციეს რა სამართალი „ხელოვნებად“, იმპერის ხანის იურისტები ძირითადად იმავე კლასიფიკაციას იზიარებდნენ, გარკვეული ვარიანტების დაშვებით, რასაც გაიუხსი. როდესაც VI საუკუნეში სამართლის კოდიფიკაცია დამთავრდა, აღმოჩნდა, რომ იუსტინიანეს კოდექსსა და დიგესტებში შენარჩუნებულია დაახლოებით იგივე რუბრიკაცია, რაც გაიუხსის ინსტიტუციებში. სამართალმცოდნეები ძირითადად ყურადღებას აქცევდნენ საკუთრების საკითხებს და განსაკუთრებით, საკუთრების შექმნას მემკვიდრეობის მეშვეობით (მემკვიდრეობას, ლეგატს, ფიდეიკომის ეძღვნება დიგესტების ოთხი წიგნი). მემკვიდრეობა ითვლებოდა ყველაზე უფრო კანონიერ და მტკიცე უფლებად ქონებაზე (დიგ., 41, 1, 2, 3, 4).

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, რომის სოციალურ პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმპერატორისადმი დასმულ კითხვებზე გაცემულ პასუხებს. იუსტინიანეს კოდექსში თავმოყრილი იყო იმპერატორების პასუხები იმ შეკითხვებზე, რომლებითაც მას მიმართავდნენ მთხოვნელები, დავების

დროს წარმოშობილი საკითხების გასარკვევად. იმპერატორები არჩევდნენ ცალკეულ საჩივრებს, აკმაყოფილებდნენ და უარყოფდნენ თხოვნებს ცალკეულ საკითხებზე და იძლეოდნენ სათანადო მითითებებს. თვით ფაქტი, რომ იმპერატორებს მიმართავდნენ ასე ხშირად, მიუთითებს იმის შესახებ, რომ არც სამართლებრივი ცოდნა, არც სამართლებრივი დაცვა არ იდგა სათანადო სიძალეზე და იმპერატორებსა და მის სამსახურში მყოფ იურისკონსულტებს უხდებოდათ იმ წვრილმანი საკითხების დეტალებში გარკვევა, რომელიც მოსამართლეს უნდა გაეკეთებინა.

ასე, იმპერატორი მარკუს აგრელიუს სევერუსი (208-235) სათანადო მომართვის საბასუხოდ იძულებული ხდება განმარტოს, რომ თუ ვინმე აპოლინარიოსმა იკითხა რომ ჯოგის მოვლა-პატრონობა და მისი საბალახოზე ტარება მონაწილეობის პირობითაა, ნამატი უნდა გაიყოს ჯოგის მესაკუთრესა და მწყემსს შორის და მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულება. იგივე იმპერატორი ვინმე კარპუსს წერს, რომ თავისუფლად შობილის სტატუსის დასამტკიცებლად საკმარისი არ არის მოწმეთა ჩვენება, საჭიროა სათანადო დოკუმენტების წარმოდგენა (იუსტინიანეს კოდექსი, IV, 20, 2). აგრელიუს პანუსი ჩივის იმპერატორთან, რომ ის საკუთარმა მონებმა მონად გაყიდეს იმ პირობით, რომ მყიდველს ის სამშობლოდან გაეყვანა. ბატონმა აგრელიუს პანუსი თავის მხრივ სხვას მიჰყიდა, ამ უკანასკნელმა კი ის გაათავისუფლა, აგრელიუს პანუსი სთხოვს იმპერატორს, აღუდგინოს მას თავისუფლად შობილის სტატუსი. იმპერატორი უბრძანებს მას მიმართოს მოსამართლეს, რომელიც ვალდებულია დასაჯოს ასეთ ბოროტმოქმედებაში მონაწილე მონები (იუსტ. კოდექსი, IV, 55, 5).

იმპერატორი ანტონიუს გორდიანუს პიუს ფელიქსი (238-244) წერდა კვინტილიანუსს, რომ თუ მისმა მონებმა მისი (კვინტილიანუსის) სურვილის წინააღმდეგ მოჭრეს ხეები, რომელიც „სალტუსის წესდების“ თანახმად, კოლონს არ უნდა მოეჭრა, მას არ უნდა ჰქონდეს შიში, რომ მონების ნაცვლად ის აგებს პასუხს, საკმარისია დამნაშავე მონები გასცეს დასასჯელად. (იუსტ. კოდ. III, 34, 2). იგივე იმპერატორი განუმარტავს პომპონიუს საბინუსს, რომ კოლონის მემკვიდრე ვალდებულია, როგორც მისი მემკვიდრე, იყოს მოიჯარე. (იუსტ. კოდ. IV, 55, 10). ვინმე კორნელიუს იგივე იმპერატორი მიუთითებს, რომ გააზატებული მონა ვალდებულია, პატრონის მიმართ ავლენდეს პატივისცემასა და დაუზარებლობას, მაგრამ ის ვალდებული არ არის მონასავით ემსახუროს ბატონს. მით უფრო არ შეიძლება მას ბორკილები დაადონ. (იუსტ. კოდ. V, 6, 6). იმპერატორი გაიუს აგრელიუს ვალერიუს დიოკლეტიანუსი, იგივე დიოკლეტიანე (243-313) ურჩევს სოსიუსს, რომ, რადგანაც მას ცოლი მოსტაცა მონამ, უპრიანია, მან ამის შესახებ უჩივლოს პროვინციის პრეზიტთან მონას და არა მის ბატონს (იუსტ. კოდ. III, 3, 4). იგივე იმპერატორი განუმარტავს რუციტიანუსსა და პაულიუსს, რომ არ შეიძლება მიწის მფლობელის ვალები გადავახდევინოთ კოლონს და პირიქით, კოლონის ვალები მიწის მფლობელს (კოდ. იუსტ. IV, 10, 3; 11). იგივე იმპერატორი პაპინიანუსს განუმარტავს, რომ ის პირები, რომლებიც მან დაიქირავა დათქმული დროით სამუშაოდ, ვალდებული არიან შეასრულონ ხელშეკრულება და მოსამართლე ვალდებულია ისინი აიძულოს რომ ასე მოიქცნენ (იუსტ. კოდ. IV, 65, 22).

იმპერატორი გალიენუს პუბლიუს ლიცინიუს ეგნაციუსი (218-268) განუმარტავს აგრელიუს ტიმოთეუსს, რომ იჯარით მიმცემს არა აქვს უფლება მო-



იკარისაგან მოითხოვოს იმაზე მეტი საზღაური, ვიდრე ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული (იუსტ. კოდ; IV, 65, 16).

ხშირად იმპერატორები იძლევიან განმარტებას, რომ უკანონობა თავისუფალი ადამიანი ვაქციოთ მონად, თუ თავისუფალი თავის თავს თვითონვე არ ყიდის მონად, როგორც ჩანს, ამ მიმართულებით მრავალ ბოროტმოქმედებას ჰქონდა ადგილი, ასე რომ, თურმე შეიძლებოდა თავისუფალი ადამიანი მუქარით აედულებინათ, რომ მას მონად ელიარებინა თავი. (იუსტ. კოდ. VII, 16, 6). თავისუფალი მოახლეები და მოახლე ქალები, რამდენადაც ისინი ოჯახს („ფამილია“) იყვნენ მიკუთვნნილ-მირიცხულნი, ხშირად იყიდებოდნენ მონების მსგავსად. მოახლეებს და მოახლე ქალებს საჩუქრად გასცემდნენ, ატანდნენ მზითევში და ა. შ. მოახლეების საჩივრის საფუძველზე იმპერატორებმა განმარტეს, რომ ასეთი მოქმედება, ისევე როგორც „მონური სამსახურის“ შესრულება, მშობლების მხრივ შვილების გაყიდვა, არ ხდის მათ მონებად (იუსტ. კოდ. VII, 14, 2; 14, 14; 16, 1; 16, 12; 16, 16; VIII, 16, 6). და ა. შ.

იმპერატორი იყო იმათი უკანასკნელი იმედი, ვინც ვერ მიაღწია მართლმსაჯულებას. ხოლო სამართლის პოვნა რომ ადვილი არ იყო, ეს ჩანს ზემოთ მოტანილიდანაც იმის შესახებ, თუ როგორ ურთიერთობაში იყო ხალხი სამართალთან. მაგრამ არაფექტური კანონები მექრთამე მაგისტრატების, მოსამართლეების, ბრალმძღვლების, ცრუმოწმეების წინააღმდეგ იყო მიმართული. თუმცა, ყველა ეს ზემოხსენებული პირი თუ დანაშაულებრივად, განზრახ, უბრალო ადამიანებს დასჯიდა, უთანაბრდებოდა კაცის მკვლელს (დიგ., 48, 8, 1) და ცხადია, მართლმსაჯულების მახვილი მას არ დაინდობდა. მაგრამ ბოროტების აღმოფხვრა შეუძლებელი გახდა, ე. მ. შტაერმანი შენიშნავს: კანონი და სამართალი დროთა ვითარებაში უფრო და უფრო ნაკლებად ქმედითი ხდებოდა, მიუხედავად სამართალმცოდნეების ნაშრომებისა და სასჯელების გამკაცრებისაო.

ამრიგად, რომის სამართალმა გაიარა განვითარების გრძელი გზა, რომელიც განუყრელად იყო დაკავშირებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების ევოლუციასთან, ეს კავშირი თვითონ რომაელებსაც ნათლად ჰქონდათ შეგნებული. „ენხირიდიონში“ კომპონიუსი განიხილავს სამართალს ისტორიის იმ ცვლილებების ფონზე, რაც თავდაპირველად გამოიწვია პატრიციებსა და პლებებს შორის ბრძოლამ, შემდეგ მაგისტრატების დაწესებამ და მათი გარკვეული ფუნქციების განსაზღვრამ, დაბოლოს, პრინციპატის წარმოშობამ. რომის სამართალი ყალიბდებოდა, როგორც სამოქალაქო თემის სამართალი, და კიდევ დიდხანს ინარჩუნებდა იმ ელემენტებს, რაც ნაშობი იყო მასში (სამოქალაქო თემში). არსებული ურთიერთობებით, ეგუებოდა რა ახალ პირობებს, იმდენად, რამდენადაც ქალაქები, მიუხედავად მთავრობის მიერ მიღებული ყველა ღონისძიებისა, კარგავდნენ სამოქალაქო თემის ხასიათს, რამდენადაც, მწვავედებოდა სოციალური უთანასწორობა და კლასობრივი ბრძოლა, უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, რომ „საერთო სარგებლობა“ სამხედრო-ბიუროკრატიული აპარატის და სენატორთა წოდების უმსხვილესი მესაკუთრეების სასარგებლოდ გადაიქცა. სამართალი, აფიქსირებდა რა იმ პროცესს, სამოქალაქო თემის სამართლის პირდაპირ საპირისპირო მოვლენად გადაიქცა. კანონის წინაშე მოქალაქეთა ოდესღაც არსებული თანასწორობა შეიცვალა „პონესტიორეს“-თა — კეთილშობილთა

და „პუმილიორეს“-თა — „უბრალო ხალხის“ უთანასწორობით: კატეგორიული აკრძალვა, რომ რომის მოქალაქის დამონება არ დაიშვებოდა, შეცვალა მონღოლ-საკუთარი თავის გაყიდვის კანონიერად აღიარებამ. გარკვეული ზომის დანერგვით ღვა თჯახის (ფამილია) კარჩაკეტილობა, პრინციპი, რომლის მიხედვითაც საკუთრებაში არ უნდა ყოფილიყო განუსაზღვრელობა, გაურკვევლობა. რამდენადაც თითოეული მიწისმფლობელი პასუხს აგებდა თავისი ადგილ-მამულის კეთილსინდისიერი დამუშევებისათვის, ირღვეოდა ექსპლუატირებული მიწისმფლობელების (პრეკარისტების, მპყრობელების, კოლონების, ფრუქტუარიუსების) და მიწის მესაკუთრეებისაგან. მათი დამოკიდებულების გაძლიერებამ, აგრეთვე იმან, რომ იმპერატორი აღიარეს მიწის უმაღლეს მესაკუთრედ და განავრცეს ფისკის და იმპერატორის კუთვნილი მიწები, ეს პრინციპი თანდათან შეიცვალა მიწის ნაკვეთებზე უფლებების ფაქტობრივი დანაწევრებით, მისთვის პასუხისმგებელი პირების ვრცელი რიგის ჩამოყალიბებით, ხოლო სამოქალაქო თემის კონტროლი სახელმწიფო კონტროლით, ასე იბადებოდა გვიანდელი იმპერიის სამართალი, რომელიც ემყარებოდა არა ანტიკურ ქალაქებს, არამედ ქალაქებთან კავშირის არმქონე უპირველეს მესაკუთრეებს, რომელთა მიწებზეც ისხდნენ მათზე მიმაგრებული კოლონები, და გლეხობის ხელახლა განმტკიცებულ თემურ ორგანიზაციას.

მაგრამ სწორედ რომის სამართლის მოქნილობამ, რომელმაც შეიმუშავა კაზუსები და ნორმები, წარმოშობილი როგორც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებიდან, ასევე წინასწარ განჭვრეტილი ფეოდალიზმიდან, ის ისეთ წყაროდ აქცია, საიდანაც უხვად სესხულობდნენ მასალებს მომდევნო ეპოქების იურისტები.



© „სამართალი“, 1992 წ.

კავკასიის მისამართი: 280046, თბილისი, გიორგიშვილის 18  
 ტელ. 99-02-45, 98-41-50, 99-51-01

გადაეცა წარმოებას 2. 08. 92 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30. 08. 92 წ.  
 ფორმატა 70x108<sup>1/16</sup>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,  
 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,5 შეკვ. № 984 ტირაჟი 6 000

სამართალის შინაარს-გაზეთის გამომცემლობა „საქართველოს“ სტამბა.  
 280008, თბილისი, შ. კოსტავას 14

**«САМАРТАЛИ» («ПРАВО»)** (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов Республики Грузия.

**Адрес редакции: Тбилиси, Грибоедова, 19, тел.: 99-02-45, 93-41-50, 99-51-01.**

**Типография Грузинского журнально-газетного издательства «Самшобло»,  
380009, Тбилиси, ул. М. Костава, 14.**

0620260 76185

127/64



ქართული  
ბიბლიოთეკა

0190 | 255 30 333